




ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები

დანართები - ტომი 4

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება

ნენსკრის ჰეს-ის
დამატებითი
გარემოსდაცვითი
და სოციალური
კვლევები



გამოქვეყნება ნებადართულია

წლის თებერვალი 2017



დანართი 1 - ფლორის, მცენარეული საფარისა და ჰაბიტატების შეფასების ანგარიში

დანართი 2 - ორნითოლოგიური ანგარიში

დანართი 3 – მდინარის ხარჯების გაზომვის შედეგები

დანართი 4 – მდინარის დინების სიჩქარის გაზომვის შედეგები

დანართი 5 – მიზანშეწონილობის შეფასება

დანართი 6 - ტყის აღდგენის სტრატეგია

დანართი 1 - ფლორის, მცენარეული საფარისა და ჰაბიტატების შეფასების ანგარიში

მდ. ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დამატებითი კვლევა/ ფლორა და მცენარეულობა (გაფართოებული დერეფანი)

ნაწილი 1: სამართლებრივი ჩარჩო

ამ თავში აღწერილია ნენსკრა ჰესის პროექტთან დაკავშირებული საქართველოსა და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული სტანდარტები და პოლიტიკა.

1.1 საერთაშორისო კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველოს მიერ რატიფიცირებული ბუნების კონსერვაციისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო კანონებიდან/შეთანხმებებიდან და კონვენციებიდან მოცემული პროექტის შემთხვევაში აქტუალურია შემდეგი:

- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე (CITES 1975; უნივერსალური)
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (CBD, 1992; უნივერსალური);
- ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა (1992; რეგიონალური);
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ - რამსარის კონვენცია (1975, უნივერსალური)
- კონვენცია მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, 1972, უნივერსალური);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია (UNFCCC 1994; უნივერსალური) და კიოტოს ოქმი (1997; უნივერსალური);
- ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნის კონვენცია, 1979);
- ევროპის ლანდშაფტების კონვენცია, 2000;
- კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვაზე (ბონის კონვენცია, 1979);
- ევროპაში ღამურების დაცვის შესახებ შეთანხმება (EUROBATS) (1995);
- შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვაზე (1991).

1.2 ევროკავშირის კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ მიეკუთვნება, თუმცა იგი წევრობის კანდიდატი ქვეყანაა. საქართველოს ურთიერთობას ევროკავშირთან მასთან დადებული ასოცირების შეთანხმება განსაზღვრავს.

ევროკავშირის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზა მოიცავს 300-მდე ინსტრუმენტს, რომლებიც ძირითადად დირექტივების სახითაა წარმოდგენილი. ეს საკანონმდებლო ბაზა მოიცავს გარემოს დაცვას, დაბინძურების გამომწვევებსა თუ სხვა საქმიანობას, საწარმოო პროცესებს, პროცედურებსა და პროცედურულ ულებებს, ასევე პროდუქციას. ბიომრავალფეროვნებაზე ნენსკრა ჰესის პროექტის ზემოქმედების შეფასების საკითხებთან მიმართებაში აქტუალური ევროკავშირის გარემოსდაცვითი დირექტივები ჩამოთვლილია ცხრილი 2-ში, სადაც ასევე მოცემულია საქართველოს იდენტური კანონმდებლობა.

ცხრილი 1. პროექტთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობა

ევროკავშირის კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
ევროსაბჭოს დირექტივა 85/337/EEC (შეიცვალა 97/11/EC-ით) გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ	დებულება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, დამტკიცებულია გარემოს დაცვის მინისტრის #59 ბრძანებით კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ 2007 კანონი გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ 2007 კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ 2007 სხვა კანონები, კანონქვემდებარე აქტები და ნორმები
ევროსაბჭოს დირექტივა 92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ (Natura 2000) – დირექტივა ჰაბიტატების შესახებ	კანონი გარემოს დაცვის შესახებ (1996 წ, შესწ. 2000, 2003, 2007 წწ.) კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ (1997, შესწ. 2001, 2003, 2004 წწ.) კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996, შესწ. 2003, 2004, 2005, 2006, 2007 წწ.)
ევროსაბჭოს დირექტივა 78/659/EEC თევზების ხელშესაწყობად მტკნარი წყლის ობიექტების ხარისხის დაცვის ან გაუმჯობესების საჭიროების შესახებ	
ევროსაბჭოს დირექტივა 79/409/EEC ველურ ფრინველთა დაცვის შესახებ	კანონი საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ 2006 კანონი დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ, 2007 ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2014 წითელი ნუსხა, 2006 სხვა კანონები, კანონქვემდებარე აქტები და ნორმები საქართველო მიერთებულია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე (CITES) კონვენციას, ასევე რამსარის და ბიომრავალფეროვნების შესახებ (CBD) კონვენციებს.
ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს ჩარჩო-დირექტივა 2000/60/EC წყლის სექტორში გასატარებელი პოლიტიკის შესახებ (შემოკლებით, წყლის ჩარჩო-დირექტივა).	კანონი წყლის შესახებ 1997 კანონით გარემოს დაცვის შესახებ 1996 კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ 2007 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნორმატიული დოკუმენტები

1.3 ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველოში გარემოს დაცვის სფეროზე პასუხისმგებელი ორგანოა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ეს სამინისტრო მონაწილეობს ქვეყნის გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავებაში და ახორციელებს პოლიტიკას გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, ასევე ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და მართვის სფეროებში. აღნიშნული მოიცავს: იმ საქმიანობის კონტროლს, რომელსაც უარყოფითი ზემოქმედება აქვს გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე; გარემოზე ზემოქმედების ნებართვებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიების გაცემას; და სხვა.

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე აქტებს, ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის და მთავრობის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, მითითებებსა და რეგულაციებს. ამას გარდა, საქართველოს ხელი მოწერილი აქვს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებზე.

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის (NBSAP, 2005) შემუშავებისა და განახლების ვალდებულება ქვეყანამ აიღო ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ფარგლებში, რომლის მიზანია ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბიოლოგიური რესურსებისა და ჰაბიტატების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, ასევე ბიომრავალფეროვნების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება. საქართველოს ბიომრავალფეროვნების მე-2 ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ქვეყნის მთავრობამ 2014 წელს მიიღო (დადგენილება #343, 14.05.2014წ.). ამ დოკუმენტში მოცემულია ეროვნული პოლიტიკა და საქმიანობა, რომელთა მიზანია ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, პრიორიტეტული საკონსერვაციო ღონისძიებების კოორდინაცია, ასევე ბიომრავალფეროვნებისა და მის მიმართ არსებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიულ მიზნები, ეროვნულ მიზნები, ამოცანები და საქმიანობა. ამ დოკუმენტით დადგენილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

სტრატეგიული მიზანი A: ბიომრავალფეროვნების კარგვის გამომწვევი ძირეული მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა სამთავრობო სტრუქტურებისა და საზოგადოების საქმიანობაში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირების გზით;

სტრატეგიული მიზანი B: ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზეწოლის შემცირება და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი C: ბიომრავალფეროვნების სტატუსის გაუმჯობესება ეკოსისტემური, სახეობრივი და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვის გზით;

სტრატეგიული მიზანი D: ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისებისგან თითოეული ადამიანის მიერ მიღებული სარგებლის გაზრდა;

სტრატეგიული მიზანი E: ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის განხორციელების გაუმჯობესება თანამონაწილეობითი დაგეგმვის, ცოდნის მენეჯმენტისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

პროექტი ითვალისწინებს ამ სტრატეგიულ მიზნებს და ხელს შეუწყობს მათ მიღწევას. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და კრიტერიუმებს. ბიომრავალფეროვნების საკითხების მარეგულირებელი ძირითადი კანონმდებლობა შედეგია:

- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (ჩარჩო კანონი);
- საქართველოს კანონი ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვის ზოგადი წესების შესახებ;
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ;
- საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ;
- საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ;
- საქართველოს ტყის კოდექსი.

საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და სპეციალური ეკონომიკური ზონების ჩათვლით.

კანონი არეგულირებს გარემოსდაცვით განათლებასთან, გარემოსდაცვით მენეჯმენტთან, ეკონომიკურ სანქციებთან, ლიცენზირებასთან, სტანდარტებთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. იგი ითვალისწინებს ეკოსისტემების დაცვასთან, დაცულ ტერიტორიებთან, გარემოს დაცვის გლობალურ და რეგიონალურ მართვასთან, ოზონის შრის, ბიომრავალფეროვნებისა და შავი ზღვის დაცვის სხვადასხვა ასპექტებს, ასევე გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტებს.

კანონის ძირითადი ამოცანები მოიცავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნების ხელშეწყობას, ასევე ზღვის გარემოს დაცვას და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას. კანონი განსაზღვრავს "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპს", რომელიც გულისხმობს საქმიანობის იმგვარად განხორციელებას, რომ ადგილი არ ჰქონდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას.

საქართველოს კანონი ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვის ზოგადი წესების შესახებ განსაზღვრავს მცენარეთა და ცხოველთა დაცვის შემდეგ ზოგად წესებს:

- ველურ მცენარეთა და ცხოველთა რესურსების თვითაღწარმოების შესანარჩუნებლად და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით მათი ამოღება გარემოდან მკაცრად შეზღუდულია და ლიცენზირებას ექვემდებარება;

- აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ცხოველთა სამყაროს, მცენარეებს, ჰაბიტატებს, გამრავლების ადგილებს და სამიგრაციო დერეფნებს;
- საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველური მცენარეები შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხასა და წითელ წიგნში.
- აკრძალულია ნებისმიერ საქმიანობა, მათ შორის ნადირობა, ვაჭრობა, დაჭერა, მოჭრა, თიბვა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელიც გამოიწვევს საქართველოს წითელი ნუსხასა და წითელ წიგნში შეტანილი ცხოველებისა და მცენარეების რაოდენობის შემცირებას, გააუარესებს მათ ჰაბიტატებს და საცხოვრებელ გარემოს.

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ იძლევა დაცული ტერიტორიების განმარტებას (რომლებიც მოიცავს ეროვნული პარკებს, სახელმწიფო ნაკრძალებს, აღკვეთილებს და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებს) და ადგენს ასეთი მათ ფარგლებში დაშვებული საქმიანობის სახეებს. ნებადართული საქმიანობა განისაზღვრება დაცული ტერიტორიის დანიშნულების, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობის, მენეჯმენტის გეგმების ან დროებითი რეგულირების წესის, ასევე საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების საფუძველზე. მოცემული კანონი ადგენს ეროვნულ პარკებსა და სხვა დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმებს. საზოგადოდ, დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება შემდეგი საქმიანობა:

- ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სახის შეცვლა;
- ბუნებრივი რესურსების განადგურება ექსპლუატაციის ან რაიმე სხვა მიზნით;
- ბუნებრივი ეკოსისტემების და სახეობების ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეიბრება), ან შეშფოთება;
- გარემოს დაბინძურება;
- ცოცხალ ორგანიზმთა უცხო და ეგზოტიკური სახეობების შემოყვანა და გავრცელება;
- ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა.

საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ უზრუნველყოფს ცხოველთა სამყაროსა და მისი საბინადრო გარემოს დაცვასა და აღდგენას, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნებას, მდგრადობას და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნას, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. ამას გარდა, მის ამოცანებში შედის ცხოველთა დაცვისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონი "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ (2003) არეგულირებს საქართველოს წითელ ნუსხასა და წითელ წიგნთან დაკავშირებულ საკითხებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში, გარდა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებითა და

ველური მცენარეებით საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებისა. საქართველოს კანონმდებლობით დაცულია 137 სახეობა. ხოლო საერთაშორისო კონვენციებით დაცულ სახეობებთან ერთად ეს რიცხვი 200-ს აღწევს. დაცული სახეობების დიდი ნაწილი შეტანილია საერთაშორისო წითელ ნუსხაში (IUCN-ის წითელი ნუსხა), საქართველოს წითელ ნუსხაში და კონვენციების დანართებში.

საქართველოს ტყის კოდექსი არეგულირებს ტყის ფუნქციებსა და ტყით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ტყის დაცვას, მართვას, ხე-ტყის რეწვასა და სხვა. იგი იძლევა ტყის კერძო საკუთრებაში ქონისა და კომერციული ჭრების განხორციელების უფლებას. კანონის მიხედვით, საქართველოს სატყეო სააგენტო თავად არ ახორციელებს კომერციულ ჭრებს, არამედ ამ საქმიანობის განხორციელების უფლებას ანიჭებს კერძო სექტორს, ხოლო თავად აკონტროლებს და მართავს მასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. თუმცა, სატყეო სააგენტოს აკისრია ჭრებისა და ტყის მართვის ვალდებულება. კოდექსის მიხედვით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის უფლების სატყეო სააგენტოს გადასცა. ტყის კოდექსი განსაზღვრავს დაცული ტყეების კატეგორიებს, როგორცაა ნიადაგისა და წყალგამყოფების დაცვითი ფუნქციის მქონე ტყეები, ჭალისპირა ტყეები და სუბალპური სარტყელის ტყეები, წითელი ნუსხის სახეობები და სხვა. ტყის კოდექსი ჩარჩო-კანონს წარმოადგენს და მოითხოვს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დეტალური მოთხოვნების შესრულებას.

ამჟამად საქართველოს არ გააჩნია **თევზსამეურნეო კანონმდებლობა**. ახლახან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო ახალი კანონის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს თევზსამეურნეო სფეროს. სავარაუდოდ, ეს კანონი უახლოეს წლებში იქნება მიღებული, რის შემდეგაც საჭირო იქნება სათანადო კანონქვემდებარე აქტების მიღება.

ამას გარდა, **საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007)** ადგენს საქმიანობათა სრულ სიას, რომლებიც ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას (მუხლი 4, თავი 2) და განსაზღვრავს გზმ-ის პროცესში ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების აუცილებლობას დაგეგმილ საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად. ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება 2 მგვტ ან უფრო მაღალი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა. კანონი ქმნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სამართლებრივ გაცემის საფუძველს, რაც გულისხმობს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, საჯარო კონსულტაციების განხორციელებას და პროცესებში საზოგადოების ჩართულობას. ამ კანონის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება აუცილებელია საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად. ნებართვის გაცემის პროცესი ითვალისწინებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რათა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და კულტურული მემკვიდრეობა.

1.3.1 მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სფეროს მარეგულირებელი მექანიზმების მიმოხილვა

თავი I. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღების მაკომპენსირებელი ღონისძიებებს

1. საქართველოს წითელი ნუსხა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი), საქართველოს „წითელი ნუსხა“ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალს. ამ განმარტების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობები შეტანილია ქართველოს წითელ ნუსხაში. საქართველოს წითელ ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #190 დადგენილებით "საქართველოს წითელ ნუსხის დამტკიცების შესახებ". ამ ნუსხაში შეტანილია საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა 56 სახეობა. წითელ ნუსხაში მოცემულია თითოეული სახეობის მდგომარეობის ამსახველი კატეგორია და საკონსერვაციო სტატუსი. მათთვის გამოყენებული აღნიშვნებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც მითითებულია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის კატეგორიებისა და კრიტერიუმების განმარტებაში (IUCN Red List Categories and Criteria, Version 3.1, 2001) და ამავე კავშირის რეკომენდაციებში რეგიონული და ეროვნული წითელი ნუსხებისათვის (IUCN Guidelines for National and Regional Red Lists, 2003), კერძოდ კი:

CR (Critically Endangered)- გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი

EN (Endangered) – გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი

VU (Vulnerable) - მოწყვლადი ტაქსონი

RE (Regionally extinct) – გადაშენებულია ეროვნულ დონეზე.

საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეებიდან 36 სახეობა მოწყვლადია (VU), 18 გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონია (EN) და 2 გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონია (CR) .

2. საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ

საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ არეგულირებს საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების (წითელი ნუსხის სახეობების) დაცვისა და გამოყენების საკითხებს.

ამ კანონის 24-ე მუხლი ადგენს განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომელთა შემთხვევაშიც დასაშვებია დაცული სახეობების გარემოდან ამოღება.

1. კერძოდ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებია მხოლოდ შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში:

- (a) აღსადგენად და ბუნებრივ პირობებში გასამრავლებლად (გასაშენებლად);
- (b) დენდროლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებსა და პარკებში გასაშენებლად;
- (c) სამეურნეო მიზნით, ხელოვნურ პირობებში გასაშენებლად;
- (d) სამეცნიერო მიზნებისათვის;
- (e) ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სანიტარიული ჭრის განხორციელებისას;
- (f) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისას;
- (g) თუ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებობს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ბუნებრივად მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი და ხმობადი მერქნიანი მცენარეები;
- (h) თუ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, აღკვეთილის გარკვეულ უბნებში და დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებობს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ბუნებრივად მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი და ხმობადი მერქნიანი მცენარეები;
- (i) არსებული საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების მიზნით.

2. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) სამეურნეო მიზნით, ხელოვნურ პირობებში გასაშენებლად დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ველური მცენარე გაშენებულია ხელოვნურად.

2¹. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) წერილობით თანხმობას ამ მუხლის პირველი პუნქტის (ა)-(დ) და (ი) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გასცემს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

2². ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სანიტარიული ჭრით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული შესაბამისი ორგანო.

2³. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი

ნაწილების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) შესახებ გადაწყვეტილებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოები.

შენიშვნა: საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრულ ორგანოებს წარმოადგენს:

მე-15 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებს და მათ რესურსებს მართავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო", ხოლო მე-16 მუხლის მიხედვით:

1. სახელმწიფო ტყის ფონდს, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებული ტყის ფონდის გარდა, მართავს **ეროვნული სატყეო სააგენტო**.
2. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავს **თვითმმართველი ერთეული**.
3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ ტყის ფონდს მართავენ **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები**.

კანონის მე-20 მუხლი ეხება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენით ღონისძიებებს. კერძოდ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენითი ღონისძიებები მოიცავს ამ სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ მოქმედებებს." იგივე მუხლის მე-3 პუნქტი ამბობს შემდეგს: "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა სახეობების აღდგენითი ღონისძიებები მოიცავს მათ დაცვას ბიოლოგიური საშუალებებით (პრეპარატებით), **ხელოვნურ გაშენებასა და ამ სახეობათა ბუნებრივ გარემოში კონსერვაციას**."

აღნიშნული კანონი არ ადგენს რაიმე ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფდა საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გარემოდან ამოღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. გარემოდან წითელი ნუსხის მცენარეების ამოღება აუარესებს წითელი ნუსხის მცენარეთა მდგომარეობას, რადგანაც მათი რაოდენობა მცირდება. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მიზნით საჭიროა სათანადო აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. ზიანის კომპენსაციის საკითხებს არეგულირებს საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები (იხ. ქვემოთ). ზოგიერთ შემთხვევაში (როცა ზიანის ანაზღაურების საკითხი სხვა ნორმატიული აქტებით არ რეგულირდება), საქართველოს მთავრობის დადგენილება გარემოდან მცენარეთა ამოღების შესახებ, ან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანხმობის წერილი ადგენს ვალდებულებას, რომ გარემოდან წითელი ნუსხის მცენარეების ამოღებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად წარმოდგენილი იქნას საკომპენსაციო ღონისძიებათა პაკეტი. აღნიშნული ძირითადად ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღება ხდება შემდეგი მიზნებისათვის:

- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განსახორციელებლად;
- არსებული საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების მიზნით.

3. კონსერვაციისა და აღდგენის ღონისძიებების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები

3.1. საქართველოს ტყის კოდექსი და კანონქვემდებარე აქტები

3.1.1. საქართველოს ტყის კოდექსი აღდგენს საქართველოს ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

კოდექსის 24-ე მუხლის :სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის დაგეგმვა" მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის დაგეგმვა მოიცავს ტყის მოვლის, აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებს.

ტყის კოდექსის 95-ე მუხლის "საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა და მისი მიზანი" 1-ლი პუნქტის მიხედვით (თავი XXVIII): "საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ტყის ფონდის ტყით დაუფარავ ფართობებზე და დაბალი სიხშირის კორომებში ტყის აღდგენა და გაშენება", ხოლო მე-4 პუნქტის მიხედვით, ტყის აღდგენის ერთ-ერთი ღონისძიება მოიცავს შემდეგს: "ქვეტყის გამოხშირვა ან მთლიანად მოცილება, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით ჭრაგავილილი უბნების, ტყისპირისა და სუბალპური მეჩხერი ტყეების მოვლა, დაცვა და გაწმენდა, დარგვა, თესვა."

3.1.2. ტყითსარგებლობის წესი (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 "ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილებით, საქართველოს ტყის კოდექსის მიღების შემდეგ)

დადგენილების მიზანია განსაზღვროს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის წესი, მათ შორის ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის საკომპენსაციო საფასურის ოდენობას (მუხლი 1).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს #425 დადგენილებით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებაში 'ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ' შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებიც აღდგენს სახელმწიფო ტყის ფონდით (თუ ტყეები სატყეო ფონდიდან არაა ამორიცხული) სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის თანხის გადახდის ვალდებულებას (მართვის ორგანოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად). ეს დადგენილება ასევე განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობას და ითვალისწინებს იგივე ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრების საფასური, ამასთან წითელი ნუსხის სახეობების ჭრის შემთხვევაში საკომპენსაციო საფასურის თანხა გადაიხდება ორმაგი ოდენობით. ტყის ღონისძიებებთან, მათ შორის ტყის აღდგენის საქმიანობასთან დაკავშირებით მართვის ორგანო იხელმძღვანელებს ამ თანხებით. ტყითმოსარგებლები, რომლებმაც მოიპოვეს

წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღების უფლება, ვალდებულნი არიან ამ საქმიანობის განხორციელებამდე საკომპენსაციო ღონისძიებების პაკეტი წარმოადგინონ; ამასთან, მათ აქვთ უფლება, რომ სამინისტროს მიმართონ საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად თანხის გადახდის მოთხოვნით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილება 'ტყითმოსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ' ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ამბობს შემდეგს:

27⁴ მუხლში მოცემულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. ამ დოკუმენტებში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის შერჩეულ ფართობზე წითელი ნუსხით და ცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობის შესახებ (იგივე მუხლის პირველი პუნქტის 'დ' ქვეპუნქტი).

იგივე მუხლის 5 და 5¹ პუნქტები ამბობს შემდეგს:

პუნქტი 5: "ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის), დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის, წიაღის შესწავლისა და/ან მოპოვებისათვის, ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის, ტყითმოსარგებლე ყოველწლიურად იხდის საკომპენსაციო საფასურს, მართვის ორგანოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ამ წესის მე-7 დანართის მე-2 ცხრილის მიხედვით (*იხ. ქვემოთ*). ამასთან, ამავე მუხლის ამავე პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მერქნიანი მცენარეების მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ასევე ვალდებულია, გადაიხადოს საკომპენსაციო საფასურიც ამ წესის მე-7 დანართის პირველი ცხრილის შესაბამისად (*იხ. ქვემოთ*). საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მერქნიანი მცენარეების სახეობების ჭრის შემთხვევაში, საკომპენსაციო საფასურის თანხა გადაიხდება ორმაგი ოდენობით. საკომპენსაციო საფასური ხმარდება მართვის ორგანოს მიერ სატყეო ღონისძიებების (მათ შორის, ტყის მოვლის, აღდგენისა და დაცვის ღონისძიებების, ტყითმოსარგებლობის, ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების) განხორციელებასთან დაკავშირებული მიზნებისა და ფუნქციების უზრუნველყოფას."

პუნქტი 5¹: "სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა ხდება ყოველწლიურად, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის მიხედვით. იმავე მუხლის იმავე პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მერქნიანი მცენარეების მოჭრის აუცილებლობისას, ტყითმოსარგებლე საკომპენსაციო საფასურს იხდის ჭრების განხორციელებამდე – გამოყოფილ ტყეკაფზე მონიშნული მერქნული რესურსის მოცულობის მიხედვით."

ტყითმოსარგებლეებს, რომელთაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე აქვთ განსაზღვრული ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობასთან

დაკავშირებული საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება, უფლება აქვთ, ზემოაღნიშნული საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად, გადაიხადონ ამ დადგენილების 27⁴ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საკომპენსაციო საფასური, რის შესახებაც, ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის მართვის ორგანოს.

ტყითმოსარგებლეებმა, რომლებსაც დაწყებული აქვთ ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება და მიიღებენ გადაწყვეტილებას, გადაიხადონ ამ დადგენილების 27⁴ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საკომპენსაციო საფასური, აღნიშნულ საკომპენსაციო საფასურს იხდიან სრულად, მიუხედავად მათ მიერ საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯებისა.

დანართი 7

ცხრილი 2. ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის საკომპენსაციო საფასურის გაანგარიშების წესი (დღგ-ის ჩათვლით)

1 მ ³ -ისათვის გადასახდელი თანხა (ლარი) ჯგუფების მიხედვით						
No.	მოცულობა, მ ³	ჯგუფი 1 უთხოვარი, ბზა, ღვია, ძელქვა, კაკალი	ჯგუფი 2 მუხა, წაბლი, ივანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი ცაცხვი, პანტა, საღსაღაჯი	ჯგუფი 3 წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი, უხრავი	ჯგუფი 4 ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	ჯგუფი 5 ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები
1	1 მ ³ -ზე გადასახდელი თანხა	80	75	73	70	60

ცხრილი 3. ფინანსური შეფასება

#	ფართობის მოცულობა	წლიური საბაზისო თანხა, ლარი
1	500 მ ² -მდე	250
2	500-დან -1000 მ ² -მდე	500
3	1000-დან-5000 მ ² -მდე	800
4	5000 მ ² -დან - 1,0 ჰა-მდე	1200
5	1 ჰა-ის ზევით	0,12 ლარი/მ ²

დადგენილების გარდამავალი დებულებების თანახმად 27⁴ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება „დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მუცოს ელექტრიფიცირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს #1483, „ზოგიერთი სოფლის ელექტრიფიცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის #1196, „ზოგიერთი სოფლის ელექტრიფიცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის #1017, „ზოგიერთი სოფლის ელექტრიფიცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის #812, „ზოგიერთი სოფლის ელექტრიფიცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის #405, „საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის #1193,

„საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის #2024, „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 ოქტომბრის #1883, „ზოგიერთი სოფლის ელექტრიფიცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის #1196 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ოქტომბრის #1929, „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1923 განკარგულებების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისას; ტყითსარგებლობის წესში დამატებულია დანართი №11.

ამ დადგენილებით განსაზღვრული საკომპენსაციო ღონისძიებები არ ეხება ელექტრული ქსელის მფლობელი კომპანიების მიერ „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილებით გათვალისწინებულ დაცვის ზონებში სპეციალურ ჭრებს, რომლებიც რეგულირდება დადგენილების 27² მუხლით (მუხლი, 27², პუნქტი 1¹); ასევე, აღნიშნული ღონისძიებები არ ეხება მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) და მაგისტრალურ მილსადენებთან დაკავშირებული ობიექტების მფლობელი პირის ან/და ბუნებრივი გაზის ან ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მფლობელი კომპანიის (ოპერატორის) მიერ „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #365 დადგენილებით გათვალისწინებულ დაცვის ზონებში სპეციალურ ჭრებს (მუხლი, 27², პუნქტი 1²). დადგენილების მიხედვით, ამ შემთხვევებში სპეციალური ჭერები, გარდა მოჭრილი ხე-ტყის ჩაბარებისა, რეგულირდება ზემოაღნიშნული #366 და #365 დადგენილებებით.

მუხლი 27²-ის 1¹ და 1² პუნქტების სრული ტექსტი მოცემულია ქვემოთ:

„1¹. სახელმწიფო ტყის ფონდის, მათ შორის, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების (გარდა დაცული ტერიტორიების იმ კატეგორიებისა და ზონებისა, სადაც კანონმდებლობით აკრძალულია ტყითსარგებლობა) საზღვრებში მოქცეულ 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე, ელექტრული ქსელის მფლობელი კომპანიების მიერ „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებულ დაცვის ზონებში სპეციალურ ჭრასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა მოჭრილი ხე-ტყის ჩაბარებისა, რეგულირდება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით.“

„1². სახელმწიფო ტყის ფონდის, მათ შორის, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების (გარდა დაცული ტერიტორიების იმ კატეგორიებისა და ზონებისა, სადაც კანონმდებლობით აკრძალულია ტყითსარგებლობა) საზღვრებში მოქცეულ 35

გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე, მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) და მაგისტრალურ მილსადენებთან დაკავშირებული ობიექტების მფლობელი პირის ან/და ბუნებრივი გაზის ან ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მფლობელი კომპანიის (ოპერატორის) მიერ „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებულ დაცვის ზონებში სპეციალურ ჭრასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა მოჭრილი ხე-ტყის ჩაბარებისა, რეგულირდება „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით.“

დადგენილების 27² მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებაში მოცემულია კომპენსაციის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღება (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის განკარგულება #1535 "საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების კომპენსირების მიზნით ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“).

3.2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის განკარგულება #1535 "საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების კომპენსირების მიზნით ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ"

ამ განკარგულების მე-3 მუხლის მიხედვით, "ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებისა და მაგისტრალური მილსადენების დაცვის ზონების უსაფრთხო ფუნქციონირების ფარგლებში, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით გარემოსათვის მიყენებული ზემოქმედების საკომპენსაციო და შემარბილებელი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში." ეს განკარგულება ავალდებულებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომ შეიმუშავოს საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეთა სახეობების განახლების პროგრამა, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებინა აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისთვის საჭირო თანხები.

4. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების კომპენსაცია გზშ-სა და შესაბამისი დარგის ექსპერტების დასკვნის/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის საფუძველზე

ბოლო წლებში გაიზარდა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა, რომლებიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. ამ მიზნით გზშ-ს ანგარიშები განსახილველად წარედგინება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომლის

ექსპერტებიც თავიანთ დასკვნას წარმოადგენენ. დადებითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში საქმიანობაზე გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ხშირ შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ზიანი ადგება ბიომრავალფეროვნებას და მათ შორის საქართველოს წითელი ნუსხაში შეტანილი მცენარეების სახეობებს. ამიტომაც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, კანონმდებლობა მაკომპენსირებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

საქართველოს კანონმდებლობა იძლევა გარემოზე ზემოქმედების განხორციელების საფუძველს, ასევე ადგენს თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშში. კერძოდ, მასში ნათქვამია შემდეგი: "გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში საშუალებას უნდა აძლევდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩამტარებელ ორგანოს, მართებულად შეაფასოს მიღებული საპროექტო გადაწყვეტა მისი ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, შეამოწმოს პროექტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და შეზღუდვების მიღებულ სისტემასთან, შეადგინოს დასკვნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის უტყუარობისა და მის საფუძველზე მიღებული საპროექტო გადაწყვეტების მართებულობის შესახებ" (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანება #31 „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე). ამ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება მიმდინარეობს რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპად. ერთ-ერთ ამ ეტაპზე **უნდა განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიებები**. იგივე დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის 'ვ' ქვეპუნქტის მიხედვით, სხვა საკითხებთან ერთად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს: "გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას". გზშ-ს ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე სამინისტრო გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას/ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, რომლის პირობების შესრულებაც სავალდებულოა. როცა საქმიანობის განხორციელებისას გარდაუვალია წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღება და გარემოსათვის მიყენებული ასეთი ზიანის საკომპენსაციოდ ღონისძიებები არაა გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობები საქმიანობის განმახორციელებელს საკომპენსაციო პაკეტის წარმოდგენას ავალდებულებს.

თავი II. ბიოლოგიური რესურსების დაცვა

1. შესავალი

ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობისას ან სხვა საქმიანობის განხორციელებისას, ბიომრავალფეროვნებისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად / შესარბილებლად საქართველოში დადგენილია შემდეგი მექანიზმები:

- სხვადასხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ბიოლოგიური რესურსების მოხმარების წესებს, ასევე ლიცენზიებისა და ნებართვების პირობები.

- ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის შეზღუდვა რესურსების მოპოვებაზე კვოტების დადგენით.
- კანონით განსაზღვრული საქმიანობისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის მოთხოვნა, ასევე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მოთხოვნა.
- გარემოს დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი, კერძოდ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების, მათ შორის სანებართვო და სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი, ასევე ბუნებრივი გარემოს მართვის წესების კონტროლი კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით.
- პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების სისტემა, რომელიც გამოიყენება ბიომრავალფეროვნებისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმები არ მოიცავს მათ სრულ ნუსხას. ასე მაგალითად, ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის შესაზღუდად რესურსების მოპოვებაზე კვოტები არ დგინდება მცენარეთა არამერქნული რესურსებით სარგებლობაზე, გარკვეული მცირე გამონაკლისების გამოკლებით. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია ბალახოვან მცენარეთა მრავალი იშვიათი, ენდემური ან იმგვარი სახეობები, რომელთა რიცხოვნებაც მცირდება. ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სისტემა დასახვეწია. საქართველოს ტყის კოდექსი ძირითადად არეგულირებს მცენარეთა დაცვას იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც განკარგავს კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოები (იხ. თავი 1) და ეს რეგულაციები არ ეხება მუნიციპალურ, სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების დაცვას, რაც რეგულირდება საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ საქართველოს კანონით (სათანადო ინფორმაციისთვის იხ. თავი 1). უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით მიღებულია რიგი სამართლებრივი აქტებისა (2010 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება #241 "ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც ტყის აღდგენისა და გაშენების საქმიანობისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნები). ამ დადგენილების მიხედვით, ამ მიზნით შეძლებისდაგვარად გამოყენებული უნდა იქნას ადგილობრივი სახეობები, რომლებიც ტიპურია კონკრეტული გარემო პირობებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე მომზადებულია სხვა სამართლებრივი აქტებიც. თუმცა, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლი და დასახვეწია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს დამტკიცებული იქნა განახლებული "საქართველოს ბიომრავალფეროვნების 2014-2020 წწ. სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა", რომელიც ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრას.

საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 10) ამბობს შემდეგს:

"აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის, ნადირობა, რეწვა, მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), ჭრა და თიბვა, გარდა ამ კანონით, „ ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება."

საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებზე მავნე ანთროპოგენული ზემოქმედების მოხდენის გათვალისწინება აუცილებელია:

- გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას;
- საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად მთავარი, მოვლითი და სპეციალური ჭრებისას ან/და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვისას და განხორციელებისას;
- სასუქების, მხამქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას, აგრეთვე იმგვარი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას, რომელმაც შეიძლება უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოსპობა, რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება.

2. მცენარეთა დაცვა

მცენარეთა დაცვის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დიდი ნაწილი აღწერილია ზემოთ. კერძოდ, ეს ღონისძიებები მოიცავს: 1) ზემოთ აღწერილ მექანიზმებს, რომლებიც არეგულირებს მცენარეთა რესურსებით (მერქნული რესურსით) სარგებლობას (თავი 1). იგივე შეიძლება ითქვას გარემოზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმზეც.

მცენარეთა დაცვის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი კანონია საქართველოს ტყის კოდექსი, რომელიც არეგულირებს ტყის ფონდისა და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან და აღდგენასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 12), "აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა მოსპობა, მათი რაოდენობის ან/და გავრცელების არეალის შემცირება." სატყეო ფონდის მიწებზე აკრძალულია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა ჭრა ან ისეთი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა სახეობებს (გარდა ამ კანონის 24-ე დადგენილი შემთხვევებისა, სადაც მოყვანილია იგივე სახეობების გარემოდან ამოღებისთვის გათვალისწინებული შემთხვევები (ინფორმაციისათვის იხ. თავი 1)).

3. ცხოველთა დაცვა

ცხოველთა დაცვასა და ცხოველთა რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ". ამ კანონის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ცხოველთა სამყაროს, მისი საბინადრო გარემოს დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადობა და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი უზრუნველყოფა. მოცემული კანონის რამდენიმე მუხლი ეხება ცხოველთა რესურსებით სარგებლობას (კერძოდ, ნადირობისა და თევზაობის ლიცენზიების გაცემის საკითხებს), რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით.

ამ კანონის მიხედვით (მუხლი 17), ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, გადარჩენის სტაციებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და წყლის სასმელ ადგილებზე, უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას. კანონი ასევე მოითხოვს, რომ დასახლებული პუნქტების, საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დაპროექტების, განლაგების, მშენებლობის დროს, არსებულთა სრულყოფისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, ყამირი მიწების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, სანაპირო და ბუჩქნარით დაფარული ტერიტორიების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევისას, მიწების მელიორაციის დროს, ტყით სარგებლობისას, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შესრულებისას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, სამოვარი და გადასარეკი ადგილების განსაზღვრის, ტურისტული მარშრუტების შემუშავებისა და მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების მოწყობის დროს უნდა განხორციელდეს ღონისძიებები გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოსა და გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, წყლის სასმელი ადგილების შესანარჩუნებლად. ამას გარდა, ხელშეუხებლად უნდა იქნას შენარჩუნებული გარეულ ცხოველთა ნორმალური არსებობისათვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე უბნები. გზატკეცილების, მილსადენი და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალის, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების, აგრეთვე არხების, კაშხლებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტების, განლაგების, აგრეთვე მშენებლობის დროს, სამოვრებისა და სახნავ-სათესი ფართობების გამოყოფისას უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს გარეულ ცხოველთა სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციებისა და წყლის სასმელი ადგილების შენარჩუნებას.

ცხოველთა დაცვისა და მათზე ზემოქმედების თავიდან აცილების საკითხები ასევე შეტანილია სამართლებრივ აქტებში, რომლებიც არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის საკითხებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოიცავს დაგეგმილი საქმიანობის კონტექსტში პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენას, აღწერას და შედეგების შესწავლას, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების საკითხების ჩათვლით (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 15.05.2013 წ-ის დადგენილება #31-ით დამტკიცებული "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების მე-3 მუხლი). ცხოველთა სამყაროს სფეროსთან, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციისათვის იხ. თავი 1, პარაგრაფი 4.

4. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველთა სახეობები

ამჟამად საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია ცხოველთა 139 სახეობა (მათ შორის ძუძუმწოვრების 29, ფრინველების 35, რეპტილიების 11, ამფიბიების 2 და თევზების 14 სახეობა), რომელთაგან 43 სახეობა შეტანილია კატეგორიაში "გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი" ან "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი". ამას გარდა, საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა მრავალი სახეობა მსოფლიოში საფრთხის წინაშე მყოფად ითვლება.

საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა სახეობების საკითხები განხილულია "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონში (მუხლი 20), რომლის მიხედვითაც:

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა სახეობების, ქვესახეობებისა და სხვა ტაქსონომიური ერთეულების (შემდგომში – ტაქსონი) მდგომარეობის შეფასებისა და დაცულობის სტატუსის მინიჭების მიზნით დგება საქართველოს „წითელი ნუსხა“ და „წითელი წიგნი“.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა სახეობების მდგომარეობის და დაცულობის სტატუსის მინიჭება ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- (a) გადაშენებული ტაქსონი (Extinct - EX) - ტაქსონი გადაშენებულად ითვლება, როდესაც უკანასკნელი ინდივიდი დაღუპულია.
- (b) ბუნებაში გადაშენებული (Extinct in the Wild - EW) - როდესაც ცნობილია, რომ ამ სახეობის ინდივიდები დარჩენილია მხოლოდ ტყვეობაში;
- (c) გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი (Critically Endangered - CR) - ტაქსონი გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშეა, როდესაც მას უახლოეს მომავალში ემუქრება გადაშენების უაღრესად დიდი საფრთხე;
- (d) გადაშენების მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მყოფი (Endangered - EN) - ტაქსონი, რომელიც არ არის უკიდურესი საფრთხის წინაშე, მაგრამ ახლო მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს გადაშენების პირას;
- (e) მოწყვლადი (Vulnerable - VU) - ტაქსონი მოსალოდნელი საფრთხის წინაშე არ არის, მაგრამ მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე;
- (f) დაბალი რისკის ტაქსონი (Lower Risk - LR) - ტაქსონი არ აკმაყოფილებს გადაშენების მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მყოფთა და მოწყვლადთა კატეგორიების კრიტერიუმებს. ეს ტაქსონი შეიძლება დაიყოს სამ ქვეკატეგორიად:
 - (f)¹. კონსერვაციაზე დამოკიდებული ტაქსონი (Conservation Dependent - CD) - ტაქსონი, რომელიც დამოკიდებულია კონსერვაციაზე.
 - (f)². მოწყვლადთან ახლოს მყოფი ტაქსონი (Near Threatened - NT) - ტაქსონი, რომელიც არ უახლოვდება კონსერვაციაზე დამოკიდებულს, მაგრამ ახლოსაა მოწყვლადთან;
 - (f)³. ნაკლებად საგანგაშო ტაქსონი (Less Concern - LC) - ტაქსონი, რომელიც არ უახლოვდება კონსერვაციაზე დამოკიდებულს ან მოწყვლადთან ახლოს მყოფს;

(g) არასრული მონაცემების მქონე ტაქსონი (Data Deficient - DD) - ტაქსონი, რომლის შესახებ არსებული ინფორმაცია არასაკმარისია მისი გადაშენების რისკის პირდაპირი ან არაპირდაპირი შეფასებისათვის;

(h) შეუფასებელი ტაქსონი (Not Evaluated - NE) - ტაქსონი ამ კატეგორიას მიეკუთვნება მაშინ, როდესაც იგი ვერ ფასდება ვერც ერთი კრიტერიუმის მიხედვით.

ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა სახეობების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არელების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა, ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა სახეობების (ანუ საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების) დაცვის საკითხებს ასევე არეგულირებს საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ კანონი, რომელიც ფაქტიურად იმეორებს ამ სფეროსთან დაკავშირებით "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, იგი ამბობს, რომ "აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა."

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – გადარჩენის, განკურნების, პოპულაციის აღდგენისა და სამეცნიერო მიზნებისათვის, რაც ხორციელდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წერილობითი თანხმობით (აღნიშნული თანხმობა შესაძლებელია შეიცავდეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) გარკვეულ შეზღუდვებს ან/და პირობებს) (მუხლი 22).

ნაწილი 2: ნენსკრა-ნაკრას წყალშემკრების ფლორისა და მცენარეული საფარის მიმოხილვა

პროექტის ტერიტორია მოიცავს ნენსკრა-ნაკრას წყალშემკრების გეობოტანიკურ რაიონს, რომელიც განლაგებულია სვანეთის დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან რაიონს ძირითადი წყალგამყოფი ქედი ესაზღვრება; დასავლეთის საზღვარი ემთხვევა სვანეთის ადმინისტრაციულ საზღვარს; აღმოსავლეთის საზღვარი გასდევს ნაკრა-დოლრას წყალგამყოფს - ცალგმილის ქედს; სამხრეთის საზღვარი კი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირს მიუყვება.

მდ. ენგური ზემო სვანეთის მთავარი წყლის არტერიაა. იგი სათავეს იღებს ნამყვამის (ენგურ-უხვანის) მყინვარიდან, ხოლო სოფ. ხაიშთან გაედინება ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე. რეგიონის ფარგლებში ენგურის ხეობა კლდეკარისებურია: იგი კლდოვანი ნაპრალია სვანეთის, აფხაზეთ-სვანეთსა და სამეგრელოს ქედების კონტროფორსებს შორის. ამ გეობოტანიკურ რაიონის ფარგლებში ენგურის ხეობა გადის პალეოზოური მეტამორფული ქანების წყებაში (დიზის წყება), შუაიურულ პორფირიტულ სერიასა (ხაიშთან) და ცარცულ კირქვებში (ლარაკვაკვასთან და ჯვარს ზემოთ).

სვანეთ-აფხაზეთის ქედი კავკასიონს მთა ღვანდრასთან გამოეყოფა. სვანეთ-აფხაზეთის ქედის აღმოსავლეთი განშტოებებია: მდ. დალარისა და ცხანდირის წყალგამყოფი; ფანავის ქედი, რომელიც მდ. ლალამისა და დარჩის წყალგამყოფია; ლიხნილის ქედი, რომელიც მდ. დარჩისა და ლარაკვაკვას წყალგამყოფია. იგი იწყება ბაშკაფსარის მთით და ხაიშამდე აღწევს ბოყუნსთა-ლარაკვაკვასა და განდიშ-ღელეს შორის. ამავე ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონში თვალსაჩინო როგორაფიულ ერთეულს წარმოადგენს შტაულერის ქედი, რომელიც კავკასიონს გამოეყოფა და ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფია (მარუაშვილი, 1970).

ნენსკრა და ნაკრა მდ. ენგურის დიდ შენაკადებს წარმოადგენს. მდ. ნენსკრა სათავეს კავკასიონის სამხრეთის ფერდობებზე იღებს. ზემო წელში მისი ხეობა კარსტული ფიქლებითაა წარმოდგენილი, ქვედა ნაწილში კი თიხა-ფიქლებით და კარბონატული წყებით. ამ ნაწილში იგი კვეთს „დეისისა“ და „ლიასის“ თიხა-ფიქლებს, ქვიშაქვებს და ვულკანურ ქანებს.

თეთნაშერას შესართავამდე მდ. ნენსკრა შედარებით ვიწრო ხეობაში მიედინება. მისი მარჯვენა შენაკადებია: დალარი, ცხანდირი, ოკრილა, ხარალი, თეთნაშერა, დევრა, ლალამო, დარჩიე; მარცხენა - მანჩხაპური, ტიტა, მარლი, გვაშხარა.

მდ. ნაკრა მყინვარიდან მოედინება და მდ. ენგურს ზღვის დონიდან 918-1000 მ სიმაღლეზე ერთვის. ნაკრას ხეობა ღრმადაა ჩაჭრილი კრისტალურ ქანებში, თიხა-ფიქლებსა და კარბონატულ და პალეოზოურ მეტამორფულ წყებაში. სოფ. ნაკამდე მდინარე ვიწრო ხეობაში მიედინება. იგი შემოსაზღვრულია შტაულერის, ცალგმილისა და მთავარი ქედებით. ტროგული (U-ებრი) ფორმა მკაფიოდაა გამოხატული მდინარის სათავეში (უკლება, 1952; მარუაშვილი, 1970).

ამ რეგიონში, ისევე როგორც ზემო სვანეთის დასავლურ ნაწილში, ნალექების წლიური მოცულობა 1200-1350 მმ-ია. საშუალო წლიური ტემპერატურა 10-14 °C-ს შეადგენს; ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა 0.6°C-ია; ხოლო ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა - 20.9°C.

ტყის სარტყლის ზემოთ ნალექების რაოდენობა მატულობს. ტყიანი სარტყლის ზედა საზღვარი საშუალოდ 2000-2300მ სიმაღლეზე მდებარეობს. რაიონის, ისე როგორც ზემო სვანეთის უმეტესი ტერიტორიისთვის, ფიტოლანდშაფტის ძირითადი შემქმნელია მუქწიწვიანი ტყეები. ამით ეს მხარე ემსგავსება მთიანი აფხაზეთის, მაგ. კოდორის ხეობის ტყეებს. განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი მარადმწვანე ქვეტყე წყავით, შქერითა და ჭყორით. წყავი ფართოდაა გავრცელებული ლარაკვაკვასა და ორმელეთის ხეობებში. ქვედა ზონაში დომინირებს შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების სხვადასხვა ტიპები. მათგან უნდა გამოიყოს ქართული მუხის ტყეები, რომლებიც მდ. ენგურის გასწვრივ, მდ. ნენსკრას შესართავის მახლობლად და ასევე, მდ. ნაკრას შესართავთან, სოფ. ნაკის მიმდებარედ გვხვდება. რეგიონში ტყის სარტყელის ქვედა ნაწილში კარგადაა განვითარებული მარადმწვანე ქვეტყე. ეს შეინიშნება ორმელეთ-ლარაკვაკვას ხეობებში.

მდ. ლარაკვაკვასა და ენგურის შესართავთან, ამ უკანასკნელის მარჯვენა სანაპიროზე, ჩეკადერის მთის კირქვიანი გაშიშვლებაა, რომელიც სამეგრელოს ქედის ჩრდილოეთ განშტოებას წარმოადგენს. აქ წარმოდგენილია კოლხეთის კირქვიანების ფლოროცენოტური კომპლექსის ნაშთი, რაც უნიკალურია სვანეთისათვის. აქვეა დასავლეთ-ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ფიჭვნარ-მუხნარი ცენოზები სესლერიას მონაწილეობით. ქვეტყეში ჭარბობს კოლხური დენდროფლორის წარმომადგენლები: კოლხური სურო, ეკალიჭი, თავისარა, კენიგის შინდანწლა; მეორად ეკოტოპებზე მრავლადაა მაყვალი. აქ აღინიშნება ეკალიჭის მასიური გავრცელება. კირქვიანებისათვის სპეციფიური კომპონენტებიდან უნდა აღვნიშნოთ ზემოთ დასახელებული სესლერია (*Sesleria anatolica*). აფხაზეთ-სამეგრელოს ენდემი – *Kemulariella colchica*, რომელიც ტენიან კლდეებზე იზრდება; აფხაზეთისა და რაჭა-ლეჩხუმის კირქვიანების ენდემი *Asperula kemulariae*; დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ენდემი *Epimedium colchicum*, რომელიც მუხნარის კომპონენტია. ასეთივე კომპლექსი მუხნარი ეპიმედიუმით-აღნიშნულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ხაიშსა და დიხს შორის. ღორღიან ეკოტოპებზე იზრდება *Leptopus colchicus*. ეს სახეობა ჭუბერშიც არის აღნიშნული. აღსანიშნავია ასევე თუთუბოსა და თრიმლის ცენოზები. სოფ. დიხთან, ზღვის დონიდან დაახლოებით 950 მ სიმაღლეზე, ხეობის ფსკერზე, მარჯვენა სანაპიროს თიხიან ფიქლებსა და ღორღებიან ეკოტოპზე აღინიშნება იშვიათი, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის სახეობის *Alyssoides graeca*-ს გავრცელება. გვარი *Alyssoides* ახალია საქართველოს ფლორისათვის. აღნიშნული სახეობა საერთოდ იშვიათია კავკასიისათვის და იგი მხოლოდ თებერდა-ზელენჩუკის ხეობებისთვის იყო ცნობილი. ნენსკრა-ნაკრას ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონში, ისე როგორც სხვა რაიონებში, ენგურისა და მის შენაკადთა ხეობების ფსკერისათვის დამახასიათებელია *Valeriana alliariifolia* და *Saturea spicigera*.

რეგიონის ზოგიერთ ადგილას, 1500-1600 მ სიმაღლეებზე წარმოდგენილია წიფლნარ-რცხილნარი ტყეები, წაბლის შერევით. ასეთი ტყე გვხვდება, მაგალითად, სოფ. ნაკის მახლობლად, მდინარის მარჯვენა ფერდობებზე, სადაც იგი განვითარებულია მუქწიწვიანი ტყის სარტყელის ფარგლებში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული ზღვის დონიდან 1700-1800 მ სიმაღლეზე. აღნიშნული სიმაღლე ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს სოჭნარ-ნამდენარებისათვის (დოლუხანოვი, სახოკია, ხარაძე, 1946). 2000 მ-ზე ზემოთ მუქწიწვიან ტყეებს სუბალპურ სარტყელი ენაცვლება. მუქწიწვიანი ტყეების სარტყელში ფართოდაა გავრცელებული კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*); ცხვანდირსა და დალარს შორის გავრცელებულია წიფლნარი ტყეები. იმ უბნებზე, სადაც მუქწიწვიანი ტყეები გაიჩეხა, ფართოდაა წარმოდგენილი *Senecio pojarkovae*, რომელიც სოფლის მეურნეობის კუთხით მნიშვნელოვანი სახეობაა.

სვანეთის გეობოტანიკური რაიონის მცენარეულობა ფიტოცენოლოგიურად მდიდარი და მრავალფეროვანია. ქვაბულის დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებში ჰავის მნიშვნელოვანი სხვაობის (დასავლურ ნაწილში ჰავა უფრო რბილია, ზღვიური; აღმოსავლურ ნაწილში - უფრო კონტინენტური, მკაცრი), აგრეთვე მცენარეულობაზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის არათანაბარი ზემოქმედებისა და სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური მიზეზების გამო, მცენარეული საფარის სტრუქტურა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებულია.

ტყის სარტყელი რაიონში ვრცელდება 1800-1850 ზ.დ.მ-მდე. განსხვავება სვანეთის ქვაბულების დასავლური და აღმოსავლური ნაწილების ტყეებს შორის საგრძნობია.

რელიქტური ტყეები (ფორმაციები, ასოციაციები) ფართოდაა გავრცელებული ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილში. რაიონის დასავლური ნაწილის მცენარეული საფარი აფხაზეთ-სამეგრელოს გეობოტანიკური რაიონის მცენარეულ საფართან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს. 1000-1200 მ ზოლში სჭარბობს შერეული ფოთლოვანი ტყეები (შერეული ფოთლოვანი ტყეების ქვესარტყელი). ამ ტყეებში ძირითადი სახეობებია (ედიფაქტორებია): წიფელი (*Fagus orientalis*), წაბლი (*Castanea sativa*), რცხილა (*Carpinus caucasica*). ამ სახეობებს ერევა: ცაცხვი (*Tilia caucasica*), ლეკა (*Acer platanoides*), ქორაფი (*Acer laetum*) და სხვა. ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი რელიქტური კოლხური ქვეტყითაა (შქერი - *Rhododendron ponticum*, წყავი - *Laurocerasus officinalis*, კავკასიური მოცვი - *Vaccinium arctostaphylos* და სხვა). მონოდომინანტური და ბიდომინანტური ფოთლოვანი ტყეებიდან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია: წაბლნარი (*Castanea sativa*), რცხილნარი (*Carpinus caucasica*), წიფლნარი (*Fagus orientalis*), წიფლნარ-რცხილნარი, რცხილნარ-წაბლნარი ტყეები. სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის შედარებით მშრალ ფერდობებზე დომინირებს ქართული მუხის (*Quercus iberica*) და რცხილნარ-მუხნარი ტყეები. კირქვიან ფერდობებზე წარმოდგენილია საინტერესო რელიქტური მუხის ტყეები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა რელიქტური სახეობები (ჩიტოწვივა (*Epimedium colchicum*), *Arachne colchica*, *Trachystemon orientale* და სხვა). მურყნარი ტყეები (*Alnus barbata*) განვითარებულია მდინარეთა ჭალებში (პროლივიურ ტერასებზე). შერეული წიწვოვან-ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის კორომები, კერძოდ კი ნაძვნარი (*Picea orientalis*), სოჭნარი (*Abies nordmanniana*), ფიჭვნარი (*Pinus sosnowskyi*), ნაძვნარ-წიფლნარი, ფიჭვნარ-ნაძვნარი, ნაძვნარ-სოჭნარი და სხვა კორომები წარმოდგენილია ქვეზონებად.

ტყის მცენარეულობის შემადგენლობა მკვეთრად იცვლება 1000-1100 მ-იდან 1800-1850 მ-მდე სიმაღლეებს შორის. ტყის მცენარეულ საფარში დომინირებს წიფლნარები (*Fagus orientalis*) და მუქწიწვოვანი ტყეები (მაღალმთის ნაძვი - *Picea orientalis*, სოჭი - *Abies nordmanniana*). კავკასიური ფიჭვის (*Pinus kochiana*) ტყეები აქ ნაკლებად განვითარებულია. აღსანიშნავია, რომ სვანეთის დასავლური ნაწილი ნაკლებადაა დასახლებული, რამაც განაპირობა აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით ხელუხლებელი და უმნიშვნელოდ დარღვეული ტყის თანასაზოგადოებათა არსებობა (შესანიშნავი წიფლნარი მასივები შემორჩენილია სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედების ჩრდილო კალთებზე). ტყეების მნიშვნელოვან ნაწილში (წიფლნარებში, სოჭნარებში, ნაძვნარებში, წიფლნარ-სოჭნარებში) განვითარებულია რელიქტური კოლხური ქვეტყე (წყავი (*Laurocerasus officinalis*), შქერი (*Rhododendron ponticum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), იელი (*Rhododendron luteum*) და სხვა).

აღსანიშნავია ნენსკრა-ნაკრას რაიონის კიდევ ზოგიერთი ფიტოლანდშაფტური და ფლორისტული თავისებურება. აფხაზეთ-სვანეთისა და ცალგმილის ქედებზე, სუბალპურ ზონაში განვითარებულია პატარ-პატარა ჰიპნუმიან, ისლიანი და სფაგნუმიანი მყინვარული წარმოშობის ჭაობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაშკაფსკარას ქედის ჭაობი (მდ. ორმელეთის სათავეებში, ნენსკრას მარჯვენა მხარე), შავლურას ჭაობი (დევრას სათავეები) სფაგნუმის განვითარებით, სადაც განვითარებულია იშვიათი გავრცელების პალეარქტიკული სახეობა *Scheuchzeria palustris*.

სვანეთის მთიანეთში, განსაკუთრებით ზემო სვანეთში, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ტორფიან-ჭაობიანები; თუმცა ისინი დიდ ფართობზე იშვიათად იკავებს. საქართველოს ამ მთიან მხარეში გვხვდება თითქმის ყველა ტიპის ჭაობიანები, მაგრამ დომინირებული მდგომარეობა მეზო-ოლიგოტროფულ ჭაობებს მიეკუთვნება. მათი უმრავლესობა თავმოყრილია ნამენარ-სოჭნარების ზედა საზღვართან, ზღვის დონიდან 1800-2000მ-ს ფარგლებში. ამ ჭაობიანებში ინტენსიურად მიმდინარეობს ტორფდაგროვების პროცესი.

სვანეთის მთიანეთის ტორფიან-ჭაობიანთა შორის გეობოტანიკურად ყველაზე მეტად საინტერესოა მდ. ნენსკრას (ჭუბრულას) აუზში განვითარებული ჭაობები. ერთი მათგანი საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი ა. დოლუხანოვს (1941). ეს ჭაობიანი მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 1750მ-ზე. მისი შემოგარენის სახელწოდებაა ჩამხარხი. ამ ჭაობის ირგვლივ არსებული გავაკება დაფარულია ფართოფოთლიან ნაირბალახოვანი მდელოთი, ხოლო ფერდობებზე განვითარებულია ნამენარ-სოჭნარები, რომელთანაც კომპლექსში მცირე მონაკვეთებზე წარმოდგენილია წიფლნარები და მთის ნეკერჩხლიანები. ამ ტორფიან ჭაობიანის უმეტეს ნაწილზე განვითარებულია სფაგნუმიანები-Sphagnetumsc heuchzerieto-caricosum, Sphagnetum scheuchzeriosum და Sphagnetum caricosum. ამ ასოციაციების ხავსის საფარში გაბატონებულია Sphagnum magellanicum და Sph. Angustifolium. მათთან მცირე სიმრავლით შერეულია სფაგნუმის ზოგი სხვა სახეობაც და *Drepanocladus fluitans*. ტორფიანის მოწყლულელებულ ზედაპირზე განვითარებულია *Caricetum inflatae drepanocladiosum*, *Caricetum irriguae drepanocladiosum*, *Scheuchzerietum palustrae purum* და ისლიანი. აქ ჭაობგანვითარება ოლიგოტროფულ სტადიაშია. ტორფიან-ჭაობიანის ზედაპირი ტალღისებურია.

ამავე ხეობის აუზში ზღვის დონიდან 2200მ-ზე, ორმელეთ-საკენის წყალგამყოფი ქედის მცირექანობიან ფერდობზე განვითარებულია ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი მდელოებით და დეკიანით გარშემორტყმული ჭაობიანი. ამ ჭაობიანისთვის დამახასიათებელია ერთ მეტრამდე სისქის ტორფიანი დანაფენი, რომლის დაწრეტილი წყალიც თანდათანობით აჭაობებს მომიჯნავე მდელოს. ჭაობიანის მცენარეულობაში გაბატონებულია *Caricetum kotschyanae hypnosum* და *Caricetum kotschyanae sphagnosum*; ასევე წარმოდგენილია *Caricetum canescenti drepanocladiosum*.

ჩამხარხის ანალოგიური ჭაობიანი განვითარებულია მდ. ნენსკრას მარჯვენა მხარეს ლახამის წყლისა და დევლურას წყალგამყოფზე. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 1800მ-ზე და გარემოცულია სოჭნარით. ჭაობის პირზე გვხვდება არყის, მთის ნეკერჩხლის და წიფლის თითო-ოროლა ეგზემპლარი. ამ ჭაობიანის შემოგარენის სახელწოდებაა შამფრილი. ჭაობიანი განვითარების მეზოტროფულ სტადიაშია. მისი სანაპირო ზოლი ამოზნექილია, ხოლო შიგნითა ნაწილი ჩაზნექილია და უახლოვდება გრუნტის წყლის დონეს. ხმელეთსა და ჭაობიანის ამოზნექილ ზოლს შორის განვითარებულია ვიწრო

ღარტაფი, რომელშიც გროვდება ტორფიანიდან დაწრეტილი წყალი. ეს ღარტაფი ჭაობდება. დაჭაობება გადადის ხმელეთზე.

შამფრილის ტორფიან-ჭაობიანის მცენარეულ კომპლექსში გაბატონებულია *Cariceta inflatae* და *Cariceta irriguae*. უფრო მცირე ფართობზე წარმოდგენილია *Scheuchzerieta palustrae* და *Caricetum canescenti sphagnosum*. ხავსების სინუზიაში გაბატონებულია *Sphagnum subsecundum* და *Sph. teres*; სფაგნუმის საფარში შედარებით მცირე სიმრავლით ჩართულია *Drepanocladus fluitans*, ხოლო იშვიათად იგი გაბატონებულია ზოგიერთი ასოციაციის (*Caricetum inflatae drepanocladiosum*, *Scheuchzerietum palustrae drepanocladiosum*) ხავსების სინუზიაში. *Scheuchzerieta palustrae*-ს ასოციაციები უმთავრესად ჭაობიანის შუაგულშია განვითარებული.

აღწერილი ჭაობიანისაგან დასავლეთით, ზღვის დონიდან დაახლოებით 1900მ-ზე მდებარეობს საკმაოდ დიდფართობიანი ტორფიან-ჭაობიანი, რომელიც დომბაილარას სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მასივი განვითარებულია მდ. ჭუბრულას მარჯვენა შენაკადის - ლახამისწყლის სათავეებთან, სოჭნარებით გარემოცულ ტერიტორიაზე. სანაპიროზე და ჭაობიანშიც იზრდება, არყი, მთის ნეკერჩხალი, მურყანი, ტირიფის ორი სახეობა დაა სხვა. დომბაილარას ტორფიან-ჭაობიანი წარმოქმნილია ძველი მყინვარისაგან გამომუშავებულ რელიეფზე, როგორც ჩანს მორენული ტბების დაჭაობების შედეგად. მისი თანამედროვე ზედაპირი მცირე ნაკადულებით გამიჯნულია რამდენიმე მოზრდილფართიან ნაკვეთებად. მათზე განვითარებულია ისლიან-სფაგნუმთანების განსხვავებული კომპლექსები. მაგალითად, ჭაობიანის ერთ იზოლირებულ ნაკვეთზე განვითარებულია *Sphagnetum caricosum lasiocarpae* და *Sphagnetum caricosum limosae*; ფრაგმენტულად გვხვდება *Caricetum canescenti calliergonosum*-იც. სფაგნუმთანების ხავსის სინუზიაში გაბატონებულია *Sphagnum angustifolium* და *Sph. magellanicum*. სფაგნუმის პირველი სახეობა დომინირებს შედარებით ჭარბწყლიან ტორფნარზე, ხოლო მეორე - წყლით ნაკლებად გაჯერებულ ზედაპირებზე. მათთან ერთად წარმოდგენილია სხვა ხავსებიც, მაგრამ მათ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ. ტორფიან-ჭაობიანი მასივის მეორე მონაკვეთზე გაბატონებულია *Sphagneta caricosa*. ამ ჯგუფის ასოციაციების ბალახეულ სინუზიაში დომინანტობს *Carex inflata*, *C. canescens*, *C. irrigua*, *C. limosa*, *C. dacica*, ხოლო ხავსების სინუზიაში - *Sphagnum angustifolium* და *Sph. subsecundum*, ანდა შედარებით იშვიათად *Sphagnum magellanicum* და *Sph. amblyphyllum*. მათთან ერთად უფრო ნაკლები სიმრავლით გვხვდება სხვა ხავსებიც. მესამე იზოლირებულ მონაკვეთზე, რომელსაც ყველაზე ნაკლები ფართობი უკავია, განვითარებულია *Sphagnetum molinoso-caricosum*, რომელშიც ხავსების მთლიან საფარს ქმნის ზემოაღნიშნული სახეობანი, ხოლო ბალახეულ მცენარეთა სინუზიაში დომინირებულ სახეობებთან ერთად მონაწილეობს *Carex irrigua*, *Eriophorum vaginatum*, *Potentilla erecta*, *Nardus glabriculumis* და სხვა. ჭაობიანი მასივის მეოთხე ნაკვეთზე, რომელიც მთელი მასივის ფართობის დაახლოებით მეხუთედი იქნება, განვითარებულია *Caricetum dacicae purum*, *Caricetum dacicae calliergonosum* და *Caricetum dacicae sphagnosum*, აგრეთვე *Sphagnetum caricosum*-ის ფრაგმენტები. დომბაილარას ეს მონაკვეთი ძირითადად ევტროფული ასოციაციების კომპლექსითაა დაფარული, ხოლო ჭაობიანის დანარჩენი ნაწილი-მეზოოლიგოტროფული ტიპის მცენარეულობით.

დომბაილარას ჭაობიანი მასივის მცენარეულობა განვითარებულია საკმაოდ ღრმა ტორფიან დანაფენებზე, რომლის ორგანოგენური ნაწილი შექმნილია ხავსებისა და ისლების ნაშთისაგან. ჭაობიანი განვითარების მეზოტროფულ სტადიაშია. ისლიან-სფაგნუმთანების ზემოხსენებულ კომპლექსში შედარებით მცირეფართიან ნაკვეთებზე

ჩამოყალიბებულია *Sphagnetum caricoso-nardosum*. მას უკავია ყველაზე უფრო შემადგენელ ზედაპირიანი ტორფნარი. ამ ტორფიან-ჭაობიანის მცენარეულობის განვითარების დასკვნით საფეხურზე უმეტესწილად ვითარდება სხვადასხვა ტიპის ძიგვიანი, შედარებით იშვიათად კი დეკიანი. დეკიანის ფრაგმენტები რამდენიმე ადგილზეა წარმოქმნილი და უკავია შემადგენელი მიკრორელიეფი.

ტორფიან-ჭაობიანები ნაკრას ხეობაში ნაკლებად გავრცელებულია. ამასთან, აქ უმთავრესად გვხვდება გრუნტული კვების ევტროფული ჭაობიანები. ამ ხეობაში ჭარბტენიანი ტერიტორიები ძირითადად წარმოდგენილია მდ. ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფ ქედზე (უთვირის უღელტეხილი). ყალგამყოფი ქედის ქვედა ნაწილში, ნაკრას ხეობის მარჯვენა მხარეს ნამძნარ-სოჭნარების ზედა ზოლის საზვავო ღარტაფებზე ზღვის დონიდან 1600-2000მ-ზე რამდენიმე ადგილას განვითარებულია გრუნტული კვების ისლიანი ჭაობები, სადაც უმეტესად გაბატონებულია *Caricetum dacicae purum*, *Caricetum dacicae hypnosum*. ფრაგმენტების სახით წარმოდგენილია *Caricetum muricatae philonotiosum* და *Caricetum muricatae sphagnosum*. ამ ასოციაციათა ხავსის საფარს ქმნის *Sphagnum squarrosum*, ხოლო ბალახოვან მცენარეთა სინუზიების შექმნაში მონაწილეობს კავკასიონისათვის საკმაოდ იშვიათი მცენარეები *Primula grandis* და *Cardamine seidlitziana*. ამ ჭაობიანებში წარმოქმნილია უხეშტორფიანი დანაფენები, რომლის სისქე 50-60სმ-ს აღწევს. ეს ჭაობიანები წარმოდგენილია მაღალბალახეულობისა და ფართოფოთლიან ნაირბალახოვანი მდელოების კომპლექსში.

ზემოაღწერილისაგან განსხვავებული ტიპის ჭაობებია განვითარებული მდ. ნაკრას მარცხენა მხარის ფერდობზე - ნაკრა-მაულაშის წყალგამყოფ ქედზე, მუჰამტობის ჭაობიანის ქვემოთ, ზღვის დონიდან 1500მ-ზე, სოფ. ცალერის მახლობლად. ამ ჭაობიანის შემოგარენის სახელწოდებაა ციგრანი. ჭაობის ყველაზე ღრმაწყლიან ნაწილში განვითარებულია *Potamogetonum natantis purum*, რომელიც გარშემორტყმულია ლაქაშიანით. სანაპირო ზოლის წინა ჭაობიანის ტიპის ისლიანებთან (*Caricetum canescenti hypnosum* და *Caricetum dacicae ulacomnium*) ერთად გვხვდება *Blysmetum compressi hypnosum*. ჭაობიანი იკვებება მინერალური წყაროებით. ამის გამო ჭაობიანის ტორფიან ზედაპირზე სფაგნუმი არ გვხვდება. მათ მახლობლად რამდენიმე ადგილას არის ევტროფული ჭაობები, რომლებიც მინერალური წყაროებით იკვებება. ამ ჭაობიანებში განვითარებულია *Blysmeta compressi hypnosa*-ს და *Junceta lampocarp* *hypnosa*-ს ასოციაციები. ამ ტიპის ჭაობიანები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე დოლრას ხეობაში, უმთავრესად სოფ. მაზერისა და სოფ. გულის მიდამოებში. აქ ისინი ჩვეულებრივად განვითარებულია ხეობის ძირზე, ან მცირექანობიან ფერდობებზე და უკავიათ პატარ-პატარა ფართობები.

მცენარეული საფარის ფიტოცენოლოგიური შინაარსისა და მცენარეულობის ძირითადი ტიპების გავრცელების კანონზომიერების საფუძველზე სვანეთის მაღალმთიანეთში დადგენილია 11 მიკრორაიონი (ქიმერიძე, 1985). აღნიშნული მახასიათებლების გარდა, ისინი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ფლორის შემადგენლობით, მდელოების დეგრადაციის და მიწების ეროზიულობის ხარისხით. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს პირველ მიკრორაიონში. ქვემოთ მოყვანილია პირველი მიკრორაიონის ტერიტორიალური განლაგების თავისებურება მცენარეული საფარის ძირითადი მაჩვენებლების აღნიშვნით.

პირველი მიკრორაიონი მდებარეობს სვანეთის კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის დასავლეთ ნაწილში, სვანეთ-აფხაზეთის ქედიდან მოყოლებული მდ. დოლრას

სათავემდე. მცენარეულ ლანდშაფტში გაბატონებულია ალპური ნემსიწვერიანები, ფართოფოთლიანი ნაირბალახოვანი და პოლიდომინანტური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოები. შედარებით რბილ რელიეფზე ზოგან განვითარებულია ძიგვიანები, ხოლო ქანობიან რელიეფზე - დეკვიანები. რამდენიმე ადგილას განვითარებულია ევტროფული და მეზოოლოგოტროფული ჭაობები *Scheuchzeria palustris*-ის და სხვა ობლიგატი ჰელოფიტების მონაწილეობით. ერთი ასეთი ჭაობი პირველად აღწერა (1941) დოლუხანოვმა, ხოლო შემდეგში ქიმერიძემ (1964). სფაგნუმის ხავსები და, საერთოდ, ჭაობის სპეციფიკური ხავსები, სახეობრივი შემადგენლობით ყველაზე უხვად ამ მიკრორაიონშია წარმოდგენილი.

ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში განვითარებულია ფლორისტულად მდიდარი კოლხური სუბალპური მაღალბალახეულობა. იგივე მდინარეების აუზებიდან Sommier-სა და Levier-ის (1900) მიერ აღწერილ იქნა მეცნიერებისათვის მრავალი ახალი მცენარე. ამ ხეობებში გავრცელებულია იშვიათი კოლხური და კავკასიური სახეობები: *Cirsium albuvianum*, *Angelica tatiana*, *Lilium keselringianum* და სხვა.

სუბნივალური სარტყელი წარმოდგენილია მთათა ქედებსა და მწვერვალებზე, ზღვის დონიდან 3200 მ სიმაღლის ზემოთ. ამ სარტყელში მცენარეული საფარი წარმოდგენილია ღია ცენოზებით; გვხვდება ალპური მდელოების ფრაგმენტებიც. სვანეთის კავკასიონზე, დორლადან დაწყებული თეთნულდამდე მცენარეულ საფარში დომინირებს სვანეთისთვის იშვიათი სუბნივალური სახეობები - *Delphinium caucasicum*, *Pseudovesicaria digitata* და სხვა (ქიმერიძე, 1985). ნენსკრა-ნაკრას ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონისათვის დამახასიათებელია დასავლეთ კავკასიონის სახეობა - *Jurinea pumila* და კავკასია-წინააზიის სახეობა - *Coluteocarpus vesicaria*.

თავი 3. ნენსკრასა და ნაკრას ხეობების ფლორისა და მცენარეულობის დეტალური აღწერა (2015 წლის დამატებითი კვლევა)

2015 წელს დამატებითი ბოტანიკური კვლევა განხორციელებული იქნა ნენსკრა ჰესის პროექტის გაფართოებულ დერეფანში, რომელიც მოიცავს ნენსკრასა და ნაკრას ხეობებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა დაგეგმილი პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი უარყოფითი და ნარჩენი ზემოქმედება პროექტის დერეფნისა და მიმდებარე ტერიტორიების ფლორასა და მცენარეულობაზე, მათ შორის სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებებსა და სახეობებზე (წითელი ნუსხის, ენდემური, იშვიათი), აგრეთვე ეკონომიკური ღირებულების მქონე მცენარეებზე. პროექტის ზემოქმედების არეალში წარმოდგენილი ფიტოცენოზები აღწერილა ქვემოთ.

მეთოდოლოგია/ ფლორისა და მცენარეული საფარის კვლევა

ბოტანიკური კვლევისას მცენარეულობის სიხშირე-დაფარულობა შეფასდა დრუდეს სკალით. ამ სკალის სიმბოლოები აღნიშნავს სახეობის სიხშირესა და დაფარულობას. კერძოდ, ეს სკალა იყენებს შემდეგ სიმბოლოებს: Soc (socialis) - დომინანტი სახეობა, სიხშირე-დაფარულობა აღემატება 90%-ს; Cop³ (coptosal) - მაღალი რიცხოვნობის სახეობა, სიხშირე-დაფარულობა 70-90%; Cop² - სახეობა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ინდივიდებით, სიხშირე-დაფარულობა 50-70%; Cop¹ - სიხშირე-დაფარულობა 50-70%; Sp³ (sporsal) - სიხშირე-დაფარულობა დაახლ. 30%; Sp² (sporsal) - სიხშირე-დაფარულობა დაახლ. 20%; Sp¹ (sporsal) - სიხშირე-დაფარულობა დაახლ. 10%; Sol (solitarie)- მცირერიცხოვანი ინდივიდები, სიხშირე-დაფარულობა 10%-მდე; Un (unicum) - ერთი ინდივიდი.

მონაცემთა შეგროვება

მცენარეთა თანასაზოგადოებების შესახებ შეგროვებული იქნა რაოდენობრივი მონაცემები. კვლევისას გამოყენებული იქნა ნაკვეთების აღწერის მეთოდი. ამ მიზნით, მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე ბალახოვანი მცენარეების თითოეულ თანასაზოგადოებაში შერჩეული იქნა სამი 1 მ² ფართობის ნაკვეთი. ბუჩქნარის, ხე-მცენარეებისა და მცენარეთა სხვა ფორმების აღსაწერად გამოყენებული იქნა სხვადასხვა ზომის ნაკვეთები. ამ ნაკვეთების ფართობები, რაც განისაზღვრა R. Tüxen-ის (1970) მიხედვით, მოცემულია ცხრილი 3-ში:

ცხრილი 3. სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატების მუდმივი სანიმუშო ფართობი (მ²)

N	ფართობი (მ ²)	ჰაბიტატის ტიპი
1	1	მდელოები
2	4	ჭაობიანები
3	25	ბუჩქნარი
4	100	ტყე

აღსაწერი ნაკვეთების ფორმა კვადრატულია. თითოეული ნაკვეთისათვის დაფიქსირებული იქნა GPS (გლობალური პოზიციონირების სისტემა) კოორდინატები. ნაკვეთების ფართობის განსაზღვრად, 1 მ² ფართობის ნაკვეთების შემთხვევაში გამოყენებული იქნა ჩარჩო და საზომი ლენტი. ინვენტარიზაციის/ შეფასების დრო ემთხვევა თითოეული თანასაზოგადოების ორ ფენოლოგიურ ფაზას, კერძოდ

ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის ფაზებს. ყოველი ვიზიტისას ფიქსირებული წერტილებიდან გადაღებული იქნა თითოეული ნაკვეთის ფოტოსურათები. თითოეული აღწერილი ნაკვეთის შესახებ მონაცემთა აღსარიცხად შემუშავებული იქნა შემდეგი ცხრილი (ცხრილი 4, 5, 6,7):

ცხრილი 4: ტყის მცენარეულობის სახეობათა ინვენტარიზაციის მონაცემები

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	
საკონსერვაციო ღირებულება	
არეალი	
ნაკვეთის №	
ნაკვეთის ფართობი (მ ²)	
GPS კოორდინატები	
სიმაღლე ზ.დ. (მ)	
ასპექტი	
დახრილობა	
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
მაქს. დმს (სმ)	
საშუალო დმს (სმ)	
ხის მაქს. სიმაღლე (მ)	
საშუალო სიმაღლე (მ)	
ხეების რაოდენობა სანიმუშო ნაკვეთზე	
ხეების იარუსის დაფარულობა (%)	
ბუჩქების დაფარულობა (%)	
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	
ხავსების დაფარულობა (%)	
უმადლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	
ხავსების სახეობათა რაოდენობა	
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ხეების იარუსი	
ბუჩქები	
ბალახოვანი საფარი	
ხავსის საფარი	

ცხრილი 5: მდელოებისა და ჭაობიანების მცენარეულობის სახეობათა ინვენტარიზაციის მონაცემები

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	
საკონსერვაციო ღირებულება	
არეალი	
ნაკვეთის №	
ნაკვეთის ფართობი (მ ²)	
GPS კოორდინატები	
სიმაღლე ზ.დ. (მ)	
ასპექტი	
დახრილობა	
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	
ხავსების დაფარულობა (%)	
უმაღლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	
ხავსების სახეობათა რაოდენობა	
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ბალახოვანი საფარი	
ხავსის საფარი	

ცხრილი 6: ბუჩქნარი სახეობების ინვენტარიზაციის მონაცემები

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	
საკონსერვაციო ღირებულება	
არეალი	
ნაკვეთის №	
ნაკვეთის ფართობი (მ ²)	
GPS კოორდინატები	
სიმაღლე ზ.დ. (მ)	
ასპექტი	
დახრილობა	
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
ბუჩქების სიმაღლე (მ)	
ბუჩქების დაფარულობა (%)	
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	
ხავსების დაფარულობა (%)	
უმაღლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	
ხავსების სახეობათა რაოდენობა	
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ბუჩქები	

ბალახოვანი საფარი	
ხავსის საფარი	

ცხრილი 7: მცენარეული საფარის დეტალური კვლევის ფორმის ნიმუში

GPS კოორდინატები:	თარიღი:	ნიმუშის ნომერი:	სიმაღლე ზღ. დ.
--------------------------	----------------	------------------------	-----------------------

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი:
 ხეების მაქს. სიმაღლე (მ)..... ხეების საშუალო სიმაღლე (მ)..... ხეების საშუალო ასაკი.....წელი
 ხეების იარუსის დაფარულობა (%)..... ბუჩქების დაფარულობა (%)..... ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%).....
ზოგადი დახასიათება და შენიშვნები:

არა	სახეობები	დომინის სკალა	საკონსერვაციო ღირებულება: დაბალი / საშუალო / მაღალი
1			რა განაპირობებს საკონსერვაციო ღირებულებას:
2			
3			ფოტოს ნომერი/სახელწოდება:
4			რუკაზე დატანილი პოლიგონი: კი/არა
5			ადამიანის საქმიანობა (ხეების ჭრა/მოვება): კი / არა
6			დომინის სკალა: წარმოადგენს სისტემას, რომლითაც ხდება მცენარეულობის დაფარულობის შეფასება 1-დან 10-მდე ქულებით. მკითხველისთვის მისი გაგება მარტივია და იგი გამოქვეყნებულია:
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			Domin value
17			Cover-abundance
18			10 91-100%
			9 76-90%
			8 51-75%
			7 34-50%
			6 26-33%
			5 11-25%
			4 4-10%
			3 <4% frequent
			2 <4% occasional
			1 <4% rare
19			

საველე კვლევებისას შეგროვებული იქნა შემდეგი მონაცემები:

1. მონაცემთა დოკუმენტირებისათვის საჭირო მონაცემები: სამიზნე სახეობის სახელი, ნაკვეთის #, პოპულაციის #, სურათები, რუკა, საველე მონაცემების შეგროვების თარიღი. მცენარეთა ლათინური სახელები ძირითადად დაფიქსირდა ჩერეპანოვისა (1995) და "საქართველოს ფლორის" II გამოცემის მიხედვით; ხოლო ორქიდეების ოჯახის (Orchidaceae) ნომენკლატურა წარმოდგენილია ახალკაცის (2003) მიხედვით.

2. მონაცემები გარემოს მახასიათებლების შესახებ:

- სამიზნე სახეობის პოპულაციის საერთო ზომა (მ2);
- ნაკვეთზე წარმოდგენილი სამიზნე სახეობების ინდივიდების რაოდენობა;
- ადგილმდებარეობა, ზუსტი GPS კოორდინატები, სიმაღლე ზღვის დონიდან და ფერდობის მახასიათებლები (დახრილობა, ექსპოზიცია);
- მცენარეულობის დაფარულობა (%) და სიმაღლე (სმ);
- ჰაბიტატის ტიპი და არსებული ზემოქმედების აღწერა.

ნაკვეთებზე წარმოდგენილი თანასაზოგადოებების სახეცვლილების დონის აღსაწერად გამოყენებული იქნა შემდეგი კატეგორიები:

- შედარებით სტაბილური ან ხელუხლებელი თანასაზოგადოებები; მაგალითი: ასაკიანი, უძოვებელი ტყე.
- გვიანი სუქცესიის ან მცირედ მოდიფიცირებული თანასაზოგადოებები; მაგალითი: ასაკიანი ტყე, სადაც ბოლო წლებში სელექციური ჭრები განხორციელდა.
- საშუალო სუქცესიის, ზომიერად ან ძლიერად მოდიფიცირებული თანასაზოგადოებები; მაგალითი: ახალგაზრდა ან ზრდასრული მეორადი ტყეები.
- ადრე სუქცესიის ან ძლიერ მოდიფიცირებული თანასაზოგადოებები. მაგალითი: ნებისმიერი ასაკის ძლიერ გადამოვილი ტყე.
- ძალიან ადრე სუქცესიის ან ძლიერ მოდიფიცირებული თანასაზოგადოებები. მაგალითი: სახნავ-სათესი მიწა.

ფლორისა და მცენარეთა რეცეპტორების სენსიტიურობის შეფასების მეთოდოლოგია

მცენარეთა სახვადასხვა თანასაზოგადოებების მნიშვნელოვნების შესაფასებლად გამოყენებული იქნა Morris&Therivel (1995) (იხ. ცხრილი 5):

ცხრილი 5: Morris&Therivel-ის მიერ რეკომენდირებული შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	მაღალი	საშუალო	დაბალი
სახეობათა სიმრავლე	აღინიშნა ან შესაძლოა აღირიცხოს სახეობათა დიდი მრავალფეროვნება. აღირიცხა ან შესაძლოა წარმოდგენილი იქნას საქართველოს წითელ ნუსხაში და/ან IUCN-ის წითელი ნუსხაში შეტანილი ენდემური ან საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები.	სახეობათა საშუალო მრავალფეროვნება. რამდენიმე იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა.	სახეობათა დაბალი მრავალფეროვნება, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები ფაქტიურად არ ექვევა ზემოქმედების ქვეშ.

კრიტერიუმი	მაღალი	საშუალო	დაბალი
ბუნებრიობა და სახეცვლილების დონე	ბუნებრივი ან მცირედ მოდიფიცირებული ჰაბიტატები	საშუალოდ მოდიფიცირებული ჰაბიტატები, მაგ., ისეთები, რომელთაც ჯერ კიდევ შესწევთ სახასიათო სახეობების შენარჩუნების უნარი.	ძლიერ მოდიფიცირებული ჰაბიტატები.
ანთროპოგენული ზემოქმედება	ძალიან მცირე ანთროპოგენული ზემოქმედება, ან ასეთი ზემოქმედების გარეშე	მცირე ანთროპოგენული ზემოქმედება	მაღალი ანთროპოგენული ზემოქმედება (მოვება, ტყის ჭრა და სხვა)
ჰაბიტატის იშვიათობა და გეოგრაფიული გავრცელება	ქვეყანაში ან რეგიონში იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ჰაბიტატი.	რეგიონისთვის არც ისე სახასიათო ჰაბიტატი	ქვეყანისათვის სახასიათო ჰაბიტატი

ნენსკრასა და ნაკრას ხეობების ჰაბიტატების შესაფასებლად გამოყენებული იქნა საქართველოს ჰაბიტატების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება "ევროკავშირის ჰაბიტატების ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს" - EUR27. ჰაბიტატების დირექტივა (ევროსაბჭოს დირექტივა 92/43/EEC, 1992 წლის 21 მაისი, ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ, O.J. L206) წარმოადგენს ბუნების კონსერვაციის სფეროში ევროკავშირის სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც ადგენს ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაციის საერთო ჩარჩოს; იგი მოითხოვს განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიების ქსელის დაარსებას, რომელიც Natura 2000-ად იწოდება, რათა "ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანი ველური ფლორისა და ფაუნის ბუნებრივი ჰაბიტატები და სახეობები შენარჩუნებული იქნას სათანადო საკონსერვაციო სტატუსით ან აღდგენილ იქნას ასეთ სტატუსამდე." დირექტივას საფუძვლად უდევს CORINE-ის ბიოტოპების კლასიფიკაცია (1989, 1991), რომელიც განსაზღვრავს ევროპის ჰაბიტატების კოდებსა და ტიპებს, ასევე აღწერს მათ ქვე-ტიპებს. სხვადასხვა ქვეყნებში წარმოდგენილი ჰაბიტატების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ჰაბიტატების კომიტეტის (დაარსებულია დირექტივის 92/43/EEC საფუძველზე) მიერ შექმნილმა მეცნიერთა სამუშაო ჯგუფმა 1992 წლის მაისში გამოხატა დანართი I-ის ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს, მათ შორის ჰაბიტატების ტიპების კლასიფიკაციის შემუშავების საჭიროება. კომისიისა და ადგილობრივი ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ორი საკითხი:

- (1) დანართი I-ის ინტერპრეტაციისას ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ჰაბიტატების პრიორიტეტულ ტიპებზე.
- (2) CORINE კლასიფიკაციის (1991 წ-ის ვერსია) მეშვეობით შესაძლებელია დანართი I-ის ჰაბიტატების ტიპების აღწერა; იმ შემთხვევებში კი, როცა ექსპერტები ამ სისტემას შეუფერებლად ჩათვლიან, ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით უნდა მომზადდეს მეცნიერული აღწერა.

ევროპის კონტინენტის ქვეყნებში "ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს" EUR27 ვერსიის მიხედვით ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიზანია კონკრეტული ქვეყნებისათვის სახასიათო ახალი ჰაბიტატების აღწერა. ჰაბიტატების ეს ახალი ტიპები მიღებული უნდა იქნას კომისიის მიერ და შეტანილი უნდა იქნას დანართ I-ში.

საქართველო ჰაბიტატების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი ნაწილი იდენტურია "ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს" v. EUR27 ვერსიაში უკვე შეტანილი ჰაბიტატებისა. ზოგიერთი კი, როგორცაა კოლხეთის ფართოფოთლოვანი შერეული ტყეები, მშრალი მეჩხერი ტყეები, სუბალპური მაღალბალახეულობა, სუბალპური ტანბრეცილი არყნარი, ან დეკიანები, სავარაუდოდ დანართ I-ში შესატანი იქნება ჰაბიტატების დამატებითი ტიპების სახით.

ინტერპრეტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, ჰაბიტატების კლასიფიკაცია ხდება მცენარეთა თანასაზოგადოების ტიპების მიხედვით. საქართველოს მცენარეულობა კარგადაა შესწავლილი ქართველი ბოტანიკოსების მიერ (Grossheim et al., 1928; კეცხოველი, 1959; ქიმიერიძე, 1965, 1966; დოლუხანოვი, 1989; ნახუცრიშვილი, 1999, ქვაჩაკიძე, 2009).

ნაკრას ხეობა

ნაკვეთი 1. ნამცნარ-რცხილნარი

მცნარეული თანასაზოგადოების ტიპი	ნამცნარ-რცხილნარი
საკონსერვაციო ღირებულება	მაღალი
ადგილმდებარეობა	მდ. ნაკრას მარჯვენა ნაპირი, ნაკრა-ენგურის შესართავთან
სანიმუშო ნაკვეთის №	1
სანიმუშო ნაკვეთის ფართობი (მ ²)	100
GPS კოორდინატები	0286237/4770322
სიმაღლე ზ.დ. (მ)	1031
ასპექტი	აღმოსავლეთი
დახრილობა	35 ⁰
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
მაქს. დმს (სმ)	30
საშუალო დმს (სმ)	16
ხის მაქს. სიმაღლე (მ)	16
საშუალო სიმაღლე (მ)	10
ხეების რაოდენობა სანიმუშო ნაკვეთზე	10-12
ხეების იარუსის დაფარულობა (%)	80-85
ბუჩქების დაფარულობა (%)	30-35
ბუჩქების სიმაღლე (სმ)	400
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	20-25
ბალახოვანი საფარის სიმაღლე (სმ)	40
ხავსების დაფარულობა (%)	5-7 (7-8 სახეობა)
უმალეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	21
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ხეების იარუსი	
<i>Carpinus caucasica</i>	D-30 სმ, H-8მ, 100 წელი Sol
<i>Picea orientalis</i> -კავკასიის სუბენდემი მცირე აზიაში ირადიაციით	D-16-18 სმ, H-8-10მ, 30-40 წელი Sol
<i>Abies nordmanniana</i> -კავკასიის სუბენდემი მცირე აზიაში ირადიაციით	D-24სმ, H-14-16მ, 80 წელი Sol
<i>Pinus kochiana</i>	D-14-16 სმ, H-10მ, 15-20 წელი Sol
<i>Tilia begoniifolia</i> , <i>Fagus orientalis</i> , <i>Castanea sativa</i> -საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა (VU) , <i>Taxus baccata</i> -საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა (VU), <i>Quercus iberica</i> -ახალგაზრდა ხეები (იშვიათი მცენარე)	Sol
ბუჩქები	
<i>Ilex colchica</i> -მესამეული ფლორის რელიქტური სახეობა ბალკანეთში (სტრანჯა) და მცირე აზიაში ირადიაციით	H-3-4მ, Sp ³
<i>Euonymus europaea</i>	Sp ¹
<i>Rubus sp.</i>	Sp ²
<i>Viburnum orientalis</i>	Sp ¹
ბალახოვანი საფარი	
<i>Festuca drimeja</i>	Sp ²
<i>Primula macrocalyx</i>	Sp ¹
<i>Sanicula europaea</i>	Sp ¹
<i>Oxalis acetosella</i>	Sp ¹
<i>Polystichum braunii</i>	Sol
<i>Polygonatum polyanthemum</i>	Sol

Viola alba	Sol
Asplenium trichomanes	Sol
ხავსის საფარი	
ხავსის სახეობები	Sol

GPS მდებარეობა: 0286237/4770322	თარიღი: 11.09.2015	ნიმუშის ნომერი: 1	სიმაღლე ზღ. დ. 1031
---	------------------------------	--------------------------	----------------------------

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი: ნაძვნარ-რცხილნარი
ხეების მაქს. სიმაღლე (მ) 16; ხეების საშუალო სიმაღლე (მ) 10;...ხეების საშუალო ასაკი: 80 წელი.
ხეების იარუსის დაფარულობა (%) 85; ბუჩქების დაფარულობა (%) 35; ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%) 90.

ზოგადი დახასიათება და შენიშვნები:

თანასაზოგადოება: წიფლნარი ჭყორის (*Ilex colchica*) და წყავის (*Laurocerasus officinalis*) ქვეტყით (*Fageta ilicitoso-laurocerasosa*) გვხვდება კირქვიან მთებზე აფხაზეთში და სამეგრელოში - ყვირას, მიგარიას და ასხის მთის მასივებზე.

№	სახეობები	დომინის სკალა	საკონსერვაციო ღირებულება: მაღალი																						
1	<i>Carpinus caucasica</i>	4	რა განაპირობებს საკონსერვაციო ღირებულებას: ფიტოცენოზი კოლხური ელემენტებით (ფიტოცენოზის ხასიათი)																						
2	<i>Picea orientalis</i> -კავკასიის სუბენდემი მცირე აზიაში ირადიაციით	3																							
3	<i>Abies nordmanniana</i> -კავკასიის სუბენდემი მცირე აზიაში ირადიაციით	2	ფოტოს ნომერი/სახელწოდება: CIMG9860. <i>Viburnum orientalis</i> ; CIMG9861. <i>Ilex colchica</i> ; CIMG9862. <i>Abies nordmanniana</i> ; CIMG9863. <i>Ilex colchica</i> ; CIMG9864. <i>Taxus baccata</i> ; CIMG9865. ნაძვნარ-რცხილნარი.																						
4	<i>Pinus kochiana</i>	2	რუკაზე დატანილი პოლიგონი: კი																						
5	<i>Tilia begoniifolia</i>	1	ადამიანის საქმიანობა (ხეების ჭრა/მოვება): ხეების ჭრა																						
6	<i>Fagus orientalis</i>	1	დომინის სკალა: სისტემა, რომლითაც ხდება მცენარეულობის დაფარულობის კლასიფიცირება 1-დან 10-მდე ქულებით. <table border="1" style="width: 100%; margin-top: 10px;"> <thead> <tr> <th>დომინანტობის მაჩვენებელი</th> <th>დაფარულობის ხარისხი</th> </tr> </thead> <tbody> <tr><td>10</td><td>91-100%</td></tr> <tr><td>9</td><td>76-90%</td></tr> <tr><td>8</td><td>51-75%</td></tr> <tr><td>7</td><td>34-50%</td></tr> <tr><td>6</td><td>26-33%</td></tr> <tr><td>5</td><td>11-25%</td></tr> <tr><td>4</td><td>4-10%</td></tr> <tr><td>3</td><td><4% ხშირი</td></tr> <tr><td>2</td><td><4% ალაგ-ალაგ</td></tr> <tr><td>1</td><td><4% იშვიათი</td></tr> </tbody> </table>	დომინანტობის მაჩვენებელი	დაფარულობის ხარისხი	10	91-100%	9	76-90%	8	51-75%	7	34-50%	6	26-33%	5	11-25%	4	4-10%	3	<4% ხშირი	2	<4% ალაგ-ალაგ	1	<4% იშვიათი
დომინანტობის მაჩვენებელი	დაფარულობის ხარისხი																								
10	91-100%																								
9	76-90%																								
8	51-75%																								
7	34-50%																								
6	26-33%																								
5	11-25%																								
4	4-10%																								
3	<4% ხშირი																								
2	<4% ალაგ-ალაგ																								
1	<4% იშვიათი																								
7	<i>Castanea sativa</i> -საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა (VU)	1																							
8	<i>Taxus baccata</i> -საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა (VU)	1																							
9	<i>Quercus iberica</i> -იშვიათი მცენარე	1																							
10	<i>Ilex colchica</i> -მესამეული ფლორის რელიქტური სახეობა ბალკანეთში (სტრანჯა) და მცირე აზიაში ირადიაციით	6																							
11	<i>Euonymus europaea</i>	4																							
12	<i>Rubus sp.</i>	5																							
13	<i>Viburnum orientalis</i>	4																							
14	<i>Festuca drimeja</i>	5																							
15	<i>Primula macrocalyx</i>	4																							
16	<i>Sanicula europaea</i>	4																							
17	<i>Oxalis acetosella</i>	4																							
18	<i>Polystichum braunii</i>	2																							
19	<i>Polygonatum polyanthemum</i>	2																							

20	Viola alba	2	
21	Asplenium trichomanes	2	

ჰაბიტატის ტიპი: 91FC-GE* საქართველოს კოდი: წიფლნარი კოლხური ქვეტყით (*Fageta fruticosa colchica*)

ჰაბიტატის ქვეტიპი: 91FC-GE-02 წიფლნარი (*Fageta ilicitoso-laurocerasosa*) ჭყორის (*Ilex colchica*) ქვეტყით.



ნაკვეთი 1. CIMG9860. *Viburnum orientalis*



ნაკვეთი 1. CIMG9861. *Ilex colchica*



ნაკვეთი 1. CIMG9862. *Abies nordmanniana*



ნაკვეთი 1. CIMG9863. *Ilex colchica*



ნაკვეთი 1. CIMG9864. *Taxus baccata*



ნაკვეთი 1. CIMG9865. ნაძვნარ-რცხილნარი

ნაკვეთი 2. წიფლნარი

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	წიფლნარი
საკონსერვაციო ღირებულება	საშუალო
ადგილმდებარეობა	მდ. ნაკრას მარჯვენა ნაპირი, სოფ. ნაკრა
სანიმუშო ნაკვეთის №	2
სანიმუშო ნაკვეთის ფართობი (მ ²)	100
GPS კოორდინატები	0286770/4772467
სიმაღლე ზ.დ. (მ)	1143
ასპექტი	აღმოსავლეთი
დახრილობა	20-25 ⁰
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
მაქს. დმს (სმ)	50
საშუალო დმს (სმ)	32
ხის მაქს. სიმაღლე (მ)	24
საშუალო სიმაღლე (მ)	20
ხეების რაოდენობა სანიმუშო ნაკვეთზე	8-9
ხეების იარუსის დაფარულობა (%)	90
ბუჩქების დაფარულობა (%)	1-3
ბუჩქების სიმაღლე (სმ)	60
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	5-7
ბალახოვანი საფარის სიმაღლე (სმ)	50
ხავსების დაფარულობა (%)	3-5
უმაღლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	7
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ხეების იარუსი	
Fagus orientalis	D-50 სმ, H-22-24მ (მაქსიმუმი), 90-110 წელი D-28-32 სმ, H-18-20მ (საშუალო), 60-65 წელი Cop ³
ბუჩქები	
Rhododendron luteum	H-60სმ, Sol
ბალახოვანი საფარი	
Dryopteris filix-mas	H-40-50სმ Sol
Vicia erocea	Sol
Viola alba	Sol
Sanicula europaea	Sol
Cephalanthera rubra-CITES	Unicum
ხავსის საფარი	
ხავსის სახეობები	Sol

GPS მდებარეობა: 0286770/4772467	თარიღი: 11.09.2015	ნიმუშის ნომერი: 2	სიმაღლე ზ.დ. 1143
<p>მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი: წიფლნარი ხეების მაქს. სიმაღლე (მ) 24; ხეების საშუალო სიმაღლე (მ) 20; ხეების საშუალო ასაკი: 70 წელი. ხეების იარუსის დაფარულობა (%) 90; ბუჩქების დაფარულობა (%) 3; ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%) 20-30.</p> <p>ზოგადი დახასიათება და შენიშვნები: თანასაზოგადოება: ტყის შუა სარტყლის წიფლნარი იელის ქვეტყით (Fageta azaleosa media) გვხვდება დასავლეთ საქართველოს მთიან მასივებზე, საშუალო წლიური ნალექით 800-1500 მმ. დამახასიათებელი ლანდშაფტია საშუალო დახრილობის ამობურცული რელიეფის მქონე სამხრეთი ფერდობი. წიფელთან შერეულია რცხილა, ქართული მუხა და ბოკვი (<i>Acer velutinum</i>). ქვედა იარუსის სახეობებია: <i>Festuca drymeja</i>, <i>Rubus</i> spp., <i>Vicia crocea</i>, <i>Trachystemon</i></p>			

<i>orientalis.</i>			
№	სახეობები	დომინის სკალა	საკონსერვაციო ღირებულება: საშუალო
1	<i>Fagus orientalis</i>	9	რა განაპირობებს საკონსერვაციო ღირებულებას: ფიტოცენოზის ხასიათი, ჯადვარი (<i>Cephalanthera rubra</i>) ფოტოს ნომერი/სახელწოდება: CIMG9866. <i>Cephalanthera rubra</i> ; CIMG9867. წიფლნარი; CIMG9868. წიფლნარი.
2	<i>Rhododendron luteum</i>	2	
3	<i>Dryopteris filix-mas</i>	2	
4	<i>Vicia erocea</i>	2	რუკაზე დატანილი პოლიგონი: კი
5	<i>Viola alba</i>	2	ადამიანის საქმიანობა (ხეების ჭრა/მოვება): მოვება, ხეების ჭრა
6	<i>Sanicula europaea</i>	2	დომინის სკალა: სისტემა, რომლითაც ხდება
7	<i>Cephalanthera rubra</i> - CITES	1	მცენარეულობის დაფარულობის კლასიფიცირება 1-დან 10-მდე ქულებით.
8			დომინანტობის
9			მაჩვენებელი
10			10
11			9
12			8
13			7
14			6
15			5
16			4
17			3
18			2
19			1

ჰაბიტატის ტიპი: 91FC-GE* საქართველოს კოდი: წიფლნარი კოლხური ქვეტყით (*Fageta fruticosa colchica*)

ჰაბიტატის ქვეტიპი: 91FC-GE -05 წიფლნარი ტყე იელის (*Rhododendron luteum*) ქვეტყით (*Fageta azaleoza*)



ნაკვეთი 2. CIMG9866. *Cephalanthera rubra*



ნაკვეთი 2. CIMG9867. წიფლნარი



ნაკვეთი 2. CIMG9868. წიფლნარი

ნაკვეთი 3. წიფლნარი წაბლის, რცხილის და მუხის შერევით

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	წიფლნარი წაბლის, რცხილის და მუხის შერევით
საკონსერვაციო ღირებულება	საშუალო
ადგილმდებარეობა	მდ. ნაკრას მარჯვენა ნაპირი, სოფ. ნაკრა
სანიმუშო ნაკვეთის №	3
სანიმუშო ნაკვეთის ფართობი (მ ²)	100
GPS კოორდინატები	0286987/4773147
სიმაღლე ზ.დ. (მ)	1197
ასპექტი	აღმოსავლეთი
დახრილობა	20-25 ⁰
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
მაქს. დმს (სმ)	100
საშუალო დმს (სმ)	50
ხის მაქს. სიმაღლე (მ)	26
საშუალო სიმაღლე (მ)	18
ხეების რაოდენობა სანიმუშო ნაკვეთზე	5-6
ხეების იარუსის დაფარულობა (%)	50-60
ბუჩქების დაფარულობა (%)	-
ბუჩქების სიმაღლე (სმ)	-
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	15-20
ბალახოვანი საფარის სიმაღლე (სმ)	150
ხავსების დაფარულობა (%)	5-7 (3-4 სახეობა)
უმაღლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	15
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ხეების იარუსი	
Fagus orientalis	D-100 სმ, H-24-26მ (მაქსიმუმი), 170 წელი D-50 სმ, H-20-22მ, 130 წელი C ^{op3}
Castanea sativa-საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა (VU)	D-44 სმ, H-18-20მ, 90-100 წელი Sp ¹
Carpinus caucasica	D-100 სმ, H-8-10მ, 130 წელი Sp ¹
Quercus iberica-იშვიათი მცენარე	D-40-44 სმ, H-18-20მ, 100-120 წელი Sp ¹
Acer campestre	D-30-32 სმ, H-14-16მ, 70-80 წელი Sol
Fraxinus excelsior	D-28-30 სმ, H-16-18მ, 40-45 წელი Sol
ბუჩქები	
ბუჩქების სახეობები არ დაფიქსირებულა	-
ბალახოვანი საფარი	
Senecio pojarkovae-კავკასიის ენდემი	H-1,5მ, Sp ¹
Salvia glutinosa	Sol
Sanicula europaea	Sol
Sambucus ebulus	Sol
Calystegia silvatica	Sol
Circaea lutetiana	Sol
Euphorbia macroceras-კავკასიის ენდემი	Sol
Helleborus caucasicus-კავკასიის ენდემი	Sol
Clinopodium umbrosum	Sol
ხავსის საფარი	
ხავსის სახეობები	Sol

GPS მდებარეობა: 0286987/4773147		თარიღი: 11.09.2015	ნიმუშის ნომერი: 3	სიმაღლე ზღ. დ. 1197
<p>მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი: წიფლნარი წაბლის, რცხილის და მუხის შერევით ხეების მაქს. სიმაღლე (მ) 26; ხეების საშუალო სიმაღლე (მ) 18; ხეების საშუალო ასაკი: 80 წელი. ხეებით დაფარული ფართობი (%) 60; ბუჩქებით დაფარული ფართობი (%) ---; მიწის მცენარეულობით დაფარული ფართობი (%) 30-35.</p> <p>ზოგადი დახასიათება და შენიშვნები: თანასაზოგადოება: საქართველოს წიფლის ტყეებს ევროპის ასეთივე ტყეებისაგან განასხვავებს ხშირი ქვეტყე. წიფლნარი კოლხური ქვეტყით, კოლხური შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ეკორეგიონის შემადგენელი ნაწილია. იგი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში დიდი კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ფარდობებზე და აჭარა-იმერეთის ქედზე. კლიმატი ტენიანია, დაახ. 2500 მმ წლიური ნალექით. სამხრეთ კოლხეთში ამ ტიპის ტყეები იწყება ზღვის სანაპიროდან, ჩრდილოეთ ნაწილში კი ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლიდან და აღწევს 2250 მ-მდე. შედეგად, მცენარეულობის ტიპი ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისგან და განასხვავებენ რამოდენიმე ქვეტიპს. ზოგჯერ ქვეტიპები შერეულია ერთმანეთთან, რაც ართულებს მათ კლასიფიკაციას.</p>				
№	სახეობები	დომინის სკალა	საკონსერვაციო ღირებულება: საშუალო	
1	<i>Fagus orientalis</i>	8	რა განაპირობებს საკონსერვაციო ღირებულებას: ფოტოცენოზის ხასიათი	
2	<i>Castanea sativa</i> - საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა (VU)	4		
3	<i>Carpinus caucasica</i>	4	ფოტოს ნომერი/სახელწოდება: CIMG9869. <i>Castanea sativa</i> ; CIMG9870. წიფლნარი წაბლის, რცხილის და მუხის შერევით.	
4	<i>Quercus iberica</i> -იშვიათი მცენარე	4	რუკაზე დატანილი პოლიგონი: კი	
5	<i>Acer campestre</i>	2	ადამიანის საქმიანობა (ხეების ჭრა/მოვება): ხეების ჭრა, მოვება	
6	<i>Fraxinus excelsior</i>	2	დომინის სკალა: სისტემა, რომლითაც ხდება მცენარეულობის დაფარულობის კლასიფიცირება 1-დან 10-მდე ქულებით.	
7	<i>Senecio pojarkovae</i> - კავკასიის ენდემი	4		
8	<i>Salvia glutinosa</i>	2	დომინანტობის მაჩვენებელი	დაფარულობის ხარისხი
9	<i>Sanicula europaea</i>	2	10	91-100%
10	<i>Sambucus ebulus</i>	2	9	76-90%
11	<i>Calystegia silvatica</i>	2	8	51-75%
12	<i>Circaea lutetiana</i>	2	8	51-75%
13	<i>Euphorbia macroceras</i> - კავკასიის ენდემი	2	7	34-50%
14	<i>Helleborus caucasicus</i> - კავკასიის ენდემი	2	6	26-33%
15	<i>Clinopodium umbrosum</i>	2	5	11-25%
16			4	4-10%
17			3	<4% ხშირი
18			2	<4% ალაგ-ალაგ
19			1	<4% იშვიათი

ჰაბიტატის ტიპი: 91FC-GE* საქართველოს კოდი: წიფლნარი კოლხური ქვეტყით (*Fageta fruticosa colchica*)

ჰაბიტატის ტიპი: 91FC-GE* საქართველოს კოდი: წიფლნარი კოლხური ქვეტყით (*Fageta fruticosa colchica*)



ნაკვეთი 3. CIMG9869. *Castanea sativa*



ნაკვეთი 3. CIMG9870. წიფლნარი წაბლის,
რცხილის და მუხის შერევით

ნაკვეთი №4. მურყნარ-წიფლნარი

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	მურყნარ-წიფლნარი
საკონსერვაციო ღირებულება	დაბალი
ადგილმდებარეობა	მდ. ნაკრას მარცხენა ნაპირი
სანიმუშო ნაკვეთის №	4
სანიმუშო ნაკვეთის ფართობი (მ ²)	100
GPS კოორდინატები	0287393/4774930
სიმაღლე ზ.დ. (მ)	1265
ასპექტი	დასავლეთი
დახრილობა	20-25°
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
მაქს. დმს (სმ)	90
საშუალო დმს (სმ)	40
ხის მაქს. სიმაღლე (მ)	28
საშუალო სიმაღლე (მ)	20
ხეების რაოდენობა სანიმუშო ნაკვეთზე	3-4
ხეების იარუსის დაფარულობა (%)	50-60
ბუჩქების დაფარულობა (%)	3-5
ბუჩქების სიმაღლე (სმ)	700
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	30-35
ბალახოვანი საფარის სიმაღლე (სმ)	40
ხავსების დაფარულობა (%)	20-25 (8-9 სახეობა)
უმალეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	20
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს შკალით
ხეების იარუსი	
Fagus orientalis	D-1,5მ, H-26-28მ (მაქსიმუმი), 190 წელი D-70-80სმ, H-24-26მ (საშუალო), 140 წელი C _{op} ²
Alnus barbata	D-40-44სმ, H-20-22მ (მაქსიმუმი), 60 წელი D-30სმ, H-16-18მ (საშუალო), 50 წელი Sp ¹
Acer platanoides	D-80-90სმ, H-24-26მ, 150 წელი Sol
ბუჩქები	
Rubus sp.	Sol
Corylus avellana	H-6-7მ, Sol
ბალახოვანი საფარი	
Dryopteris filix-mas	Sp ³
Athyrium filix-femina	Sp ³
Asperula odorata	Sp ²
Cicerbitaa petiolata	Sol
Tamus communis	Sol
Geranium robertianum	Sp ¹
Viola alba	Sp ¹
Sanicula europaea	Sp ¹
Polygonatum polyanthemum	Sol
Symphytum asperum	Sol
Salvia glutinosa	Sol
Brachypodium silvaticum	Sp ¹
Galeopsis sp.	Sol
Euphorbia macroceras-კავკასიის ენდემი	Sol
Inula magnifica	Unicum

ხავსის საფარი	
ხავსის სახეობები	Sp ³

GPS მდებარეობა: 0287393/4774930	თარიღი: 11.09.2015	ნიმუშის ნომერი: 4	სიმაღლე ზღ. დ. 1265
------------------------------------	-----------------------	-------------------	---------------------

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი: მურყნარ-წიფლნარი
 ხეების მაქს. სიმაღლე (მ) 28; ხეების საშუალო სიმაღლე (მ) 20; ხეების საშუალო ასაკი: 100 წელი.
 ხეების იარუსის დაფარულობა (%) 60; ბუჩქების დაფარულობა (%) 5; ბალახოვანი მცენარეულობის დაფარულობა (%) 20-25.

ზოგადი დახასიათება და შენიშვნები:

თანასაზოგადოება: 6 დომინანტი ხის სახეობაა გამოყოფილი, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა შემადგენლობის სინტაქსონებს - წაბლი (*Castanea sativa*), წიფელი (*Fagus orientalis*), იმერული მუხა (*Quercus imeretina*), კოლხური მუხა (*Q. hartwissiana*), მურყანი (*Alnus barbata*) და რცხილა (*Carpinus betulus*). მერქნიანი მცენარეებიდან ხშირად გვხვდება: ძელქვა (*Zelkova carpintfolia*), ქართული მუხა (*Q. iberica*), თელა (*Ulmus glabra*, *U. elliptica*), ქორაფი (*Acer laetum*), ლეკა (*Acer platanoides*), ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ტირიფი (*Salix micans*, *S. pantosericea*), კავკასიური პანტა (*Pyrus caucasica*), მაქალო (*Malus orientalis*), ხურმა (*Diospyros lotus*), ივანი (*Fraxinus excelsior*), ფიჭვი (*Pinus kochiana*) და უთხოვარი (*Taxus baccata*).

№	სახეობები	დომინანტის სკალა	საკონსერვაციო ღირებულება: დაბალი
1	<i>Fagus orientalis</i>	8	რა განაპირობებს საკონსერვაციო ღირებულებას: დეგრადირებული, ტრივიალური ფიტოცენოზი
2	<i>Alnus barbata</i>	4	
3	<i>Acer platanoides</i>	2	
			ფოტოს ნომერი/სახელწოდება: CIMG9873. <i>Inula magnifica</i>; CIMG9874. მურყნარ-წიფლნარი; CIMG9875. მურყნარ-წიფლნარი; CIMG9876. <i>Tamus communis</i>; CIMG9877. მურყნარ-წიფლნარი; CIMG9878. <i>Euphorbia macroceras</i>.
4	<i>Rubus</i> sp.	2	რუკაზე დატანილი პოლიგონი: კი
5	<i>Corylus avellana</i>	2	ადამიანის საქმიანობა (ხეების ჭრა/მოვება): ხეების ჭრა
6	<i>Dryopteris filix-mas</i>	6	დომინანტის სკალა: სისტემა, რომლითაც ხდება მცენარეულობის დაფარულობის კლასიფიცირება 1-დან 10-მდე ქულებით.
7	<i>Athyrium filix-femina</i>	6	
8	<i>Asperula odorata</i>	5	
9	<i>Cicerbitaa petiolata</i>	2	
10	<i>Tamus communis</i>	2	
11	<i>Geranium robertianum</i>	4	
12	<i>Viola alba</i>	4	
13	<i>Sanicula europaea</i>	4	
14	<i>Polygonatum polyanthemum</i>	2	
15	<i>Symphytum asperum</i>	2	
16	<i>Salvia glutinosa</i>	2	
17	<i>Brachypodium silvaticum</i>	4	
18	<i>Galeopsis</i> sp.	2	
19	<i>Euphorbia macroceras</i> - კავკასიის ენდემი	2	
20	<i>Inula magnifica</i>	1	

ჰაბიტატის ტიპი: 9BC-GE* საქართველოს კოდი: კოლხეთის რელიქტური ფართოფოთლოვანი შერეული ტყე

2.5. საკვლევი არეალის მნიშვნელობა ორნითოლოგიური კუთხით

ავტორის მიერ წინა წლებში განხორციელებული საველე სამუშაოებისას შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ასევე სხვა არსებული მონაცემების გათვალისწინებით (ორნითოლოგიური პუბლიკაციები, გამოუქვეყნებელი ანგარიშები, ქართველი სპეციალისტებისა და ვიზიტორების მიერ პირადად მოწოდებული ინფორმაცია და სხვა), პროექტის ტერიტორია და მიმდებარე ტერიტორიები ნაკლებად მნიშვნელოვანია ფრინველების კუთხით. ასეთი განცხადების გაკეთების საშუალებას იძლევა შემდეგი:

- საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი ფრინველის სახეობები ფართოდაა გავრცელებული დიდ კავკასიონზე და საქართველოს ამ რეგიონში, ანუ სვანეთში; ამასთან, მათი პოპულაციები მრავალრიცხოვანია. კერძოდ, ფართოდ გავრცელებული სახეობებითაა წარმოდგენილი საკვლევ არეალში მოხუდარი ფრინველები. მოხუდარი, გადამფრენი და მოზამთრე სახეობებიდან დომინირებს მცირე ზომის ბელურასებრი ფრინველები.

- როგორც ცნობილია, საქართველო მნიშვნელოვანი ტერიტორიას დასავლეთ პალეარქტიკული ფრინველებისათვის, რადგან აქ მათი ერთ-ერთი ძირითადი სამიგრაციო მარშრუტი გადის დასავლეთ საქართველო, ანუ შავი ზღვის აუზი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ფრინველის მრავალი სახეობისათვის, როგორცაა: მტაცებლები, ყანჩა, წინტალა, ლაკლაკი, წერო, თოლია, თევზიყლაპია, მწყერი, ყაპყაპი, კრაზანაჭამია, ნამგალა, ბელურა და სხვა, რადგანაც მიგრაციისას მათთვის შესვენების და გამოსაზამთრებელი ადგილია. თუმცა, თავად საკვლევი ტერიტორია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სამიგრაციო მარშრუტს, ე.წ. 'ვიწრო ყელს', შესაჩერებელ, შესასვენებელ ან გამოსაზამთრებელ ადგილს.
- საკვლევი ტერიტორიის მნიშვნელობა და ღირებულება იზრდება სეზონური მიგრაციებისას, რადგანაც აქ, კერძოდ კი მდ. ენგურის ხეობაზე ფრინველის მრავალი სახეობის სამიგრაციო დერეფანი გადის; თუმცა, იგი მეორადი სამიგრაციო მარშრუტია. ძირითადი სამიგრაციო მარშრუტები დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროსა და აღმოსავლეთით, მდ. რიონის ხეობის გასწვრივ გადის. ნენსკრასა და ნაკრას ხეობების მნიშვნელობა ამ კუთხით ძალიან დაბალია, რადგანაც გამვლელი მიგრანტების დიდი ნაწილი შემოდგომისა და გაზაფხულის მიგრაციისას ამ რეგიონს ენგურის ხეობის გასწვრივ გადაკვეთს. როგორც წესი, პროექტის ტერიტორიას გამვლელი მიგრანტების დიდი ნაწილი შეუჩერებლად გადაკვეთს. თუმცა, იშვიათად შესაძლოა ასეთი ფრინველების მცირე რაოდენობა აქ მაინც შეჩერდეს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკვლევი ტერიტორიის ნაწილი, კერძოდ მდ. ნენსკრას ქვედა წელში წარმოდგენილი ჭალა, სეზონური მიგრაციებისას, კერძოდ კი შემოდგომის ტრანზიტული გადაფრენის პიკში (სექტემბერის პირველ ნახევარი) შეიძლება ორნითოლოგიური კუთხით საშუალო ღირებულების ჰაბიტატად ჩაითვალოს.
- საქართველო მნიშვნელოვან ტერიტორიას წარმოადგენს მრავალი მოზამთრე წყლის ფრინველისათვის, ასევე მტაცებელი, ბელურასებრი და ზოგიერთი სხვა ფრინველებისთვის. საქართველოში არსებული გამოსაზამთრებელ ადგილები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ჩრდილოეთის რეგიონებში (აზოვის ზღვის აუზი, რუსეთის სამხრეთი, იმიერკავკასია, მდ. დონის ხეობის ქვედა ნაწილი და სხვა) არახელსაყრელი ამინდებია. თუმცა, საკვლევი ტერიტორია ფრინველთა ძირითად გამოსაზამთრებელ ადგილებს არ მიეკუთვნება და ამ კუთხით იგი დაბალღირებულია.
- პროექტის ტერიტორია დაცული ტერიტორიების საზღვრებში არ ხვდება;
- საკვლევი ტერიტორია არ შედის ფრინველების მრავალფეროვნებით ან ენდემური სახეობებით გამორჩეულ უბნებში;
- ფრინველების კუთხით მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ნენსკრას ხეობის ზედა ნაწილი;

- ფრინველებზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული შემაწუხებელი ფაქტორები.

ნაწილი 3. ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში 16 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე პერიოდში განხორციელებული ორნითოლოგიური კვლევის შედეგები

პროექტის ტერიტორიაზე 2015 წლის 16-20 სექტემბერს განხორციელებული ხუთდღიანი კვლევის ფარგლებში ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ფრინველების 54 სახეობა აღირიცხა, საიდანაც 15 არა-ბელურასებრია და დანარჩენი 39 ბელურასებრი. ნენსკრას ხეობაში, კერძოდ კი სოფ. ლეკალმახესა და ტიტასთან, ასევე მიმდებარე ფერდობებზე აღირიცხა 38 სახეობა. ნაკრას ხეობაში 23 სახეობა დაფიქსირდა.

დათვლის მეთოდი: გავლილი იქნა საფეხმავლო მარშრუტები, რომლის დროსაც ხდებოდა შეჩერება და ოპტიმალური წერტილებიდან ხორციელდებოდა ვიზუალური დაკვირვება. დაკვირვების წერტილები შერჩეული იყო სათვლელი მარშრუტების გასწვრივ წარმოდგენილ სხვადასხვა ჰაბიტატებში (სურათი 3-1 და 3-2).



სურათი 3-1 და 3-2.

ვიზუალური დაკვირვებისას საკვლევ ტერიტორიაზე დადასტურდა შემდეგი ფრინველების არსებობა:

I. არა-ბელურასებრი

1. კრაზანაჭამია (*Pernis apivorus*)
2. ძერა (*Milvus migrans*)
3. ორბი (*Gyps fulvus*)
4. ქორი (*Accipiter gentilis*)
5. მიმინო (*Accipiter nisus*)
6. ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*)
7. მციერ მყივანა არწივი (*Aquila pomarina*)

8. მთის არწივი (*Aquila chrysaetos*)
9. ჩია არწივი (*Hieraaetus pennatus*)
10. ჩვეულებრივი კირკიტა (*Falco tinnunculus*)
11. პატარა წინტალა (*Charadrius dubius*)
12. მეზორნე (*Actitis hypoleucos*)
13. ქედანი (*Columba palumbus*)
14. კვირიონი (*Merops apiaster*)
15. დიდი ჭრელი კოდალა (*Dendrocopos major*)

II. ბელურასნაირნი

16. მინდვრის მწყერჩიტა (*Anthus campestris*)
17. ტყის მწყერჩიტა (*Anthus trivialis*)
18. მთის მწყერჩიტა (*Anthus spinoleta*)
19. მთის ბოლოქანქალა (*Motacilla cinerea*)
20. თეთრი ბოლოქანქალა (*Motacilla alba*)
21. ტყის ტოროლა (*Lullula arborea*)
22. მინდვრის ტოროლა (*Alauda arvensis*)
23. სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*)
24. ქალაქის მერცხალი (*Delichon urbica*)
25. ტყის მწყერჩიტა (*Anthus trivialis*)
26. წყლის შაშვი (*Cinclus cinclus*)
27. ღაჟო (*Lanius collurio*)
28. ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*)
29. ტყის ჭვინტაკა (*Prunella modularis*)
30. გულწითელა (*Erithacus rubecula*)
31. მდელოს ოვსადი (*Saxicola rubetra*)
32. შავთავა ოვსადი (*Saxicola torquata*)
33. ჩვეულებრივი მელორდია (*Oenanthe oenanthe*)
34. ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus phoenicurus*)
35. შავი შაშვი (*Turdus merula*)
36. წრიპა (*Turdus philomelos*)
37. რუხი ასპუჭაკა (*Sylvia communis*)
38. შავთავა ასპუჭაკა (*Sylvia atricapilla*)
39. კავკასიური ყარანა (*Phylloscopus lorenzii*)
40. ყვითელთავა ღაბუაჩიტი (*Regulus regulus*)
41. რუხი მემატლია (*Muscicapa striata*)
42. თოხიტარა (*Aegithalos caudatus*)
43. შავი წიწკანა (*Parus ater*)
44. დიდი წივწივა (*Parus major*)
45. ჩვეულებრივი ცოცია (*Sitta europea*)
46. ჩვეულებრივი მგლინავა (*Certhia familiaris*)
47. ჩხიკვი (*Garrulus glandarius*)
48. ყორანი (*Corvus corax*)
49. სკვინჩა (*Fringilla coelebs*)

- 50. მწვანულა (*Carduelis chloris*)
- 51. ნარჩიტა (*Carduelis carduelis*)
- 52. ჭიჭიჭი (*Carduelis spinus*)
- 53. თავწითელა მთიულა (*Serinus pusillus*)
- 54. მთის გრატა (*Emberiza cia*)

კვლევისას აღრიცხული ფრინველების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

3.1. მდ. ნენსკრას აუზში განხორციელებული ორნითოლოგიური კვლევების შედეგები

ამ ტერიტორიაზე აღრიცხული იქნა ფრინველის შემდეგი 38 სახეობა:

1. კრაზანაჭამია (*Pernis apivorus*) – დაფიქსირდა დაახლ. 20 ინდივიდით წარმოდგენილი გუნდი და რამდენიმე ცალკე მყოფი ინდივიდი, რომლებიც ხოების მარჯვენა მხარეს 200 – 300 მ სიმაღლეზე მიფრინავდნენ, სამხრეთ-დასავლეთისა და სამრეთის მიმართულებით.
2. ძერა (*Milvus migrans*) – დაფიქსირდა 35-მდე ინდივიდი, მცირე გუნდებად (15+, 10+ და 5), ასევე 4 ცალკე მყოფი ინდივიდი. კვლევისას ჯამში 40-მდე ინდივიდი იქნა დათვლილი. მათი უმეტესობა მიფრინავდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რელიეფის ზედაპირიდან 150-300 მ-ის სიმაღლეზე. მათი $\frac{3}{4}$ აღირიცხა დილის საათებში, 08:30-სა და 10:00-ს შორის.
3. ორბი (*Gyps fulvus*) – ხეობის ზედა ნაწილში, 19 სექტემბრის დილას, შორიდან დაფიქსირდა ოთხი მოლივლივე ინდივიდით წარმოდგენილი მცირე გუნდი.
4. ქორი (*Accipiter gentilis*) - დაფიქსირებული იქნა ერთი დედალი, რომლიც მდინარის ხეობაში დასავლეთისკენ მიფრინავდა;
5. მიმინო (*Accipiter nisus*) – ნენსკრას ხეობაში განხორციელებლი სავსე სამუშაოებისას აღირიცხა ორი ეული ინდივიდი, ერთი დედალი და ერთი მამალი. ზრდასრული დედალი დანახული იქნა სოფ. ტიტაში, ახლო მანძილიდან. იგი ნადირობდა მცირე ზომის, ბელურასებრ ფრინველებზე, რომელთა ამოცნობაც ვერ მოხერხდა



სურათი 3-3. მიმინო (*Accipiter nisus*), დედალი

6. ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*) – საკვლევ ტერიტორიაზე აღირიცხა დაახლ. 20 ინდივიდი, რომლებიც ორ გუნდად იყო წარმოდგენილი და ექვსი ცალკე მყოფი ინდივიდი. კაკაჩები ძირითადად ფრენისას დაფიქსირდა, ისინი დაფრინავდნენ 200-250 მ სიმაღლეზე, სამხრეთის მიმართულებით;
7. ჩია არწივი (*Hieraaetus pennatus*) – 16 სექტემბერს, ადრეულ დილას ნანახი იქნა ერთი ჩია არწივი (თეთრი მორფი), რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე, დასავლეთის მიმართულებით მიფრინავდა.
8. ჩვეულებრივი კირკიტა (*Falco tinnunculus*) – 18 სექტემბრის საღამოს, სოფ. ტიტას ქვემოთ წარმოდგენილ დიდ მდელოზე, 5-7 წუთის ინტერვალის დაცილებით აღირიცხა ორი მფრინავი ინდივიდი, რომლებიც სავარაუდოდ ერთი და იგივე ფრინველი იყო.
9. პატარა წინტალა (*Charadrius dubius*) - ნანახი იქნა ერთი ინდივიდი, რომელიც სოფ. ლეკალმახეში, მდინარის ნაპირზე იკვებებოდა.
10. მებორნე (*Actitis hypoleucos*) – მდ. ნენსკრას ნაპირებზე სამჯერ ნანახი იქნა თითო-თითო ინდივიდი - ორი მათგანი სოფ. ლეკალმახეს მახლობლად, ხოლო ერთი - სოფ. ტიტადან 800 მ-ით ზემოთ.
11. კვირიონი (*Merops apiaster*) - ნენსკრას ხეობაში, მარცხენა ნაპირზე, სოფ. ლეკალმახეს მახლობლად აღირიცხა მცირე გუნდი, სადაც დაახლ. 15 ინდივიდი იყო წარმოდგენილი. ეს ფრინველები ხეობაში დაფრინავდნენ, სამხერთ-დასავლეთის მიმართულებით.

12. დიდი ჭრელი კოდალა (*Dendrocopos major*) – დაკვირვებებისა დანახული იქნა ორი ინდივიდი, ცალ-ცალკე. ამას გარდა, 3 უბანზე დაფიქსირდა ამ ფრინველისათვის სახასიათო მახილი.

13. მინდვრის ტოროლა (*Alauda arvensis*) - მეტ-ნაკლებად სახასიათო სახეობაა მშრალი ღია ჰაბიტატებისთვის. კვლევისას 30 ინდივიდი მაინც აღირიცხა. მათი დიდი ნაწილი ნანახი იქნა დიდი მდელოებზე, გზის გასწვრივ, ტყის კიდეებში (სურათი 3-4 და 3-5).



სურათი 3-4 და 3-5 მინდვრის ტოროლას (*Alauda arvensis*) ყველაზე ტიპური ჰაბიტატები ნენსკრას ხეობაში

14. ტყის ტოროლა (*Lullula arborea*) - ფართოდ გავრცელებული და სახასიათო სახეობაა ყველა ტიპის ტყეებისათვის (სურათი 3-6, 3-7, 3-8 და 3-9). არ დაგვითვლია. ფრინველის ეს სახეობა დომინანტურია პროექტის ტერიტორიასა და მიმდებარე უბნებზე.



სურათი 3-6, 3-7, 3-8 და 3-9. ტყის ტოროლას (*Lullula arborea*) ჰაბიტატი

15. სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*) – საკვლევ ტერიტორიაზე აღრიცხული იქნა 10-15 ინდივიდისგან შემდგარი რამდენიმე მცირე გუნდი, საერთო ჯამში დაახლ. 80 ინდივიდი, რომლებიც სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რელიეფის ზედაპირიდან დაახლ. 50 – 100 მ სიმაღლეზე დაფრინავდნენ;
16. ქალაქის მერცხალი (*Delichon urbica*) – ნანახი იქნა ამ ფრინველების 9 ინდივიდი, რომლებიც შერეული იყო სოფლის მერცხლის მცირე, მფრინავ გუნდებში (4 ერთში და 5 მეორეში).
17. ტყის მწყერჩიტა (*Anthus trivialis*) - ფართოდა გავრცელებული და ჩვეული სახეობაა სხვადასხვა ტიპის ტყეებში (სურათი 3-10 და 3-11). ყველაზე მაღალი სიმჭიდროვით აღირიცხა ხეობის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილ შერეულ ტყეებში.



სურათი 3-10 და 3-11. ტყის მწყერჩიტას (*Anthus trivialis*) ტიპური ჰაბიტატები

18. წყლის შაშვი (*Cinclus cinclus*) – ფართოდ გავრცელებული და ჩვეული სახეობაა პროექტის ტერიტორიასა და მიმდებარე ტერიტორიებზე საკვლევ ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში ნანახი იქნა 20-მდე ინდივიდი, ცალ-ცალკე (სურათი 3-12, 3-13, 3-14 და 3-15);





სურათი 3-12, 3-13, 3-14 და 3-15. შავი შაშვისთვის (*Cinclus cinclus*) ყველაზე ხელსაყრელი ჰაბიტატი მდ. ნენსკრას ნაპირებზე;

19. მთის ბოლოქანქალა (*Motacilla cinerea*) – ნენსკრას ხეობაში ფართოდ გავრცელებული და მეტ-ნაკლებად ჩვეული სახეობაა. ყველა ჩანაწერი მდინარის ნაპირებზე გაკეთდა. პროექტის ტერიტორიის ორნითოლოგიური კვლევისას აღირიცხა 15 ინდივიდი მაინც, ხოლო 25 ინდივიდი აღირიცხა მიმდებარე ტერიტორიებზე (სურათი 3-16, 3-17, 3-18 და 3-19);

20. თეთრი ბოლოქანქალა (*Motacilla alba*) - ფართოდ გავრცელებული და საკმაოდ ჩვეული სახეობაა მდინარის ნაპირებისთვის, მდინარის მთელს სიგრძეზე. საკვლევ ტერიტორიაზე 40 ინდივიდი მაინც აღირიცხა კვლევისას. ისინი ძირითადად მდ. ნენსკრას ნაპირებზე, ასევე ნაკადულებისა და გზების გასწვრივ დაფიქსირდა (სურათი 3-16, 3-17, 3-18 და 3-19);



სურათი 3-16, 3-17, 3-18 და 3-19. ყვითელი ბოლოქანქალას (*Motacilla citreola*) და თეთრი ბოლოქანქალას (*Motacilla alba*) ტიპური ჰაბიტატები

21. ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*) - სხვადასხვა ტიპის ტყეებში, ძირითადად ხშირ ქვეტყიან უბნებზე ნაწილობრივ იქნა აღმოჩენილი, ცალ-ცალკე (სურათი 3-20, 3-21 და 3-22);



სურათი 3-20. ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*)



სურათი 3-21 და 3-22. ჭინჭრაქას (*Troglodytes troglodytes*) ჰაბიტატები

22. ტყის ჭვინტაკა (*Prunella modularis*) – ვვლევისას ნენსკრას ხეობაში რვა ინდივიდი მაინც აღირიცხა. დაკვირვებებისას ისინი ცალ-ცალკე იქნა ნაწილობრივ ტყის კიდეებში, ძირითადად ხშირ ქვეტყიან უბნებზე (სურათი 3-23 და 3-24);



სურათი 3-23 და 3-24. ტყის ჭვინტაკას (*Prunella modularis*) ჰაბიტატები

23. ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus phoenicurus*) - ფართოდ გავრცელებული და ჩვეული სახეობაა სხვადასხვა ტიპის ტყეებში, გზის ნაპირებსა და სოფლებში. კვლევისას აღირიცხა 15 ინდივიდი მაინც.

24. გულწითელა (*Erithacus rubecula*) – საზოგადოდ, ფართოდაა გავრცელებული და ჩვეული სახეობაა; თუმცა, საკვლევ ტერიტორიაზე არც ისე მრავალრიცხოვანია. აღირიცხა 14 ინდივიდი, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ტყეების ხშირ ქვეტყიან უბნებზე, ძირითადად მდინარის ნაპირებზე, ნაკადულების გასწვრივ, ჭარბტენიან ჰაბიტატებში დაფიქსირდა (სურათი 3-25, 3-26 და 3-27);



სურათი 3-25. გულწითელა (*Erithacus rubecula*)



სურათი 3-26 და 3-27. გულწითელას (*Erithacus rubecula*) ყველაზე ჩვეული ჰაბიტატები

25. მდელოს ოვსადი (*Saxicola rubetra*) – ნენსკრას ხეობაში ნანახი იქნა ხუთი ინდივიდი, ყველა მათგანი აღირიცხა დიდ მდელოებზე, სადაც ხეები და ბუჩქნარი გაბნეულადაა წარმოდგენილი (სურათი 3-28, 3-29 და 3-30);



სურათი 3-28. მდელოს ოვსადი (*Saxicola rubetra*), დედალი



სურათი 3-29 და 3-30. მდელოს ოვსადის (*Saxicola rubetra*) ტიპური ჰაბიტატები

26. ჩვეულებრივი მელორდია (*Oenanthe oenanthe*) – ფართოდ გავრცელებული და ჩვეული სახეობაა, თუმცა არა მრავალრიცხოვანი. კვლევისას აღიწერა 12 ინდივიდი, ძირითადად მდინარის ნაპირების გასწვრივ წარმოდგენილ ქვიან ჰაბიტატებში და სოფლებში. ამას გარდა, 15 ინდივიდი ნანახი იქნა პროექტის ტერიტორიის გარეთ, ქვის ჰაბიტატებში, კლდეების ქვეშ, გზის პირებზე, ქვის ღობეებზე, ნანგრევების მახლობლად (სურათი 3-31 და 3-32);



სურათი 3-31 და 3-32. ჩვეულებრივი მელორდიას (*Oenanthe oenanthe*) ჰაბიტატები

27. შავი შაშვი (*Turdus merula*) - ფართოდ გავრცელებული და ჩვეული, თუმცა არა მრავალრიცხოვანი სახეობაა. გვხვდება ყველა ტიპის ტყეებში, დაბალი ხეებით დაფარულ მდელოებზე, ხშირ ბუჩქნარში და ბაღებში. კვლევისას ნენსკრას ხეობაში აღირიცხა 20 ინდივიდი (სურათი 3-33, 3-34, 3-35, 3-36 და 3-37);





სურათი 3-33, 3-34, 3-35 და 3-36. შავი შაშვის (*Turdus merula*) ყველაზე ტიპიური ჰაბიტატები ნენსკრას ხეობაში



სურათი 3-37. შავი შაშვი (*Turdus merula*)

28. წრიპა (*Turdus philomelos*) – სოფ. ტიტასა და ლეკალმახის მიმდებარე მდელოებზე აღირიცხა ორი ინდივიდი, ცალ-ცალკე.

29. კავკასიური ყარანა (*Phylloscopus lorenzii*) – ფართოდა გავრცელებული და ჩვეული სახეობაა. პროექტის ტერიტორიაზე დადასტურდა 30-მდე ინდივიდის არსებობა.

30. დიდი წივწივა (*Parus major*) - მთელს საკვლევ ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული და ჩვეული სახეობაა. კვლევისას ნენსკრას ხეობაში ნანახი იქნა 3-5 ინდივიდისგან შემდგარი მცირე გუნდები, ასევე 20 ინდივიდი ეულად. ეს ფრინველები ძირითადად ზრდასრულ შერეულ ტყეებში იქნა ნანახი (სურათი 3-38 და 3-39);



სურათი 3-38 და 3-39. დიდი წივწივას (*Parus major*) ჰაბიტატები

31. შავი წივკანა (*Parus ater*) - ფართოდაა გავრცელებული და ჩვეული სახეობაა სხვადასხვა ტიპის ტყეებში. კვლევისას აღირიცხა 40-მდე ინდივიდი, ძირითადად შერეული ტყეებში.
32. ჩვეულებრივი მგლინავა (*Certhia familiaris*) – კვლევისას საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ნანახი იქნა მხოლოდ ერთი ინდივიდი, რომელიც სოფ. ტიტასთან აღრიცხა;
33. ჩხიკვი (*Garrulus glandarius krynicki*) – საკვლევი ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში ნანახი იქნა ექვსი ეული ინდივიდი.
34. ყორანი (*Corvus corax*) - ფართოდ გავრცელებული სახეობაა, თუმცა პროექტის დერეფანსა და მიმდებარე ტერიტორიებზე იშვიათად გვხვდება. კვლევისას აღირიცხა ორი წყვილი და ხუთი ეული ინდივიდი, ძირითადად საკვლევი ტერიტორიის ზედა ნაწილში.
35. სკვინჩა (*Fringilla coelebs*) - ფართოდაა გავრცელებული საკვლევი ტერიტორიის ქვედა ნაწილში. კვლევისას დანახული იქნა რამდენიმე ათეული ინდივიდი, ძირითადად ფოთლოვან ტყეებსა და ბაღებში. არ დაგვითვლია.



სურათი 3-40. სკვინჩა (*Fringilla coelebs*), დედალი

36. მწვანულა (*Carduelis chloris*) – სოფ. ლეკალმახთან ნანახი იქნა მცირე გუნდებად და რამდენიმე ეული ინდივიდი.
37. ნარჩიტა (*Carduelis carduelis*) – სოფ. ტიტასთან დაფიქსირდა ერთი ინდივიდი, რომელიც რამდენიმე სკვინჩასთან ერთად იკვებებოდა.
38. ჭივჭავი (*Carduelis spinus*) – კვლევისას ნანახი იქნა სამი ინდივიდი, ეულად, წიწვოვან ტყეებში.
39. თავწითელა მთიულა (*Serinus pusillus*) – სოფ. ტიტასთან, 16 სექტემბრის დილად აღირიცხა დაახლ. 25 ინდივიდისგან შემდგარი გუნდი.

დანართი 3 – მდინარის ხარჯების გაზომვის შედეგები

Biodiversity Flow Measurements: Summary Table

ID	Date	Time	River	Location	Lat.	Long.	Q (m ³ /s)	Notes / Issues
FL01	06/10/2015	10:30	Nenskra	Nenskra below powerhouse	42.9854°	42.184°	11.3	Dry sunny weather, Large boulders in channel made flow measurement difficult. There were no ideal locations along this stretch for flow measurement due to channel morphology.
FL02	07/10/2015	11:00	Nenskra	Nenskra at proposed dam site.	43.1311°	42.2172°	5.3	Dry and cold, overcast. Started raining heavily at c. 11:30 after flow measurement taken.
FL03	07/10/2015	16:45	Tskhvandin River - Tributary of Nenskra	Track bridge at proposed Camp Site (WP33)	43.1238°	42.1919°	0.7	Raining very heavily for past five hours. Measurement taken upstream of bridge on the Tskhvandin River at Boarder check point. Flow in tributary is significantly higher than when we passed the river in the morning on way to Dam site area.
FL04	07/10/2015	17:30	Okrili River - Tributary of Nenskra	Track bridge between Tita and proposed Camp Site (WP34)	43.1109°	42.1827°	3.2	Flow measurement taken at river ford on Okrili River immediately downstream of bridge. Raining very heavily for past six hours. Flow in tributary is significantly higher than when we passed the river in the morning on way to Dam site area.
FL05	08/10/2015	10:15	Nenskra	Nenskra at Tita Foot Bridge.	43.06323°	42.18565°	14.1	Rained heavily for approx. 12hr. Previous day. Has not rained since c. 22:00 on the 07/10/15. Flow higher due to rainfall in preceding 24hr.
FL06	09/10/2015	11:50	Nakra	Approx 150m downstream of bridge at weir site.	43.1212°	42.3993°	1.8	Dry and sunny at time of flow reading. Rained for approx six hours previous night so flow in river is higher.

FLO1



FLO2



FLO3



FLO4



FL05





FL06





დანართი 4 – მდინარის დინების სიჩქარის გაზომვის შედეგები

Biodiversity Flow and Velocity: Charts



FL01





FL02





FL03





FL04



FL05



FL06



დანართი 5 – მიზანშეწონილობის შეფასება

შეფასება ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლით

მიზანშეწონილობის რეტროსპექტიული სკრინინგის ანგარიში

შინაარსი

1.0	შესავალი	2
1.1	მიმოხილვა.....	2
1.2	მე-6 მუხლით შეფასების პროცესი	3
1.3	ზურმუხტის ქსელი.....	4
1.4	სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბანი.....	6
2.0	პირველი საფეხური: სკრინინგი.....	11
2.1	მიმოხილვა.....	11
2.2	ნენსკრა ჰესის პროექტის საინჟინრო გადაწყვეტილებებისა და ინფრასტრუქტურის აღწერა	11
2.3	შეფასებისას გათვალისწინებული სხვა პროექტები.....	13
2.4	ზემოქმედების განსაზღვრა.....	14
2.5	სკრინინგის შედეგები	19
3.0	ბოლოსიტყვაობა.....	21
4.0	რუკები.....	22
	რუკა 1 – პროექტის ადგილმდებარეობა და კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრები	22
	რუკა 2 - ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფების დიდმასშტაბიანი რუკა.....	22
	რუკა 3 - ჯამური ზემოქმედების შეფასების, ჰესების ტერიტორიებისა და შეფასების არეალის საზღვრები	22
	დანართი 1 ზურმუხტის უბნის მონაცემთა სტანდარტული ფორმა.....	23

ცხრილები

ცხრილი 1-1	მე-6 მუხლით შეფასების პროცესის ოთხი საფეხური	4
ცხრილი 1-2	#6 დადგენილების სახეობები	9
ცხრილი 2-1	დადგენილება #4-ის ჰაბიტატები და დადგენილება #6-ის სახეობები, რომლებიც გავრცელებულია პროექტის ტერიტორიაზე	14
ცხრილი 2-2	სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედების შეფასება.....	15

1.0 შესავალი

1.1 მიმოხილვა

2015 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობას წარედგინა ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ბსგზშ) საბოლოო ვერსია, რაც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების პროცედურის ნაწილია. 2015 წლის ბსგზშ ანგარიში მოამზადა ქართულმა საკონსულტაციო კომპანია „გამა“-მ, 2011 და 2014 წლებში განხორციელებული საველე კვლევების მონაცემების, ასევე 2015 წლის მაისში გამართული საჯარო განხილვების შედეგების საფუძველზე. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გარემოს დაცვის სამსახურებმა 2015 წლის ოქტომბერში გასცეს.

ამის შემდეგ, პროექტის მესაკუთრებმა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს მიმართეს. საფინანსო ინსტიტუტებმა, გარემოსა და სოციალურ დაცვის საკუთარი პოლიტიკის საფუძველზე და არსებულ ბსგზშ-ში წარმოდგენილი ინფორმაციის შევსების მიზნით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დამატებითი შეფასების განხორციელება მოითხოვეს. შედეგად, SLR Consulting-მა 2017 წელში გამოაქვეყნა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიში. დამატებით ანგარიში მოიცავს ცხრა ტომს, სადაც დეტალურადაა აღწერილი გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. შპს SLR Consulting-მა (SLR) 2015 წლის აგვისტო-ნოემბერის და 2016 წლის მაის-ივნისის პერიოდებში განახორციელა ნენსკრას ჰესის პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება, რომლის შედეგებიც წარმოდგენილია მე-4 ტომში.

2016 წელს თბილისში მოეწყო შეხვედრა საფინანსო ინსტიტუტებთან. შეხვედრისას გადაწყდა, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიშის ყველა ტომში შეტანილიყო გარკვეული შესწორებები. კერძოდ, რადგანაც პროექტის დონორი საფინანსო ინსტიტუტების ნაწილი ევროპაშია ბაზირებული, მათი მოთხოვნით, ზემოქმედების შეფასების პროცესი ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. ამ პერიოდისათვის პროექტის ტერიტორია ხვდებოდა პოტენციური ზურმუხტის უბნის დაარსების მიზნით შესასწავლი ტერიტორიის საზღვრებში (ზურმუხტის უბანი ექვივალენტურია Natura 2000-ის უბნისა, რომელსაც ხშირად 'განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიად' (Area of Special Conservation Interest (ASCI)) მოიხსენიებენ). ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6(3)-ის მიხედვით, როცა გეგმამ ან პროექტმა, ცალკე ან სხვა პროექტებთან ერთობლივად, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს ევროპის საკონსერვაციო უბანზე (ამ შემთხვევაში კანდიდატ ზურმუხტის უბანზე), საჭიროა განხორციელდეს ე.წ. 'მიზანშეწონილობის შეფასება' (Appropriate Assessment).

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ჰაბიტატების დირექტივის მუხლი 6(3)-ითა და მუხლი 6(4)-ით გათვალისწინებულ შეფასებასთან (შემდგომში მე-6 მუხლით შეფასების პროცესი). პროექტის ტერიტორია კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებს გარეთაა (2016 წლის ნოემბერის მდგომარეობით), თუმცა მისგან 1 კმ-ის რადიუსში ხვდება, რის გამოც შეფასების მხოლოდ პირველი საფეხური - სკოპინგი განხორციელდა. პროექტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ იქონიებს კანდიდატ ზურმუხტოვან უბანზე. ამიტომაც,

მე-6 მუხლით შეფასების მეორე საფეხური, კერძოდ კი მიზანშეწონილობის შეფასება მოცემული ანგარიშის ფარგლებში არ განხორციელებულა.

1.2 მე-6 მუხლით შეფასების პროცესი

თუმცა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა არაა, პროექტის პოტენციური დონორების ნაწილი ევროპაშია ბაზირებული. მათი მოთხოვნით, მოცემული პროექტისათვის რეტროსპექტიულად განხორციელდა მე-6 მუხლით შეფასება, რადგანაც საქართველოს ხელისუფლებამ 2015 წლის ოქტომბერში ამ პროექტს უკვე მისცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ჰაბიტატების დირექტივის (92/43/EEC) მუხლი 6(3)-ის მიხედვით, 'მიზანშეწონილობის შეფასება' საჭიროა, როცა გეგმამ ან პროექტმა, ცალკე ან სხვა პროექტებთან ერთობლივად, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს ევროპის საკონსერვაციო უბანზე.

ნებისმიერი გეგმა ან პროექტი, რომელიც უშუალოდ უბანს არ ეხება, ან საჭირო არაა მისი მართვის მიზნებისათვის, თუმცა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს მასზე, განყენებულად ან სხვა გეგმებთან/პროექტებთან ერთობლივად, უნდა დაექვემდებაროს მიზანშეწონილობის შეფასებას უბანზე შესაძლო ზემოქმედების კუთხით და უბნის საკონსერვაციო ამოცანებთან მიმართებაში. მუხლი 6(3)

ამ მუხლის განმარტების მიხედვით, მიზანშეწონილობის შეფასებას ექვემდებარება ნებისმიერი პროექტი, თუ გონივრული მეცნიერული ეჭვის არარსებობის მიუხედავად შეუძლებელია იმისი დამტკიცება, რომ მას, ცალკე ან სხვა გეგმებთან/პროექტებთან ერთობლივად, მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება საკონსერვაციო უბანზე (პრევენციული მიდგომა).

ამას გარდა, მუხლი 6(4) ამბობს, რომ თუ განხორციელებულმა მიზანშეწონილობის შეფასებამ უარყოფითი შედეგები აჩვენა (ანუ სხვა სიტყვებით, დაგეგმილი პრევენციული ან შემარბილებელი ღონისძიებებით შეუძლებელი იქნება პოტენციური ზემოქმედების იმდენად შემცირება, რომ იგი მნიშვნელოვანი აღარ იყოს), ან თუ მნიშვნელოვანი ზემოქმედების საკითხი გაურკვეველი რჩება, საქმიანობის განხორციელების ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ალტერნატიული გადაწყვეტილებები, მაგრამ არსებობს საქმიანობის განხორციელების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება (IROPI) და უზრუნველყოფილია საკომპენსაციო ღონისძიებები.

თუ უბანთან მიმართებაში უარყოფითი შეფასების მიუხედავად და ალტერნატიული გადაწყვეტილებების არარსებობის შემთხვევაში, გეგმის ან პროექტის განხორციელება აუცილებელია სოციალური ან ეკონომიკური ხასიათის გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, წევრმა ქვეყანამ უნდა განახორციელოს სათანადო საკომპენსაციო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს Natura 2000-თან საერთო შესაბამისობის დაცვას. მან კომისიას ინფორმაცია უნდა მიაწოდოს გამოყენებული საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ. მუხლი 6(4)

მე-6 მუხლით შეფასების პროცესი შემდეგ ოთხ საფეხურის მოიცავს:

ცხრილი 1-1
მე-6 მუხლით შეფასების პროცესის ოთხი საფეხური

საფეხური	დასახელება	აღწერა
1	სკრინინგი	ამ პროცესის მიზანია ევროპის საკონსერვაციო უბნებზე იმ ზემოქმედების განსაზღვრა, რომელიც შეიძლება იქონიოს პროექტმა, მარტო ან სხვა გეგმებთან/პროექტებთან ერთობლივად და დადგენა, იქნება თუ არა ზემოქმედება მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობის შემთხვევაში.
2	მიზანშეწონილობის შეფასება	ხორციელდება ცალკე პროექტის, ან სხვა გეგმებთან/პროექტებთან ერთობლივი ზემოქმედების შეფასება ევროპის საკონსერვაციო უბნის ერთიანობაზე, უბნის სტრუქტურის, ფუნქციისა და საკონსერვაციო ამოცანების კონტექსტში. უარყოფითი ზემოქმედების არსებობის შემთხვევაში ხდება ზემოქმედების შერბილების ვარიანტების შეფასება, რათა განისაზღვროს ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედება უბნის მთლიანობაზე. თუ შემარბილებელი ღონისძიებების განხილული ვარიანტები ვერ უზრუნველყოფს უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას, საქმიანობის განხორციელების ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ მე-3 და მე-4 საფეხურების განხორციელების შემთხვევაში.
3	ალტერნატიული გადაწყვეტილებების შეფასება	ითვალისწინებს პროექტის ამოცანების გადაჭრის ალტერნატიული გზების შეფასებას, რათა გამოვლინდეს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ევროპის საკონსერვაციო უბნებზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შემცირებას.
4	საქმიანობის განხორციელების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების (IROPI) შეფასება	შეფასების ამ საფეხურს მიმართავენ, როცა არ არსებობს პროექტის ალტერნატიული გადაწყვეტილებები და, ამავდროულად, უარყოფით ზემოქმედებას ექნება ადგილი. პროცესის ფარგლებში ფასდება არის თუ არა პროექტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება. თუ ასეთი რამ დასაბუთდა, საჭიროა ისეთი საკომპენსაციო ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფს უბნის საერთო მდგომარეობის შენარჩუნებას, ან ევროპის საკონსერვაციო უბნების ქსელის ერთიანობას.

1.3 ზურმუხტის ქსელი

1.3.1 კავშირი ზურმუხტის ქსელსა და Natura 2000-ს შორის

როგორც ქვეთავი 1.2-ში აღინიშნა, მე-6 მუხლით შეფასება ეხება ევროპის საკონსერვაციო უბნებს (Natura 2000-ის უბნები). საქართველოს შემთხვევაში ეს შეფასება შეიძლება შეეხოს ზურმუხტის უბნებს, ან განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიებს (Area of Special Conservation Interest (ASCI)), რომელთა კლასიფიკაციის სისტემებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ბერნის კონვენციის (1979) და ჰაბიტატების დირექტივის (1992) ამოცანები სრულ თანხვედრაშია. ორთავე მათგანი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ

ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ველური ფლორის, ფაუნისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვა. მათ შორის ძირითადი განსხვავება უკავშირდება იმ ტერიტორიებს, რომელთაც ეს რეგულაციები ეხება. ესენია:

- დირექტივის შემთხვევაში - ევროკავშირის წევრი ქვეყნები;
- კონვენციის შემთხვევაში - მთელი ევროპა და აფრიკის ნაწილი.

ამას გარდა, დირექტივა უფრო ცხადად განსაზღვრავს ბუნებრივ ჰაბიტატების კონსერვაციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. იგი წარმოადგენს საკანონმდებლო დოკუმენტს, რომელიც შემუშავებული იქნა ევროკავშირში ბერნის კონვენციის განხორციელების მიზნით და არსებითად შესაბამისობაშია ამ კონვენციასთან. დადგენილება #3 (1996) წახალისებს ხელმომწერ მხარეებსა და დამკვირვებელ სახელმწიფოებს, დაარსონ ASCI-ები და მათ შესახებ ინფორმაცია სამდივნოში წარადგინონ. საქართველო ამ კონვენციის ხელმომწერი 25 ევროპული სახელმწიფოდან ერთ-ერთია.

ჰაბიტატების დირექტივა შემუშავებულია იმ მიზნით, რომ ბერნის კონვენციაში ჰაბიტატები კონსერვაციის მიზნით წარმოდგენილი მოსაზრებები და რეკომენდაციები უფრო მკაცრ საკანონმდებლო მოთხოვნად გარდაქმნილიყო, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ მოთხოვნების აღსრულების საწინდარია და აფართოებს მათი მოქმედების არეალს. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ბერნის კონვენციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და Natura 2000-ის ქსელის ფარგლებში, აარსებენ 'სპეციალურ დაცულ ტერიტორიებს' (Special Areas of Conservation (SAC)). აღნიშნულის გამო, SAC-ები ზურმუხტის ქსელის 'განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიების' (Areas of Special Conservation Interest (ASCI) ზუსტი ექვივალენტია, რაც გათვალისწინებულია ბერნის კონვენციის #5 დადგენილებით.

1.3.2 სამართლებრივი საფუძველი და შერჩევის კრიტერიუმები

ბერნის კონვენცია მხოლოდ სახეობათა დაცვას არ ითვალისწინებს. კონვენციის მუხლები 1, 2, 3, 4, 6 და 9 ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვას, კერძოდ კი შემდეგს ჰაბიტატებს ეხება:

- ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების ჰაბიტატებს (კერძოდ კი I და II დანართების ჰაბიტატებს);
- საფრთხის წინაშე არსებულ ჰაბიტატებს;
- გადამფრენი ფრინველებისათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს.

რეკომენდაცია #16 'განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიებს' განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფოების მიერ დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს, ან რამდენიმეს:

- a. იგი მნიშვნელოვანია საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის, ენდემური სახეობის, ან კონვენციის I და II დანართებში შეტანილი ნებისმიერი სახეობის გადარჩენისათვის;
- b. მასზე წარმოდგენილია სახეობების დიდი რაოდენობა, გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით, ან მასზე წარმოდგენილია ერთი ან მეტი სახეობის მნიშვნელოვანი პოპულაცია;
- c. შეიცავს საფრთხის წინაშე მყოფი ჰაბიტატის ტიპების მნიშვნელოვან და/ან რეპრეზენტატიულ ნიმუშებს;

- d. შეიცავს კონკრეტული ტიპის ჰაბიტატის გამორჩეულ ნიმუშს, ან სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატების მოზაიკას;
- e. წარმოადგენს ერთი ან მეტი მიგრანტი სახეობისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიას;
- f. სხვაგვარად შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი კონვენციის მიზნების შესრულებაში.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ხელმომწერი ევროკავშირის წევრი ქვეყნების შემთხვევაში ამ დირექტივით დადგენილი უბნების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას ფრინველების დირექტივისა და ჰაბიტატების დირექტივის კრიტერიუმებიც (რომლებიც ძირითადად იგივეა).

1.4 სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბანი

1.4.1 კანდიდატი ზურმუხტის უბნის არსებული საზღვრები

სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბანი, რომელიც ნაჩვენებია რუკა 1-ზე, 2016 წლის ნოემბერში რატიფიცირებული იქნა ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ. ამ უბანის ფართობია 373.10კმ². ახლახან რატიფიცირებული უბანი შეიქმნა უწინდელი (2016 წლის ნოემბრამდე არსებული) GE0000012 უბნის ფარგლებში, რომელიც 2338.48კმ² ტერიტორიას მოიცავდა.

ევროპის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და დაკვირვების ქსელის (EIONET) ცენტრალური მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2010 წლის ნოემბერის მდგომარეობით საქართველოში ზურმუხტის ქსელის შექმნის საკითხის განხილვა მიმდინარეობდა. ამის შემდეგ, მომზადებული იქნა კანდიდატი უბნების სია, რომელიც ბერნის კონვენციაში 2012 წელს დარეგისტრირდა. ნაკრესის ვებ-გვერდის მიხედვით (<http://adlab.ge/da2/>), პოტენციური ზურმუხტის უბნების შერჩევის 1-ლი ფაზა უკვე დასრულებულია და ბერნის კონვენციაში დარეგისტრირებულია.

სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის „მონაცემთა სტანდარტული ფორმის“ (დანართი 1) მიხედვით, თავდაპირველი უბნის სარეგისტრაციო ნომერია GE0000012. რადგანაც 2016 წლის ნოემბერში საზღვრის ცვლილებასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობდა და უბანს იგივე ნომერი GE0000012 ჰქონდა მინიჭებული, ჩათვლილი იქნა, რომ ზემოთ მოხსენიებულ მონაცემთა სტანდარტულ ფორმაში მოყვანილი მონაცემები ისევ ძალაშია.

უბნის რეგისტრაციის/დაარსების პროცესის მომდევნო ფაზა (II ფაზა) მოიცავს სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის ეფექტურობის შეფასებას. ეს ხორციელდება სათითაოდ ყველა სახეობისა და ყველა ჰაბიტატისთვის. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული შეფასების პროცესი, რომელიც (ქვე)რეგიონისა და ბიოგეოგრაფიულ დონეებს მოიცავს და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობით ხორციელდება. ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტში საბოლოო მონაცემთა ბაზის დასამტკიცებლად წარდგენის პროცესი დაიწყო 2013 წლის გაზაფხულზე, რაც ჯერ არ დასრულებულა. II ფაზის დასრულებისთანავე დაიწყება III ფაზა, რომელიც გულისხმობს ამ ტერიტორიისთვის 'განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიის' (Areas of Special Conservation Interest (ASCIs)) ოფიციალური საერთაშორისო სტატუსის მინიჭებას.

1.4.2 ზურმუხტის უბნის საზღვრების ცვლილება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელთან შეხვედრაზე (2016 წლის 14 იანვარი) გაირკვა, რომ ქვეყნის მთავრობას განზრახული ჰქონდა საქართველოში პოტენციური კანდიდატი ზურმუხტის უბნებისათვის განსაზღვრული რამდენიმე საკვლევი ტერიტორიის საზღვრების ცვლილება.

მთავრობის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ნენსკრას ხეობა (სადაც პროექტის ტერიტორიაა განლაგებული) შეფასებული იქნა “ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის” შესახებ ბერნის კონვენციის კრიტერიუმების მიხედვით, რისთვისაც გამოყენებული იქნა სვანეთის უბანზე შეგროვებული უახლესი კვლევების მონაცემები. ამის შემდეგ, მთავრობის მრჩეველებმა განსაზღვრეს, რომ პროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ჰაბიტატები ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მიერ ზურმუხტის ქსელისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროსთან შემდგომი შეხვედრა მოეწყო 2016 წლის აპრილში. ამ შეხვედრაზე დაგვიდასტურეს, რომ სვანეთის უბანთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენდა სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის ნომინირების მიზნით შესასწავლ ტერიტორიას, მიმდინარეობდა თავდაპირველად დადგენილი საზღვრების ცვლილების პროცესი. საზღვრების ცვლილების მიზეზები ნაკრესმა შემდეგით დაასაბუთა: თავდაპირველად დადგენილი საზღვარი წარმოადგენდა საკვლევი ტერიტორიის საზღვარს და არა კანდიდატი ზურმუხტის უბნის ზუსტ საზღვარს, რომელიც დადგენილი იქნა მოპოვებული მონაცემების შეფასების საფუძველზე. საქართველოს მთავრობა ამ ცვლილებების რატიფიცირებასა და ამოქმედებას 2016 წლის დეკემბერისთვის გეგმავდა (რაც მიღწეული იქნა).

2016 წლის აპრილში ნაკრესმა დაგვიდასტურა, რომ 2015 წელში ბერნის კონვენციის სამდივნოში და ევროსაბჭოში წარდგენილი იქნა ნარატიული ანგარიში; ამას გარდა, კანდიდატი ზურმუხტის უბნის განახლებული რუკა და მონაცემთა ბაზა აიტვირთა CDR-ში, EIONET-ის სერვერზე, რომელიც ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) ერთეულია.

1.4.3 შეფასებისთვის გაკეთებული დაშვებები

მოცემული შეფასების მიზნებისათვის კანდიდატი ზურმუხტის უბანი განხილული იქნება როგორც უკვე არსებული ზურმუხტის უბანი. ამას გარდა, შეფასება განხორციელდება სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის ახლად დარეგისტრირებული საზღვრებისათვის, რომელიც 2016 წლის ნოემბერის სტატუსით ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ტერიტორიას არ კვეთს. პროექტის ფარგლებში, კანდიდატ ზურმუხტოვან უბანთან ყველაზე ახლოს მოეწობა ნაკრას დაბალზღვრულიანი კაშხალი და წყალამღები, რომლებიც მისგან 760 მ-ით იქნება დაცილებული. პროექტის ძირითადი ტერიტორია (ნენსკრას წყალსაცავის ტერიტორია) კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრიდან 16 კმ-ითაა დაცილებული. ნენსკრას ხეობასა და კანდიდატ ზურმუხტოვან უბანს შორის განლაგებულია მყინვარულ მთათა სისტემა, რომლებიც ამ ორ ხეობას შორის ბუნებრივ საზღვრებს ქმნის.

1.4.4 ჰაბიტატების ტიპები

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ამოღებულია სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის მონაცემთა სტანდარტული ფორმიდან (დანართი 1); განმარტებები და კოდების

აღწერა მოყვანილია Natura 2000-ის საცნობარო პორტალიდან¹. უნდა აღინიშნოს, რომ EUNIS-ს კლასიფიკაციის სისტემა შემუშავებულია ევროპაში გავრცელებული ჰაბიტატების ტიპებისათვის, რის გამოც ჰაბიტატების აღწერა შესაძლოა არ ემთხვეოდეს საქართველოში გავრცელებული ჰაბიტატების ტიპებს, მაგ., წიფლნარი ტყეების აღწერილობას; თუმცა, ძირითადი კატეგორია იგივეა.

კანდიდატ ზურმუხტოვან უბანზე წარმოდგენილი ჰაბიტატების ტიპები:

D4.2 მთის პირველადი ნაკადულები და მდინარეთა ნაპირები, მაღალი მთის მრავალფეროვანი ფლორით

ზოგადი აღწერა

აღპური ზოლის, აღპურის მიმდებარე ზოლის, ჩრდილოეთ ბრიტანეთის და არქტიკის მიმდებარე ზოლის იშვიათი პიონერი თანასაზოგადოებები, რომლებიც იზრდება აღპურ ან სუბაღპურ სარტყელში, ცივი წყლით გაჯღენილ კენჭნარ, ქვიშნარ, ქვიან, ზოგჯერ ნაწილობრივ თიხნარ ან ტორფნარ, კირნარ დანალექ სუბსტრატზე, მორენებზე, ნაკადულების, წყაროების და სწრაფი მცინვარული მდინარეების ნაპირებზე, ან სუფთა, ცივი, ნელი მდინარეებისა და წყნარი მშრალი ყურეების ალუვიურ ქვიშებზე. აქ წარმოდგენილია მრავალი სახეობა, რომელთა შორისაა ბორეოარქტიკული და გლაციალური რელიქტები. ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი რამდენიმე ქვეყნის წითელ ნუსხაშია შეტანილი.

ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის დანართ 1-ის მცენარეთა თანასაზოგადოებები:

- 7240: *Caricion bicoloris-atrofuscae*-ს აღპური სარტყელის პიონერული ფორმაციები

G1.6 წიფლის ტყეები

ზოგადი აღწერა

დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ტყეები, სადაც დომინირებს წიფელი (*Fagus sylvatica*), და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის ტყეები, სადაც დომინირებს *Fagus orientalis* და წიფლის სხვა სახეობები. მთისა და შუაზღვისპირეთის მთის ბევრი ფორმაცია წარმოდგენილია შერეული წიფლნარ-სოჭნარი, ან წიფლნარ-სოჭნარ-ნაძვნარი ტყეებით, რომლებიც EUNIS-ში შეტანილია კოდით G4.6.

ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის დანართ 1-ის მცენარეთა თანასაზოგადოებები:

- G1.61 = 9110 *Luzulo-Fagetum* წიფლის ტყეები
- G1.62 = 9120 ატლანტიკური აციდოფილური წიფლის ტყეები, *Ilex*-ისა და ზოგჯერ *Taxus*-ის ქვეტყით (*Quercion robori-petraeae* ან *Ilici-Fagenion*)
- G1.63 = 9130 *Asperulo-Fagetum* წიფლის ტყეები
- G1.65 = 9140 შუა ევროპის სუბაღპური წიფლნარი ტყეები, *Acer*-ისა და *Rumex arifolius*-ის შერევით
- G1.66 = 9150 შუა ევროპის კირქვების წიფლნარი ტყეები (*Cephalanthero-Fagion*)

¹ Natural 2000-ის საცნობარო პორტალი:

http://bd.eionet.europa.eu/activities/Natura_2000/reference_portal

- G1. 681, G1.685 და G1.686 = 9210 ალპური წიფლნარი ტყეები *Taxus*-ისა და *Ilex*-ის შერევით
- G1.186 და G1.687 = 9220 ალპური წიფლნარი ტყეები *Abies alba*-ს შერევით და წიფლნარი ტყეები *Abies nebrodensis*-ის შერევით

1.4.5 #6 დადგენილების (1998) სახეობები

მუდმივმოქმედი კომიტეტის #6 დადგენილებაში (1998²) მოცემულია სახეობების ჩამონათვალი, რომლებსაც ჰაბიტატების კონსერვაციის სპეციალური ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციასთან. ცხრილი 1.2-ში წარმოდგენილია #6 დადგენილების ის სახეობები, რომლებიც აღრიცხულია სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებში და მისი ნომინირების ერთ-ერთი მიზეზია.

ცხრილი 1-2
#6 დადგენილების სახეობები

ჯგუფი	ლათინური სახელი	ქართული სახელი	აღრიცხულია პროექტის ტერიტორიაზე?
ფრინველი	<i>Aegithalos caudatus</i>	თოხიტარა	კი
ფრინველი	<i>Aegolius funereus</i>	ბუკიოტი	არა
ფრინველი	<i>Aquila chrysaetos</i>	მთის არწივი	კი
ფრინველი	<i>Bubo bubo</i>	ზარნაშო	არა
ფრინველი	<i>Buteo buteo</i>	კაკაჩა	კი
ფრინველი	<i>Carduelis carduelis</i>	ნარჩიტა	არა
ფრინველი	<i>Certhia familiaris</i>	ჩვეულებრივი მგლინავა	არა
ფრინველი	<i>Columba palumbus</i>	ქედანი	კი
ფრინველი	<i>Corvus corax</i>	ყორანი	კი
ფრინველი	<i>Corvus corone</i>	რუხი ყვავი	არა
ფრინველი	<i>Cuculus canorus</i>	გუგული	არა
ფრინველი	<i>Dryocopus martius</i>	შავი კოდალა	არა
ფრინველი	<i>Ficedula semitorquata</i>	მემატლია	არა
ფრინველი	<i>Gypaetus barbatus</i>	ბატკანმერი	არა
ფრინველი	<i>Gyps fulvus</i>	ორბი	კი
ფრინველი	<i>Hieraaetus pennatus</i>	ჩია არწივი	კი
ფრინველი	<i>Lanius collurio</i>	ლაჟო	კი
ფრინველი	<i>Milvus migrans</i>	ძერა	კი
ფრინველი	<i>Pyrrhocorax pyrrhocorax</i>	წითელნისკარტა მადრანი	არა
ფრინველი	<i>Sitta krueperi</i>	შავთავა ცოცია	არა
უხერხემლო	<i>Agriades glandon aquilo</i>	ალპური სარტყლის უხერხემლო	არა
უხერხემლო	<i>Callimorpha quadripunctaria</i>	დათუნელა	არა

² COE (1998) რეზოლუცია #6, ინფორმაცია [ინტერნეტ-ინფორმაცია] იხ. მისამართზე: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&id=1475233&Site=&direct=true> [ინფორმაცია აღებულია 2016 წლის 12 აპრილს]

ჯგუფი	ლათინური სახელი	ქართული სახელი	აღრიცხულია პროექტის ტერიტორიაზე?
უხერხემლო	<i>Erebia medusa polaris</i>	ხვერდულა	არა
უხერხემლო	<i>Hesperia comma catena</i>	ალპურ ზონაში გავრცელებული პეპელა	არა
უხერხემლო	<i>Leucorrhinia pectoralis</i>	უხერხემლო	არა
უხერხემლო	<i>Lindenia tetraphylla</i>	უხერხემლო/ნემსიყლაპია	არა
უხერხემლო	<i>Lycaena dispar</i>	უხერხემლო	არა
ძუძუმწოვარა	<i>Canis lupus</i>	მგელი	კი
ძუძუმწოვარა	<i>Lutra lutra</i>	წავი	არა*
ძუძუმწოვარა	<i>Lynx lynx</i>	ფოცხვერი	კი
ძუძუმწოვარა	<i>Miniopterus schreibersi</i>	გრძერლფრთიანი ღამურა	არა
ძუძუმწოვარა	<i>Myotis blythii</i>	წვეტყურა მდამიობი	არა
ძუძუმწოვარა	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	დიდი ცხვირნალა	კი
ძუძუმწოვარა	<i>Rhinolophus hipposideros</i>	მცირე ცხვირნალა	არა
ძუძუმწოვარა	<i>Ursus arctos</i>	მურა დათვი	კი
მცენარე	<i>Dicranum viride</i>	ხავსი Dicranum	არა
მცენარე	<i>Vaccinium arctostaphylos</i> ³	კავკასიური მოცვი	კი
რეპტილია	<i>Vipera kaznakovi</i>	კავკასიური გველგესლა	არა

*2014 წელს აღრიცხა გამამ, თუმცა 2015 და 2016 წლების კვლევებისას SLR-ს არ დაუფიქსირებია.

³ ბერნის კონვენციის მუხლი 22-ის მიხედვით, საქართველო უფლებამოსილია არ შეასრულოს კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნები საქართველოში გავრცელებულ *Vaccinium arctostaphylos*-თან მიმართებაში, რომელიც დანართი I-ის სახეობაა. ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული და მოცემული შეფასებისათვის საკვანძო რეცეპტორს არ წარმოადგენს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/104/declarations?p_auth=qTKC0gid

2.0 პირველი საფეხური: სკრინინგი

2.1 მიმოხილვა

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად შემდეგი დოკუმენტებიდანაა აღებული:

- გამა (2015) სს "ნენსკრა"-ს ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. 'გამა კონსალტინგი', დირექტორი ვ. გვახარია;
- SLR (2016) ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (2015). ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიში. ტომი 4 'ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება'; სს "ნენსკრა ჰიდრო".
- ენერგეტიკის სამინისტრო (2011) ხუდონი - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება - საბოლოო ანგარიში. ARS Progetti SPA და BRL

ინფორმაციის სხვა წყაროები მითითებულია სქოლიოებში.

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი დაკავშირებული არაა (უშუალოდ ან არაპირდაპირ) სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბანთან, ან მისთვის საჭირო მართვის მიზნებთან. აღნიშნულის გამო, საჭიროა მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი სკრინინგის პროცესის განხორციელება, რაც წარმოდგენილია ქვემოთ.

2.2 ნენსკრა ჰესის პროექტის საინჟინრო გადაწყვეტილებებისა და ინფრასტრუქტურის აღწერა

პროექტისთვის გამოყენებული იქნება მდ. ნენსკრასა და მიმდებარე მდ. ნაკრას ჩამონადენი, რომლებიც კაშხლიდან დაახლ. 17 კმ-ში მოწყობილ საგენერატორო შენობაში 725 მ დაწნევას უზრუნველყოფს.

პროექტის ძირითადი კომპონენტია 130 მ სიმაღლისა და 850 მ სიგრძის, ასფალტის ეკრანირებული ქვანაყარი კაშხალი, რომელიც მდ. ნენსკრას ზედა დინებაში განთავსდება. იგი შექმნის დაახლოებით 176 მლნ. მ³ ტევადობის წყალსაცავს, რომლის სარკის ფართობი სრული შევსებისას 2.67 კმ² იქნება. ჰესის მიზნებისათვის მდ. ნაკრას გამოსაყენებლად მოეწყობა 12.25 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბი. დაწნევითი წყალსადენები მოიცავს: 15.1 კმ სიგრძის დაწნევით გვირაბს, დაწნევით შახტს და 1,790 მ სიგრძის მიწისქვეშა დაწნევით მილსადენს. მიწისზედა საგენერატორო შენობა განთავსდება მდ. ნენსკრას მარცხენა ნაპირზე და მასში დამონტაჟდება სამი ვერტიკალური პელტონის ტურბინა, თითოეული 93 მგვტ სიმძლავრის, ხოლო ჯამურად 280 მგვტ სიმძლავრის. ამას გარდა, საჭირო იქნება 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც ძალოვან კვანძს ხუდონის ახალ ქვესადგურთან დააკავშირებს.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2017 წლის სექტემბერში და მშენებლობა 4 წელიწადს გასტანს. მოსამზადებელი სამუშაოების ნაწილი დაიწყო 2015 წლის ოქტომბერში და გაგრძელდება 2017 წლის სექტემბრამდე. ასეთი სამუშაოებია: მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, მუშათა ბანაკის მოწყობა და ტექნიკური ერთეულების მონტაჟი. ხელსაყრელი გარემოებების შემთხვევაში ელექტროენერჯის გამომუშავების დაწყება 2019 წლის ბოლოს იქნება შესაძლებელი.

პროექტი შეიმუშავა სს "ნენსკრა ჰიდრო"-მ, რომელის ძირითადი მეწილეები არიან: კორეის სახელმწიფო სააგენტო K-water და საქართველოს ხელისუფლების საინვესტიციო ფონდი „საპარტნიორო ფონდი“. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს K-water-ისა და საპარტნიორო ფონდის საკუთრებას.

2.2.1 უბნის მახასიათებლები (ბიომრავალფეროვნება)

ფლორის არსებული მდგომარეობის კვლევების შედეგად საკვლევ არეალში (მოიცავს ნენსკრასა და ნაკრას ხეობებს) გამოვლენილი იქნა ჰაბიტატების 12 ზოგადი ტიპი (რუკა 2). საკვლევ არეალში ყველაზე დომინანტური ჰაბიტატია შერეული ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები, რომელთაც ამ ტერიტორიის 31% უჭირავს. რიგით მეორე ფართოდ გავრცელებული ჰაბიტატია ალპური სარტყელი, ან შიშველი კლდეები. ფართოფოთლოვანი ტყეები შესწავლილი ტერიტორიის 13%-ზეა წარმოდგენილი. ტყეები კი, სადაც წიწვოვანი სახეობები დომინირებს, შესწავლილი ტერიტორიის მხოლოდ 5%-ზეა წარმოდგენილი. სუბალპურ სარტყელს საკვლევ ტერიტორიის 25% უჭირავს. შესწავლილი ჰაბიტატებიდან ორს, რომლებიც წყალსაცავის შეტბორვის ზონაში ხვდება, სავარაუდოდ მაღალი საკონსერვაციო ღირებულება გააჩნია (CORINE-ის⁴ და სენსიტიურობის შეფასების⁵ მიხედვით). ესენია: წიფლნარი ტყეები კოლხური ქვეტყით (*Fageta fruticosa colchica*) და მუქწიწვოვანი ტყე ქვეტყის გარეშე (*Piceeto-Abieta sine fruticosa*). აღირიცხა საშუალო საკონსერვაციო ღირებულებისა (მუხნარი და მუხნარ-რცხილნარი ტყეები (*Quercitum -Carpinion betuli*)) და დაბალი საკონსერვაციო ღირებულების ჰაბიტატებიც.

2015-2016 წლების ძუძუმწოვრების კვლევისას დაფიქსირდა, რომ მდ. ნენსკრას ხეობაში ბინადრობს მურა დათვი (*Ursus arctos*). კერძოდ, აქ ოთხი მურა დათვის ნაკვალევი იქნა ნაპოვნი; თუმცა ნენსკრას/ნაკრას წყალმშენებში ამ სახეობის ათამდე ინდივიდი უნდა ბინადრობდეს. შეტბორვის ზონაში ნაპოვნი ნაკვალევიდან ერთი სავარაუდოდ ჩვეულებრივი ფოცხვრისაა (*Lynx lynx*). საკვლევ ტერიტორიაზე აღირიცხა მგელიც (*Canis lupus*), კერძოდ კი გადაღებული იქნა ერთი ძუ მგელი, რომელიც ლეშს მიირთმევდა; ამას გარდა, ნანახი იქნა მგლის რამდენიმე ნაკვალევი. განხორციელებული იქნა ღამურების კვლევა, რომლის შედეგების მიხედვით შეტბორვის ზონაში ღამურები შედარებით ნაკლები რაოდენობითაა, ვიდრე სოფ. ტიტას შემოგარენში (ხეობის ქვედა ნაწილი); მეორეს მხრივ კი, ღამურების ხმების ანალიზმა გვიჩვენა, რომ წყალსაცავის ზონაში ღამურების შვიდი სახეობა გვხვდება. სავარაუდოდ, ღამურები ამ ტერიტორიას თავშესაფრად იყენებენ, რადგანაც აქ წარმოდგენილია მათთვის ხელსაყრელი ჰაბიტატები, კერძოდ კი დიდი ქერქმორღვეული და ფულურო ხეები.

2015 წელში განხორციელებული ძუძუმწოვრების კვლევისას წავის (*Lutra lutra*) არსებობის ნიშნები არ აღრიცხულა, თუმცა საკვლევ არეალში არსებული ჰაბიტატები ამ სახეობისათვის გამოსადეგი უნდა იყოს. მდ. ნაკრა ამ სახეობისთვის ნაკლებად

⁴ CORINE - გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კოორდინირება. ჰაბიტატების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. მოსი დ. (2008) ჰაბიტატების კლასიფიკაცია EUNIS სისტემით – სახელმძღვანელო მომხმარებლებისათვის. ბიომრავალფეროვნების ევროპული თემატური ცენტრი. (Moss D (2008) EUNIS habitat classification – a guide for users. European Topic Centre on Biological Diversity).

⁵ მორის პ., თერიველ რ., რედაქტორები (1995) გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდები. UBC Press. (Morris P., Therivel R. Editors (1995) Methods of Environmental Impact Assessment. UBC Press).

ხელსაყრელია, რადგანაც მასში თევზის პოპულაციები არ უნდა იყოს წარმოდგენილი. 2016 წლის კვლევებისას შემჩნეული იქნა კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), რომელიც მდ. ნენსკრას ხეობაში მეტ-ნაკლებად ფართოდაა გავრცელებული.

ორნითოლოგიური კვლევისას ფრინველის მრავალი ფართოდ გავრცელებული სახეობა აღირიცხა. ეს კვლევა სექტემბერში, ფრინველების მიგრაციის (ჩრდილოეთიდან სამხრეთით) პერიოდში განხორციელდა. შედეგების მიხედვით, ამ ტერიტორიას მცირე გუნდებად გადაუფრენს ხოლმე ორბი (*Gyps fulvus*), თუმცა ეს ფრინველი აქ არ ჩერდება და საკმაოდ მაღლაც დაფრინავს. კვლევების მიხედვით, ნენსკრასა და ნაკრას ხეობებს ფრინველები იშვიათად იყენებენ სამიგრაციოდ; მათი ძირითადი სამიგრაციო მარშრუტები საკვლევი ტერიტორიიდან დასავლეთით (შავ ზღვასთან ახლოს) და აღმოსავლეთით გადის. ამას გარდა, პროექტის ტერიტორია არ მიეკუთვნება ფრინველების კუთხით მნიშვნელოვან ტერიტორიებს; იგი არც საქართველოში მოზინადრე ფრინველების ენდემური სახეობების სიმრავლით გამოირჩევა.

თევზების კვლევისას განხორციელდა ჰაბიტატების შეფასება და შესწავლილი იქნა ადგილობრივი მეთევზეების მიერ ანკესით დაჭერილი თევზები, რადგანაც საქართველოში ელექტრომოკური აპარატით თევზაობა აკრძალულია. აღრიცხული თევზი ჩათვლილი იქნა კალმახად (*Salmo trutta morfa farrio*). შეფასების მიხედვით, მდ. ნენსკრასა და მდ. ნაკრაში თევზის სხვა სახეობა არ ბინადრობს.

2.3 შეფასებისას გათვალისწინებული სხვა პროექტები

ერთობლივი ზემოქმედების კუთხით განხილული იქნა ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში წარმოდგენილი შემდეგი ჰესების პროექტები:

- დარაჩი - ორომლეთი
- ლახამი
- ოკრილა
- ცხვანდირი
- ნაკრა

ამ პროექტების ადგილმდებარეობა ნაჩვენებია რუკა 3-ზე. ყველა მათგანი ჯერ კონცეპტუალური პროექტის მზადების, ან ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა და მათი მშენებლობის ნებართვა გაცემული არაა. ყველა მათგანი ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მოწყობას ითვალისწინებს, ანუ მათ მოსაწყობად საჭირო იქნება მინიმალური ტერიტორია, სადერივაციო გვირაბები და კაშხლების მოწყობა არ იქნება საჭირო. მათთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ჯამური ზემოქმედება მოცემული რეგიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და პროექტის ინფრასტრუქტურა, რომელიც ადამიანს ამ ტერიტორიებზე მოხვედრას გაუმარტივებს (ნადირობა და უკანონო ხის ჭრა).

ყველაზე დიდი პროექტი, რომელიც განხილული იქნა კუმულაციური ზემოქმედების კუთხით, ხუდონჰესია. მისი ადგილმდებარეობა ნაჩვენებია რუკა 3-ზე. ხუდონჰესის წყალსაცავი განლაგებულია ნენსკრა ჰესის საგენერატორო შენობიდან ქვემოთ, დაახლ. 1 კმ-ში. რუკა 3-ზე წარმოდგენილი საზღვარი გვიჩვენებს იმ ტერიტორიას, რომლისთვისაც შეფასებული იქნა ჯამური ზემოქმედება. შესაფასებელი ტერიტორიის საზღვრებად აღებული იქნა ბუნებრივი საზღვრები, როგორცაა მდ. ენგური და მაღალი ქედები. საერთო ჯამში, ჯამურ ზემოქმედებას ადგილი ექნება ნაკრასა და ნენსკრას ხეობებში, ასევე განიერი, უხვნატანიანი და სწრაფი მდინარე ენგურის მოკლე

მონაკვეთზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოხსენიებული ყველა პროექტი კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებს გარეთაა.

2.4 ზემოქმედების განსაზღვრა

დაგეგმილ პროექტებს ერთობლივად შემდეგი ზემოქმედება ექნება:

- მცენარეული ჰაბიტატების სამუდამოდ და დროებით განადგურება;
- სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული შემაწუხებელი ფაქტორები;
- ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება;
- ანთროპოგენული წნეხის გაზრდა (მაგ., ნადირობა).

ამიტომაც, აუცილებელია შეფასდეს, მაღალი ხომ არ იქნება დაგეგმილი პროექტების ჯამური ზემოქმედება კანდიდატი ზურმუხტის უბნის ისეთ მახასიათებელზე, რომლის გამოც მოხდა მისი ნომინირება. უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი პროექტებიდან არცერთი არ ხვდება კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებში.

2.4.1 პოტენციურად მაღალი ზემოქმედების შეფასება

ცხრილი 2-1-ში ჩამოთვლილია სახეობები და ჰაბიტატები, რომლებიც სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის ნომინირების საფუძველი გახდა; ამას გარდა, ეს სახეობები წარმოდგენილია ნენსკრა ჰესის და ხუდონჰესის ტერიტორიაზე. ამიტომაც, სწორედ ეს კომპონენტები იქნა შეფასებული სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბანზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

ცხრილი 2-1

დადგენილება #4-ის ჰაბიტატები და დადგენილება #6-ის სახეობები, რომლებიც გავრცელებულია პროექტის ტერიტორიაზე

ჯგუფი	ლათინური სახელი	ქართული სახელი
ფრინველი	<i>Aegithalos caudatus</i>	თოხიტარა*
ფრინველი	<i>Aquila chrysaetos</i>	მთის არწივი*
ფრინველი	<i>Buteo buteo</i>	კაკაჩა
ფრინველი	<i>Columba palumbus</i>	ქედანი*
ფრინველი	<i>Corvus corax</i>	ყორანი*
ფრინველი	<i>Gyps fulvus</i>	ორბი*
ფრინველი	<i>Hieraetus pennatus</i>	ჩია არწივი*
ფრინველი	<i>Lanius collurio</i>	ლაქო*
ფრინველი	<i>Milvus migrans</i>	ძერა
ძუძუმწოვარა	<i>Lutra lutra</i>	წავი*
ძუძუმწოვარა	<i>Lynx lynx</i>	ფოცხვერი
ძუძუმწოვარა	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	დიდი ცხვირნალა
ძუძუმწოვარა	<i>Ursus arctos</i>	მურა დათვი*
ძუძუმწოვარა	<i>Canis lupus</i>	მგელი

*-ით მონიშნულია ხუდონჰესის ტერიტორიაზე აღრიცხული სახეობები.

ჩამოთვლილ კომპონენტებზე ზემოქმედების შესაფასებლად საჭიროა ზემოქმედების გზების დადგენა. პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედების შეფასება მოცემულია ქვემოთ. უნდა აღნიშნოს, რომ ზემოქმედების შეფასება განხორციელდა შემარბილებელი ღონისძიებების გაუთვალისწინებლად.

ცხრილი 2-2
სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედების შეფასება

ჰაბიტატი/სახეობა	შეფასება	შეიძლება ზემოქმედება მნიშვნელოვანი იყოს?
<i>წიფლნარი ტყე</i>	ნენსკრა ჰესის პროექტის, ან სხვა დაგეგმილი პროექტების გამო კანდიდატი ზურმუხტის უბნის ფარგლებში ჰაბიტატების დაკარგვას ადგილი არ ექნება. ამასთან, მნიშვნელოვანი ზემოქმედების გავრცელების პოტენციური გზა არ არსებობს.	არა
<i>Ursus arctos მურა დათვი</i>	<p>IUCN-ის შეფასების მიხედვით, ამ გეოგრაფიულად ფართო არეალის მქონე სახეობის სტატუსი 'ნაკლებად საგანგაშოა'. თუმცა, საქართველოში იგი ამჟამად დაცულია და საქართველოს წითელ წუსხაში მისი სტატუსია 'გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი'. მიუხედავად ამისა, საქართველოში მურა დათვის სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არალეგალური ნადირობაა (ლორთქიფანიძე 2010⁶).</p> <p>მურა დათვის საცხოვრებელი არეალი დიდია, რადგანაც ეს ცხოველი დახეტილობს საკვებით მდიდარ ადგილებს შორის. მურა დათვი კანდიდატი ზურმუხტის უბნის ნომინირების ერთ-ერთი საფუძველია. დათვის პოპულაციის საცხოვრებელი არეალი შესაძლოა ნაკრას ხეობასაც მოიცავდეს (ეს ხეობა კანდიდატი ზურმუხტის უბნის დასავლეთის საზღვარს წარმოადგენს). ნაკრას ხეობაში პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული ზემოქმედება და ჰაბიტატების დანაკარგი მცირე იქნება, რადგანაც აქ მხოლოდ დაბალზღვრულიანი კაშხალი და მიწისქვეშა გვირაბი მოეწყობა. დაკარგული ჰაბიტატების საერთო ფართობი იქნება 0.4კმ², რაც ძირითადად სამოვრებს მოიცავს.</p> <p>პროექტის ტერიტორიაზე განხორციელებული ფონური კვლევებისას გაირკვა, რომ ნენსკრას ხეობაში დათვი ბინადრობს. მურა დათვის არსებობის ნიშნები აღირიცხა კვლევების უმეტესობის შემთხვევაში. ადგილობრივ მონადირეებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დათვი მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ამ ხეობაში.</p> <p>აღნიშნულისა გამო, ასევე დათვის ტერიტორიული ბუნების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კანდიდატი ზურმუხტის უბნის მურა დათვის პოპულაციის წარმომადგენელი რეგულარულად სტუმრობდეს ნენსკრას ხეობას, ან რომ ეს ხეობა კანდიდატი ზურმუხტის უბნის დათვის პოპულაციის საცხოვრებელ არეალში შედიოდეს. ამიტომაც, პროექტის ტერიტორიიდან დაშორების გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტმა ცალკე, ან სხვა პროექტებთან ერთობლივად, მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს კანდიდატი ზურმუხტის უბნის დათვის პოპულაციის საკონსერვაციო სტატუსზე.</p>	არა
<i>Lynx lynx</i>	მურა დათვის მსგავსად, ევროპაში ფართოდ გავრცელებულ ამ	არა

⁶ ლორთქიფანიძე (2010) მურა დათვის განაწილება და სტატუსი სამხრეთ კავკასიაში. Ursus 21, 97-103. (Lortkipanidze (2010) Brown bear distribution and status in the South Caucasus. Ursus 21, 97-103).

ჰაბიტატი/სახეობა	შეფასება	შეიძლება ზემოქმედება მნიშვნელოვანი იყოს?
ფოცხვერი	<p>სახეობას IUCN-ის მონაცემთა ბაზაში 'ნაკლებად საგანგაშო' სტატუსი აქვს. ფოცხვერის ძირითადი სანადირო სახეობებია ჩლიქოსნები, როგორცაა: ჯიხვი, არჩვი და შველი. ეს სახეობები ენგურის, ნენსკრასა და ნაკრას ხეობების ზედა ნაწილშია წარმოდგენილი, სადაც ადამიანის საქმიანობის ზეგავლენა მინიმალურია. არჩვი და განსაკუთრებით კი ჯიხვი უფრო სუბალპურ სარტყელში გვხვდება და არა ხეობის დაბლა ნაწილში (სადაც პროექტის ტერიტორია მდებარეობს), რაც დადგინდა მურა დათვის 2016 წლის კვლევის ფარგლებში.</p> <p>ფოცხვერის საბინადრო ტერიტორიის სიდიდე დამოკიდებულია რელიეფზე და საკვების არსებობაზე. ამ სახეობის ტერიტორიის ზომის შეფასება რთულია, რადგანაც 100 – 1000 კმ² ფარგლებში მერყეობს (IUCN 2015⁷). შესაძლებელია, რომ კანდიდატ ზურმუხტის უბანში მობინადრე ფოცხვერისათვის ნენსკრასა და ნაკრას ხეობები საცხოვრებელი ტერიტორიის ნაწილი იყოს.</p> <p>ამ სახეობის საცხოვრებელი ტერიტორიის მასშტაბის გამო, ასევე რადგანაც ეს სახეობა მაღალ ზონაში ნადირობს, მოცემული და სხვა დაგეგმილი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების დანაკარგი ან შემაწუხებელი ფაქტორები ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.</p>	
<i>Lutra lutra</i> წავი	<p>2015 წლის კვლევებისას ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში წავის არსებობის კვალი არ დაფიქსირებულა; თუმცა, გამამ წავის ექსკრემენტები იპოვა 2014 წლის კვლევებისას. წავის ნაკვალევი აღრიცხული იქნა ხუდონჰესის ტერიტორიის კვლევისასაც.</p> <p>ნაკრას ხეობაში წავის არსებობის კვალი ნაპოვნი არაა და ამ მდინარეში თევზი (ამ შემთხვევაში კალმახი), რომელიც წავის ძირითადი საკვებია, ძალიან მცირე პოპულაციით არის წარმოდგენილი (2015 და 2016 წლებში ადგილობრივი მეთევზეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია). ამიტომაც, მდ. ნაკრაში წავის პოპულაციის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა.</p> <p>დამორების გათვალისწინებით, კანდიდატი ზურმუხტის უბნის ფარგლებში წარმოდგენილი წავის პოპულაცია ნენსკრას ხეობას არ უნდა იყენებდეს. მდ. ნენსკრას და მდ. ენგურის შესართავი კანდიდატი ზურმუხტის უბნიდან 25 კმ-ით ქვემოთ მდებარეობს. აღნიშნულის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ თუ მდ. ნენსკრაში წარმოდგენილია წავის პოპულაცია, ეს პოპულაცია ვერ იქნება იმ პოპულაციის ნაწილი, რომლის გამოც მოხდა კანდიდატი ზურმუხტის უბნის ნომინირება. ასევე ჩაითვალა, რომ არ არსებობს ზემოქმედების გავრცელების რაიმე გზა, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას გამოიწვევდა კანდიდატი ზურმუხტის უბნის ფარგლებში წარმოდგენილი წავის პოპულაციის საკონსერვაციო სტატუსზე.</p>	არა
<i>Canis lupus</i>	2016 წლის კვლევებისას სოფ. ტიტასთან ნაპოვნი იქნა კვიცის ლეში.	არა

⁷ IUCN (2015). საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების IUCN-ის წითელი ნუსხა 2015, ინფორმაცია Lynx Lynx-ზე (IUCN (2015). The IUCN Red List of Threatened Species 2015, Information on Lynx Lynx). [ინტერნეტ-ინფორმაცია] იხ. მისამართზე: <http://dx.doi.org/10.2305/IUCN.UK.2015-2.RLTS.T12519A50655266.en>[ინფორმაცია აღებულია 2015 წლის 27 ოქტომბერს]

ჰაბიტატი/სახეობა	შეფასება	შეიძლება ზემოქმედება მნიშვნელოვანი იყოს?
<p><i>მგელი</i></p>	<p>დათვლიერებამ გვიჩვენა, რომ იგი მგლის მოკლული უნდა ყოფილიყო. კვიცის ლეში ადგილზე დავტოვეთ და მის მახლობლად ორი ფოტო-კამერა განვათავსეთ ღამის ცხოვრების მონიტორინგისათვის. კამერამ დააფიქსირა მხოლოდ ერთი ძუ მგელი, რომელი ლეშს ჭამდა. ერთი ზრდასრული რუხი მგლის ნაკვალევი სოფ. ტიტას თავზე არსებულ ბილიკზე აღირიცხა. ამ სახეობის არსებობის შემთხვევით ნაპოვნი ნიშნები ადასტურებს მის არსებობას ნენსკრას ხეობაში. თუმცა, ის ფაქტი, რომ ასეთი ნიშნები მხოლოდ 2016 წელს დაფიქსირდა, ხოლო სხვა წლებში განხორციელებული კვლევებისას არ აღრიცხულა, იმაზე მიუთითებს, რომ თუმცა მგელი წარმოდგენილია ამ ტერიტორიაზე, მისი სიმჭიდროვე დაბალია და მისი საარსებო ტერიტორია გაცილებით ფართო - 100 – 500 კმ² - უნდა იყოს. რადგანაც მგლის საცხოვრებელი ტერიტორია ვრცელია, ნენსკრა ჰესის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების დანაკარგი ან შემაწუხებელი ფაქტორები ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს. აღნიშნულის გამო ჩაითვალა, რომ პროექტი, მარტო ან სხვა გეგმებთან/პროექტებთან ერთობლივად, კანდიდატი ზურმუხტის უბნის ფარგლებში მგლის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.</p>	
<p><i>Rhinolophus ferrumequinum</i> დიდი ცხვირნალა</p>	<p>IUCN-ის ვებ-გვერდზე ამ სახეობის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა წარმოდგენილი: იგი იკვებება სამოვრებზე, ზომიერი სარტყელის ფოთლოვან ტყეებში, შუაზღვისპირეთისა და მიმდებარე რეგიონების ბუჩქნარებსა და ტყეებში. მისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატები და ლანდშაფტებია: ტყეები, განსაკუთრებით წლის დასაწყისში და მუდმივი საზაფხულო სამოვრები, განსაკუთრებით ზაფხულის ბოლოსკენ. იკვებება ხოჭოებით, პეპლებითა და სხვა დაბლამფრენი მწერებით, სამოვრებზე და ტყეებში, ყოველ ღამით, თავშესაფარი ადგილებიდან 2-3 კმ-ში (ნადირობს ფრენისას, ან ადგილიდან). ზაფხულის თავშესაფრები განლაგებული თბილ, ბუნებრივ და ხელოვნურ მიწისქვეშა სივრცეებში; გავრცელების არეალის ჩრდილოეთ ნაწილში - სხვენებში. სახეობა მთელი წელი იყენებს გამოქვაბულს, თუმცა ჩრდილოეთ ევროპაში ზაფხულის სანაშენე კოლონიებისათვის შენობებს ირჩევს.</p> <p>დამურას ეს სახეობა ნენსკრა ჰესის წყალსაცავის ტერიტორიაზე არ აღრიცხულა (სავარაუდოდ ზღვის დონიდან სიმაღლისა და სანადირო სახეობების არარსებობის გამო), თუმცა ნენსკრას ხეობის ფარგლებში სოფ. ტიტასთან დაფიქსირდა. ცნობილი არაა, ხუდონჰესისთვის განხორციელდა თუ არა დამურების კვლევა; თუმცა, ჰაბიტატების შეფასება გვიჩვენებს, რომ დამურას ეს სახეობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამ ჰესის ორთავე ტერიტორიაზე. ნენსკრა ჰესის შემთხვევაში კი იგი მხოლოდ ძალოვანი კვანძისა და დაწნევიითი მილსადენის უბნებში გვხვდება.</p> <p>ეს სახეობა ძირითადად ხელსაყრელ საკვებ ადგილებშია გავრცელებული, როგორცაა ტყის კიდეებში არსებული სამოვრები. დაგეგმილი ჰესების ჯამური ზემოქმედება ასეთ ადგილებზე მინიმალური იქნება. ნენსკრა ჰესის წყალსაცავის ტერიტორიაზე, სადაც პროექტის გამო ჰაბიტატების მნიშვნელოვანი ფართობი განადგურდება, ამ სახეობისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატები წარმოდგენილი არაა. საგენერატორო შენობისა და დაწნევიითი მილსადენის უბნები ხშირი ტყეებითაა დაფარული; აქ არ გვხვდება სამოვრები და, შესაბამისად, ტყის კიდეებიც ნაკლებია. ამიტომაც,</p>	<p>არა</p>

ჰაბიტატი/სახეობა	შეფასება	შეიძლება ზემოქმედება მნიშვნელოვანი იყოს?
	ნენსკრა ჰესის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების დანაკარგი ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.	
<i>Gyps fulvus</i> ორბი	ეს სახეობა საკვლევ ტერიტორიაზე რეგულარულად შემოდის, თუმცა მცირე რაოდენობით და აქ არ მრავლდება. ამიტომაც, მოცემული და სხვა დაგეგმილი პროექტების ჯამური ზემოქმედება ამ სახეობაზე მნიშვნელოვანი ვერ იქნება.	არა
<i>Aquila chrysaetos</i> მთის არწივი	ჩვეულებრივ, ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ პალეარქტიკულ რეგიონში. იგი შესაძლოა საკვლევ ტერიტორიაზე ბუდობდეს, თუმცა არა ხუდონისა და ნენსკრა ჰესების წყალსაცავების ტერიტორიაზე. რადგანაც ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული, მოცემული და სხვა დაგეგმილი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების დანაკარგი მასზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.	არა
<i>Milvus migrans</i> ძერა	ეს სახეობა გამვლელი მიგრანტია და შეფასებული ტერიტორიის საზღვრებში არ ბინადრობს. ამიტომაც, მოცემული და სხვა დაგეგმილი პროექტების ჯამური ზემოქმედება ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს.	არა
<i>Aegithalos caudatus</i> თოხიტარა	ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული; თუმცა, მისი პოპულაციის სიმჭიდროვე მცირეა. იგი მთელს წელს კანდიდატი ზურმუხის უბნის ტერიტორიაზე უნდა ატარებდეს. ზურმუხის უბნის საზღვრებს გარეთ განხორციელებული პროექტები მასზე ზემოქმედებას ვერ იქონიებს, რადგანაც არ არსებობს ზემოქმედების (მაგ., დაბინძურება, ჰაბიტატების განადგურება და სხვა) გავრცელების გზები.	
<i>Hieraetus pennatus</i> ჩია არწივი	ეს სახეობა გამვლელი მიგრანტია და შეფასებული ტერიტორიის საზღვრებში არ ბინადრობს. ამიტომაც, მოცემული და სხვა დაგეგმილი პროექტების ჯამური ზემოქმედება მის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვანი არ იქნება.	არა
<i>Lanius collurio</i> ლაქო	ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული, იგი აღრიცხულია როგორც ზაფხულში მობუდარი და ასევე, როგორც გამვლელი მიგრანტი. რადგანაც იგი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, ნენსკრა ჰესისა და ხუდონჰესის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ჯამური დანაკარგი ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.	არა
<i>Buteo buteo</i> კაკაჩა	ეს სახეობა მეტ-ნაკლებად ფართოდაა გავრცელებული, იგი აღრიცხულია როგორც ზაფხულში მობუდარი (მცირე რაოდენობით) და ასევე, როგორც გამვლელი მიგრანტი (ჩვეულებრივ). რადგანაც იგი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, ნენსკრა ჰესისა და ხუდონჰესის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ჯამური დანაკარგი ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.	არა
<i>Columba palumbus</i> ქედანი	ეს სახეობა წარმოდგენილია როგორც ხუდონჰესის, ასევე ნენსკრა ჰესის ტერიტორიაზე. ნენსკრა ჰესის წყალსაცავის ტერიტორიაზე იგი შესაძლოა იყოს მხოლოდ არამობუდარი მობინადრე და გამვლელი მიგრანტი. ხუდონის ჰესის ტერიტორიასა და ენგურის ხეობაში იგი მეტ-ნაკლებად ფართოდ გავრცელებული სახეობაა, რომელიც ამ ადგილებში მთელი წლის განმავლობაში წარმოდგენილი. რადგანაც იგი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, ნენსკრა ჰესისა და ხუდონჰესის პროექტების	არა

ჰაბიტატი/სახეობა	შეფასება	შეიძლება ზემოქმედება მნიშვნელოვანი იყოს?
	განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ჯამური დანაკარგი ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებში.	
<i>Corvus corax</i> <i>გორანი</i>	ეს სახეობა ფართოდა გავრცელებული, იგი აღრიცხულია როგორც ზაფხულში მობუდარი და ასევე, როგორც გამკლავი მიგრანტი. რადგანაც იგი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, ნენსკრა ჰესისა და ხუდონჰესის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ჯამური დანაკარგი ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებში.	არა

2.5 სკრინინგის შედეგები

მოცემული შეფასების მიზნებისათვის კანდიდატი ზურმუხტის უბანი განხილული იქნა როგორც არსებული ზურმუხტის უბანი. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ტერიტორიის არც ერთი მონაკვეთი არ ხვდება სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებში. კანდიდატი ზურმუხტის უბანთან ყველაზე ახლომდებარე პროექტის ინფრასტრუქტურა იქნება ნაკრას დაბალზღვრულიანი კაშხალი და წყალამღები, რომლებიც მისგან 760 მ-ით იქნება დაცილებული. პროექტის ძირითადი ტერიტორია (ნენსკრას წყალსაცავის ტერიტორია) კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრიდან 16 კმ-ითაა დაცილებული. ნენსკრას ხეობასა და კანდიდატი ზურმუხტის უბნის ტერიტორიას შორის განლაგებულია მყინვარული მთათა სისტემა, რომელიც ბუნებრივ გეოგრაფიულ საზღვარს ქმნის.

შეფასებამ გვიჩვენა, რომ კანდიდატი ზურმუხტის უბნის ისეთ მახასიათებლებზე, რომლებიც მისი ნომინირების საფუძველი გახდა, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. ამისი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია დაცილება (რაც ზემოთაც იქნა აღნიშნული), რადგანაც მოცემული პროექტისა და სხვა დაგეგმილი პროექტების ტერიტორიები მთლიანად სვანეთის კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებს გარეთაა. ზემოქმედების შესაძლო გავრცელების გზები შესაძლოა დაკავშირებული იყოს წყლის გარემოსთან, ან სახეობების პოპულაციების გადაადგილებასთან, თუ ისინი ზურმუხტის უბანს დატოვებენ.

ჰიდროლოგიური ქსელის მეშვეობით ზემოქმედების გავრცელების შესაძლებლობა ძალიან მცირე იქნება, რადგანაც პროექტი კანდიდატი ზურმუხტის უბნიდან ქვედა დინებაშია განთავსებული. მგელი, მურა დათვი და ფოცხვერი ხმელეთის ფაუნის ის წარმომადგენლებია, რომელთა საცხოვრებელი არეალი შესაძლოა კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებს სცდებოდეს; თუმცა, მათი ვრცელი საცხოვრებელი ტერიტორიის გათვალისწინებით, მოცემული და დაგეგმილი პროექტების ჯამური ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ტერიტორიების ათვისებასთან ან შემაწუხებელ ფაქტორებთან, ამ სახეობების საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს. შეფასებული იქნა ფრინველებზე ზემოქმედების საკითხიც. ადგილობრივი სახეობების შემთხვევაში ზემოქმედებას ადგილი ვერ ექნება გავრცელების გზების არარსებობის, ზურმუხტის უბნამდე დაშორებისა და გეოგრაფიული პირობების გამო. ფრინველების უფრო მობილური სახეობების შემთხვევაში, მათი ვრცელი

საცხოვრებელი არეალისა და მობილურობის გამო, პოტენციური ზემოქმედება (როგორცაა ჰაბიტატების დაკარგვა) მნიშვნელოვანი არ იქნება.

საერთო ჯამში, პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედების შეფასებამ გვიჩვენა, რომ მოცემული და სხვა დაგეგმილი პროექტები ერთობლივად ზემოქმედებას ვერ იქონიებს იმ სახეობებზე, რომლებიც კანდიდატი ზურმუხტის უბნის ნომინირების საფუძველი გახდა. აღნიშნულის გამო, მიზანშეწონილობის შეფასება, ანუ მე-2 საფეხურის განხორციელება საჭირო არაა.

3.0 ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შპს SLR Consulting-ის მიერ, შესაბამისი კვალიფიკაციით, გულისყურით და პასუხისმგებლობით, დამკვეთთან შეთანხმებული პერსონალის ჩართულობითა და რესურსებით. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება შეგროვებულ მონაცემებს, რომლებიც ზუსტად და დასაბუთებულად ჩაითვალა.

ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ K-Water-ისთვის; მესამე მხარეს არ გააჩნია რაიმე სახელშეკრულებო გარანტიების ან ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება. SLR-ს წერილობითი ნებართვის გარეშე სხვა მხარეებს არ გააჩნიათ წინამდებარე ანგარიშის გამოყენების უფლება.


SLR არ ცნობს რაიმე ვალდებულებას დამკვეთის ან სხვა რომელიმე მხარის მიმართ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება დამტკიცებული ტექნიკური დავალების ფარგლებს.

4.0 რუკები

რუკა 1 – პროექტის ადგილმდებარეობა და კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრები

რუკა 2 - ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფების დიდმასშტაბიანი რუკა

რუკა 3 - ჯამური ზემოქმედების შეფასების, ჰესების ტერიტორიებისა და შეფასების არეალის საზღვრები



Legend

- Previous Potential Emerald Site Boundary
- Current Potential Emerald Site Boundary

N

WGS 84 UTM 38 N

0 0.75 1.5 3 4.5 Km



SLR global environmental solutions

JSC Nenskra Hydro

NENSKRA HYDROPOWER PROJECT
 Supplementary
 Environmental & Social Studies
 Appropriate Assessment

Map n° 1
Project Location
and Candidate Emerald Site

Scale: 1:125,000 @ A3 Date: February 2017

File n°901.6.2.1_Project_Location_Emerald_Boundary_V20Feb2017
 Source: L_6768-B-GE-GE-DW-003_003
 L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001
<http://www.apa.gov.ge/uploads/photo/main/2/2311.jpg>[Protected areas]
 Ministry of Environment and Natural Resources Protection
 [Candidate emerald sites]

Service Layer Credits: Sources: Esri, HERE, DeLorme, Intermap, increment P Corp., GEBCO, USGS, FAO, NPS, NRCAN, GeoBase, IGN, Kadaster NL, Ordnance Survey, Esri Japan, METI, Esri China (Hong Kong), swisstopo, MapmyIndia, © OpenStreetMap contributors, and the GIS User Community

260000 265000 270000 275000 280000 285000 290000 295000 300000 305000

Legend


	Nenskra and Nakra Watersheds		Farmland including Grassland and Crops
	Scrub		Landslide
	Broad-leaved Woodland		Alpine Zone or Bare Rock
	Conifer Dominated Woodland		Sub-Alpine Zone
	Mixed Woodland		River or Stream Associated Gravel
	Bracken		Residential Areas including House and Gardens

WGS 84 UTM 38 N

0 1 2 4 6 Km



4790000
4785000
4780000
4775000
4770000
4765000
4760000




NENSKRA HYDROPOWER PROJECT
Supplementary
Environmental & Social Studies
Appropriate Assessment

Map n° 2
Nenskra and Nakra Watershed

Scale: 1:125,000 @ A3 Date: February 2017

File n°901.6.2_2_Watersheds_V10Feb2017
Source:
L_6768-B-GE-GE-DW-003_003
L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001

260000 265000 270000 275000 280000 285000 290000 295000 300000 305000



Legend

- Assessment Boundary
- Emerald Candidate Site Svaneti – Year 2016



SLR global environmental solutions

JSC Nenskra Hydro

NENSKRA HYDROPOWER PROJECT
 Supplementary
 Environmental & Social Studies
 Appropriate Assessment

Map n° 3
Appropriate
Assessment Area

Scale: 1:225,000 @ A3 Date: February 2017

File n°901.6.2_3_Cumulative_Assessment_V10Feb2017
 Source: L_6768-B-GE-GE-DW-003_003
 L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001
 Khudoni HPP: Trans Electrica Limited - Khudoni Hydro
 Power Project (702 MW) EIA-CENN-2013
<http://www.apa.gov.ge/uploads/other/0/658.pdf>

Service Layer Credits: Sources: Esri, HERE, DeLorme, Intermap, increment P Corp., GEBCO, USGS, FAO, NPS, NRCAN, GeoBase, IGN, Kadaster NL, Ordnance Survey, Esri Japan, METI, Esri China (Hong Kong), swisstopo, MapmyIndia, © OpenStreetMap contributors, and the GIS User Community

English	Georgian
NENSKRA HYDROPOWER PROJECT Supplementary Environmental & Social Studies Volume 4 – Biodiversity Impact Assessment	ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დამატებითი შესწავლა ტომი 4 – ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება
Date : February 2017	თარიღი: 2017 წ. თებერვალი

English	Georgian	English	Georgian
<u>Locations :</u>	ადგილმდებარეობა:	<u>Project components :</u>	პროექტის კომპონენტები:
Enguri reservoir	ენგურის წყალსაცავი	Headrace Tunnel	წყალსატარი გვირაბი
Zugdidi	ზუგდიდი	Nenskra dam and reservoir	ნენსკრის კაშხალი და წყალსაცავი
Meslia	მესტია	Powerhouse and Switchyard	ჰესის შენობა და ქვესადგური
Russia	რუსეთი	Transfer tunnel	წყლის გადამგდები გვირაბი
Turkey	თურქეთი	Nakra intake	ნაკრის წყალმიღები
Armenia	სომხეთი		
Azerbaijan	აზერბაიჯანი		
Nenskra	ნენსკრა		
Nakra	ნაკრა		
Okriili	ოკრილი		
		Lakhami HPP	ლახამის ჰესი
Legend	ექსპლიკაცია	Tskhvandiri HPP	ცხვანდირის ჰესი
Road	გზა	Okriili HPP	ოკრილის ჰესი
Watercourse	მდინარე, დელე	Nakra HPP	ნაკრას ჰესი
Habitat Type	ჰაბიტატის ტიპი	Darchi-Ormeleti HPP	დარჩი-ორმელეთის ჰესი
Broadleaved Woodland	ფოთლოვანი ტყე	Emerald Candidate Site Svaneti – Year 2016	“სვანეთის ზურმუხტოვანი ადგილის” კანდიდატი – 2016 წ.
Conifer Dominated Woodland	ტყე წიწვოვანის დომინირებით	Assessment boundary	შეფასების საზღვრის
Mixed Broadleaf & Conifer Woodland	შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე		
Scrub	ბუჩქნარი		
Bracken (Pteridium) Covered Slopes	გვიმრით (Pteridium) დაფარული ფერდობები		
Farmland including Grassland & Crops	სასოფლო-სამეურნეო მიწები საძოვრების და ნათესების ჩათვლით		
Landslide Areas	მეწყურული უბნები		
Sub-Alpine Zone	სუბ-ალპური ზონა		
River or Stream & Associated River Gravels	მდინარე ან დელე და მასთან დაკავშირებული მდინარის ხრეში		
Residential Areas including	საცხოვრებელი ადგილები		

English	Georgian	English	Georgian
Houses & Gardens	სახლების და ბაღების ჩათვლით		

ABERDEEN

214 Union Street,
Aberdeen AB10 1TL, UK
T : +44 (0)1224 517405

AYLESBURY

7 Wornal Park, Menmarsh Road,
Worminghall, Aylesbury,
Buckinghamshire HP18 9PH, UK
T : +44 (0)1844 337380

BELFAST

Suite 1 Potters Quay, 5 Ravenhill Road,
Belfast BT6 8DN, UK, Northern Ireland
T : +44 (0)28 9073 2493

BRADFORD-ON-AVON

Treenwood House, Rowden Lane,
Bradford-on-Avon, Wiltshire BA15 2AU,
UK
T : +44 (0)1225 309400

BRISTOL

Langford Lodge, 109 Pembroke Road,
Clifton, Bristol BS8 3EU, UK
T : +44 (0)117 9064280

CAMBRIDGE

8 Stow Court, Stow-cum-Quy,
Cambridge CB25 9AS, UK
T : + 44 (0)1223 813805

CARDIFF

Fulmar House, Beignon Close, Ocean
Way, Cardiff CF24 5PB, UK
T : +44 (0)29 20491010

CHELMSFORD

Unit 77, Waterhouse Business Centre,
2 Cromar Way, Chelmsford, Essex
CM1 2QE, UK
T : +44 (0)1245 392170

DUBLIN

7 Dundrum Business Park, Windy
Arbour, Dundrum, Dublin 14 Ireland
T : + 353 (0)1 2964667

EDINBURGH

4/5 Lochside View, Edinburgh Park,
Edinburgh EH12 9DH, UK
T : +44 (0)131 3356830

EXETER

69 Polsloe Road, Exeter EX1 2NF, UK
T : + 44 (0)1392 490152

GLASGOW

4 Woodside Place, Charing Cross,
Glasgow G3 7QF, UK
T : +44 (0)141 3535037

GRENOBLE

BuroClub, 157/155 Cours Berriat,
38028 Grenoble Cedex 1, France
T : +33 (0)4 76 70 93 41

GUILDFORD

65 Woodbridge Road, Guildford
Surrey GU1 4RD, UK
T : +44 (0)1483 889 800

LEEDS

Suite 1, Jason House, Kerry Hill,
Horsforth, Leeds LS18 4JR, UK
T : +44 (0)113 2580650

LONDON

83 Victoria Street,
London, SW1H 0HW, UK
T : +44 (0)203 691 5810

MAIDSTONE

19 Hollingworth Court, Turkey Mill,
Maidstone, Kent ME14 5PP, UK
T : +44 (0)1622 609242

MANCHESTER

8th Floor, Quay West, MediaCityUK,
Trafford Wharf Road,
Manchester M17 1HH, UK
T : +44 (0)161 872 7564

NEWCASTLE UPON TYNE

Sailors Bethel, Horatio Street,
Newcastle-upon-Tyne NE1 2PE, UK
T : +44 (0)191 2611966

NOTTINGHAM

Aspect House, Aspect Business Park,
Bennerley Road, Nottingham NG6 8WR,
UK
T : +44 (0)115 9647280

SHEFFIELD

Unit 2 Newton Business Centre,
Thornccliffe Park Estate, Newton
Chambers Road, Chapeltown,
Sheffield S35 2PW, UK
T : +44 (0)114 2455153

SHREWSBURY

2nd Floor, Hermes House, Oxon
Business Park, Shrewsbury SY3 5HJ,
UK
T : +44 (0)1743 239250

STAFFORD

8 Parker Court, Staffordshire Technology
Park, Beaconside, Stafford ST18 0WP,
UK
T : +44 (0)1785 241755

STIRLING

No. 68 Stirling Business Centre,
Wellgreen, Stirling FK8 2DZ, UK
T : +44 (0)1786 239900


WORCESTER

Suite 5, Brindley Court, Gresley Road,
Shire Business Park, Worcester WR4
9FD, UK
T : +44 (0)1905 751310

www.slrconsulting.com



Industry



Infrastructure



Mining & Minerals



Oil & Gas



Planning & Development



Renewable & Low Carbon



Waste Management

დანართი 6 - ტყის აღდგენის სტრატეგია

ნენსკრა ჰესი

ტყის აღდგენის სტრატეგია

შინაარსი

1.0	შესავალი	2
1.1	მიმოხილვა.....	2
1.2	პროექტის აღწერა.....	3
1.3	კვლევების განხორციელების პერიოდი.....	4
1.4	მდ. ნენსკრასა და მდ. ნაკრას ხეობების ზოგადი დახასიათება.....	4
1.5	ფლორა და მცენარეულობა	5
2.0	შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და ქვეყნის/ საერთაშორისო ნორმებთან.....	8
2.1	საქართველოს კანონმდებლობა	8
2.2	საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები	8
2.3	ტყის აღდგენა-გაშენების საერთაშორისო პროექტების მაგალითები	9
2.4	საქართველოში განხორციელებული ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების მიმოხილვა.....	10
2.5	ტყის წარმატებულად აღდგენა-გაშენებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები	10
3.0	კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან	12
4.0	CORINE-ის მიმოხილვა და გასატყევებელი ტერიტორიის შეფასება	13
4.1	შესავალი	13
4.2	არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.....	13
4.3	ჰაბიტატების დანაკარგის შეფასება.....	13
4.4	დეტალური ბოტანიკური კვლევების მეთოდოლოგია.....	14
4.5	კომპენსაციის პროპორციის დადგენის მეთოდოლოგია.....	15
5.0	ტყის აღდგენის გეგმის შემუშავება.....	19
5.1	გასატყევებლად გამოსადეგი უბნების შერჩევა.....	19
5.2	სავარაუდო გასატყევებელი და სამართავი უბნების აღწერა	19
5.3	მართვის ვარიანტები და ასპექტები.....	23
6.0	სამომავლო ამოცანები	25
6.1	ხარჯთაღრიცხვის მომზადება	25
6.2	როლები და პასუხისმგებლობები	25
6.3	მონიტორინგი	26
7.0	ბოლოსიტყვაობა.....	27
	დანართი A - რუკები.....	28
	დანართი B - მონაცემთა ფორმის ნიმუში	29

ცხრილები

ცხრილი 4-1	სამშენებლო სამუშაოების შედეგად სამუდამოდ ან დროებით განადგურებული ჰაბიტატები - პროექტის მთელი ტერიტორია.....	14
ცხრილი 4-2	ჰაბიტატ-ჰექტარის დასათვლელად საქართველოში გამოყენებული სიდიდეები და საზომები.....	17
ცხრილი 6-1	ერთეული ღირებულებების ინდიკატორული ცხრილი	25

1.0 შესავალი

1.1 მიმოხილვა

ტყის აღდგენის მოცემული სტრატეგია წარმოადგენს ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიშის მე-4 ტომის 'ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება' დანართს. გეგმა შეუქმნა ნიკოლა ფაულკსმა (Nicola Faulks (CEcol)), ქართველი ექსპერტის, დოქტორ მარიამ ქიმერიძის დახმარებით. მოცემული სტრატეგია მომზადებული იქნა იმ მიზნით, რომ მომავალში, სათანადო ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, ხელი შეუწყოს უფრო დეტალური გეგმის მომზადებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიშის (SESS) ტომი 4-ში 'ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება' წარმოდგენილია 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე პერიოდში SLR Consulting-ის მიერ პროექტის პოტენციური ზემოქმედების არეალში ხმელეთის ბიომრავალფეროვნებისა და მდინარის თევზის ჰაბიტატების შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევების შედეგები. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების მიზანი იყო იმ ინფორმაციის გამდიდრება, რომელიც, საფინანსო ინსტიტუტების დაკვეთით შესრულებული შეფასების¹ თანახმად, არასრულადაა წარმოდგენილი 2015 ბსგზმ-ს ანგარიშში.

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (შემდგომში „პროექტი“) შეეცდება ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემების სერვისებზე ზემოქმედების თავიდან აცილებას. როცა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება, განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ზემოქმედებას მინიმალურ დონემდე დაიყვანს და ბიომრავალფეროვნებასა თუ ეკოსისტემების სერვისებს აღადგენს. რადგანაც გრძელვადიან პერსპექტივაში ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემების სერვისებზე მოცემული პროექტის ზემოქმედების პროგნოზირება რთულია, გამოყენებულია ადაპტაციური მართვის მიდგომა, რომლის ფარგლებშიც პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში შემარბილებელი და სამენეჯმენტო ღონისძიებები ცვლადი პირობების საპასუხოდ და მონიტორინგის შედეგების მიხედვით განხორციელდება.

SESS-ის მე-4 ტომში წარმოდგენილი შემარბილებელი სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა შერბილების იერარქია. საერთო ჯამში, ეს იქნება შემდეგი სამსაფეხურიანი პროცესი:

1. გარემოზე, კერძოდ კი ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ან პრევენცია;
2. პროექტით გამოწვეული ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, როდესაც ზემოქმედების თავიდან აცილება ვერ ხერხდება;
3. ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება (ადგილზე, ან სხვა ტერიტორიებზე), რაც უკიდურესი ზომია.

¹ გამა 2015 სს "ნენსკრა"-ს ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (Gamma 2015 Nenskra JSC Project on the Construction and Operation of Nenskra HPP – Environmental and Social Impact Assessment Report).

როგორც EBRD-ს მე-6 სამოქმედო სტანდარტშია (EBRD 2014) აღნიშნული, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ზემოქმედების შესარბილებლად იერარქიული მიდგომის გამოყენებაა, რათა დაცული იქნას ბიომრავალფეროვნების არსებული ბალანსი და სათანადო შემთხვევებში ბიომრავალფეროვნება გაიზარდოს კიდევ. ტყის აღდგენის მოცემული სტრატეგია შემუშავებული იქნა ბიომრავალფეროვნების არსებული ბალანსის შენარჩუნების მიზნით. მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება 2015, 2014 და 2011 წლებში შეგროვებულ ფონურ მონაცემებს, რომლებიც დეტალურადაა წარმოდგენილი SESS-ის მე-4 ტომის დანართ 1-ში: 'ფლორის, მცენარეული საფარისა და ჰაბიტატების შეფასების ანგარიში'.

1.2 პროექტის აღწერა

ნენსკრას მაღალი დაწნევის, 280 მგვტ სიმძლავრის საპროექტო ჰიდროელექტროსადგური გაშენდება მდ. ნენსკრასა და მდ. ნაკრას ხეობების ზედა წელში არსებულ ხელუხლებელ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ კი სამეგრელოს-ზემო სვანეთის რეგიონშია განთავსებული (იხ. რუკა 1).

პროექტისთვის გამოყენებული იქნება მდ. ნენსკრასა და მიმდებარე მდ. ნაკრას ჩამონადენი, რომლებიც კაშხლიდან დაახლ. 17 კმ-ში მოწყობილ საგენერატორო შენობაში 725 მ დაწნევას უზრუნველყოფს.

პროექტის ძირითადი კომპონენტები იქნება: 130 მ სიმაღლის და 850 მ სიგრძის, ასფალტის ეკრანიანი ქვანაყარი კაშხალი, რომელიც დაახლ. 176 მლნ. მ³ სასარგებლო მოცულობის წყალსაცავს შექმნის. სრულად შევსებული წყალსაცავის სარკის ფართობი 2.67 კმ²-ს შეადგენს. მდ. ნაკრა მდ. ნენსკრას წყალსაცავში გადასროლილი იქნება 12.25 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბით. დაწნევითი წყალსატარი მოიცავს 15.1 კმ სიგრძის დაწნევით გვირაბს, დაწნევით შახტს და 1,790 მ სიგრძის მიწისქვეშა დაწნევით მილსადენს. მიწისზედა საგენერატორო შენობა მოეწყობა მდ. ნენსკრას მარცხენა ნაპირზე და მასში განთავსდება ოთხი ვერტიკალური პელტონის ტურბინა, თითოეული 93 მგვტ სიმძლავრის, ხოლო ჯამურად 280 მგვტ სიმძლავრის. ამას გარდა, საჭირო იქნება 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც საგენერატორო შენობის მიმდებარედ მოწყობილ ქვესადგურს ხუდონის ახალ ქვესადგურთან დააკავშირებს.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2017 წლის სექტემბერში და მშენებლობა 4 წელიწადს გასტანს. მოსამზადებელი სამუშაოების ნაწილი, კერძოდ კი მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, სამშენებლო ბანაკების მოწყობა და ტექნიკური სამონტაჟო სამუშაოები 2015 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2017 წლის სექტემბრამდე გაგრძელდება. ხელსაყრელი გარემოებების შემთხვევაში, ელექტროენერჯის გამომუშავება 2019 წლის ბოლოს დაიწყება.

პროექტი შეიმუშავა სს "ნენსკრა ჰიდრო"-მ, რომელის ძირითადი მეწილეები არიან: კორეის სახელმწიფო სააგენტო K-water და საქართველოს ხელისუფლების საინვესტიციო ფონდი "საპარტნიორო ფონდი". წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს K-water-ისა და საპარტნიორო ფონდის საკუთრებას.

1.3 კვლევების განხორციელების პერიოდი

პროექტის ტერიტორიაზე ფლორის, მცენარეული საფარისა და ჰაბიტატების კვლევა პირველად, 2011 წელს, გამამ განახორციელა. 2014 წელს ამ კომპანიამ დამატებით შეისწავლა ტერიტორია. აღნიშნული კვლევების შედეგები ასახულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგშ) ანგარიშში, რომელიც 2015 წელს მოამზადა ქართულმა გარემოსდაცვითმა საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგ“-მა (გამა).

2015 წლის ბსგშ-ს მომზადების შემდეგ, პროექტის მესაკუთრებმა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს მიმართეს. საფინანსო ინსტიტუტებმა, გარემოსა და სოციალურ დაცვის საკუთარი პოლიტიკის საფუძველზე და 2015 წლის ბსგშ-ში წარმოდგენილი ინფორმაციის შევსების მიზნით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დამატებითი შეფასების განხორციელება მოითხოვეს. შედეგად, 2015 წლის სექტემბერში განხორციელდა შემდგომი ბოტანიკური კვლევები.

ამას გარდა, 2016 წელს SLR Consulting-მა მოამზადა SESS დოკუმენტი. მასში წარმოდგენილია შპს SLR Consulting-ის (SLR) მიერ 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე პერიოდში შესრულებული ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების შედეგები. გამასა და SLR-ის მიერ განხორციელებული ყველა ბოტანიკური კვლევების შედეგები წარმოდგენილია SESS-ის მე-4 ტომის დანართ 1-ში: "ფლორის, მცენარეული საფარისა და ჰაბიტატების შეფასების ანგარიში".

1.4 მდ. ნენსკრასა და მდ. ნაკრას ხეობების ზოგადი დახასიათება

1.4.1 გეომორფოლოგია

პროექტის ტერიტორია მოიცავს ნენსკრა-ნაკრას წყალშემკრების გეობოტანიკურ რეგიონს, რომელიც განლაგებულია სვანეთის დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან რეგიონს ძირითადი წყალგამყოფი ქედი ესაზღვრება; დასავლეთის საზღვარი ემთხვევა სვანეთის ადმინისტრაციულ საზღვარს; აღმოსავლეთის საზღვარი გასდევს ნაკრა-დოღრას წყალგამყოფს - ცალგმილის ქედს; სამხრეთის საზღვარი კი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირს მიუყვება (იხ. რუკა 1).

მდ. ენგური ზემო სვანეთის მთავარი წყლის არტერიაა. იგი სათავეს იღებს ნამყვამის (ენგურ-უხვანის) მყინვარიდან, ხოლო სოფ. ხაიშთან გაედინება ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე. რეგიონის ფარგლებში ენგურის ხეობა კლდეკარისებურია: იგი კლდოვანი ნაპრალია სვანეთის, აფხაზეთ-სვანეთსა და სამეგრელოს ქედების კონტრფორსებს შორის. ამ გეობოტანიკურ რაიონის ფარგლებში ენგურის ხეობა მიედინება პალეოზოური მეტამორფული ქანების წყებაში (დიზის წყება), შუაიურულ პორფირიტულ სერიასა (ხაიშთან) და ცარცულ კირქვებში (ლარაკვაკვასთან და ჯვარს ზემოთ).

ნენსკრა და ნაკრა მდ. ენგურის დიდ შენაკადებს წარმოადგენს. მდ. ნენსკრა სათავეს კავკასიონის სამხრეთის ფერდობებზე იღებს. ზემო წელში მისი ხეობა კარსტული ფიქლებითაა წარმოდგენილი, ქვედა ნაწილში კი თიხა-ფიქლებით და კარბონატული წყებით. ამ ნაწილში იგი კვეთს დეისურ და ლიასურ თიხა-ფიქლებს, ქვიშაქვებს და ვულკანურ ქანებს.

თეთნაშერას შესართავამდე მდ. ნენსკრა შედარებით ვიწრო ხეობაში მიედინება. მისი მარჯვენა შენაკადებია: დალარი, ცხანდირი, ოკრილა, ხარალი, თეთნაშერა, დევრა, ლალამო, დარჩიე; მარცხენა - მანჩხაპური, ტიტა, მარლი, გვაშხარა.

მდ. ნაკრა მყინვარიდან მოედინება და მდ. ენგურს ზღვის დონიდან 918-1000 მ სიმაღლეზე ერთვის. ნაკრას ხეობა ღრმადაა ჩაჭრილი კრისტალურ ქანებში, თიხა-ფიქლებსა, ასევე კარბონატულ და პალეოზოურ მეტამორფულ წყებში. იგი შემოსაზღვრულია შტაულერის, ცალგიმილისა და მთავარი ქედებით. ტროგული (U-ებრი) ფორმა მკაფიოდაა გამოხატული მდინარის სათავეში (უკლება, 1952; მარუაშვილი, 1970).

ამ რეგიონში, ისევე როგორც ზემო სვანეთის დასავლურ ნაწილში, ნალექების წლიური მოცულობა 1200-1350 მმ-ია. საშუალო წლიური ტემპერატურა 10-14°C-ს შეადგენს; ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა 0.6°C-ია; ხოლო ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა - 20.9°C.

1.5 ფლორა და მცენარეულობა

პროექტის ტერიტორიაზე ორი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჰაბიტატის ტიპია: შერეული ფოთლოვან-წიწვოვანი ტყეები და ფოთლოვანი ტყეები. ჰაბიტატების ამ ზოგად ტიპებში წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობები, რომლებიც დეტალურად (დამატებით გარემოსდაცვით და სოციალური კვლევებშია (SESS) აღწერილი. საერთო ჯამში, ძალური კვანძის მიმდებარე შერეულ ფოთლოვან ტყეებში წარმოდგენილია ისეთი სახეობები, როგორცაა: წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Caprinus caucasica*), ივანი (*Fraxinus excelsior*), თხილი (*Corylus avellana*), წაბლი (*Castanea sativa*) და წყავი (*Laurocerasus officinalis*). წყალსაცავის შეტბორვის ზონაში ფოთლოვანი ტყეები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: წიფელი, წაბლი, ნეკერჩხალი (*Acer laetum*), ლეკა (*Acer platanoides*), მურყანი (*Alnus barbata*), მუხა, ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*) და ცაცხვი (*Tilia begoniifolia*). ფოთლოვან ტყეებში წიწვოვანი სახეობების შერევის შემთხვევაში ამ უკანასკნელიდან წარმოდგენილია: სოჭი (*Abies nordmanniana*) და მაღალმთის ნაძვი (*Picea orientalis*). პროექტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ხე-ტყის ჭრა. აქ ძირითადად წიწვოვანი სახეობები, მათ შორის ნაძვი იჭრება.

ტყეების გარდა, პროექტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მცირე ზომის საძოვრები. მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე ბალახეულობით დაფარულ საძოვრებზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენს აძოვებენ. ტყის ფანჯრებში წარმოდგენილი ბალახეულობის გარდა, შინაური პირუტყვი ასევე ქვეტყის სახეობებით იკვებება. პროექტის ტერიტორიაზე მცენარეულ საფარს მოკლებული ჰაბიტატები მოიცავს მდ. ნენსკრასა, მდ. ნაკრასა და მათ შენაკადებს, ასევე მდინარის ნატანის აკუმულაციურ უბნებს.

უფრო ვრცელი წყალშემკრების ფარგლებში და, საზოგადოდ, სვანეთის რეგიონში ტყის სარტყელის ზედა საზღვარი 2000-2300 მ-ზე გადის. ზემო სვანეთის რეგიონის ფიტოლანდშაფტში მუქწიწვოვანი ტყეები დომინირებს. მისი მარადმწვანე ქვეტყეში წარმოდგენილია: წყავი (*Laurocerasus officinalis*), შქერი (*Rhododendron ponticum*) და ჭყორი (*Ilex colchica*). წყავი ფართოდაა გავრცელებული ლარაკვაკვასა და ორმელეთის ხეობებში. ქვედა ზონაში დომინირებს შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების სხვადასხვა ტიპები. მათგან უნდა გამოიყოს ქართული მუხის ტყეები, რომლებიც მდ. ენგურის გასწვრივ, მდ. ნენსკრას შესართავის მახლობლად და ასევე, მდ. ნაკრას შესართავთან, სოფ. ნაკის

მიმდებარედ გვხვდება. რეგიონში ტყის სარტყელის ქვედა ნაწილში კარგადაა განვითარებული მარადმწვანე ქვეტყე.

რეგიონის ზოგიერთ ადგილას, 1500-1600 მ სიმაღლეებზე წარმოდგენილია წიფლნარ-რცხილნარი ტყეები, წაბლის შერევით. ასეთი ტყე გვხვდება, მაგალითად, სოფ. ნაკის მახლობლად, მდინარის მარჯვენა ფერდობებზე, სადაც იგი განვითარებულია მუქწიწვოვანი ტყის სარტყელის ფარგლებში. 2000 მ-ზე ზემოთ მუქწიწვოვან ტყეებს სუბალპურ სარტყელი ენაცვლება. მუქწიწვოვანი ტყეების სარტყელში ფართოდაა გავრცელებული კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*); ცხვანდირსა და დალარს შორის გავრცელებულია წიფლნარი ტყეები. იმ უბნებზე, სადაც მუქწიწვოვანი ტყეები გაიჩეხა, ფართოდაა წარმოდგენილი *Senecio pojarkovae*, რომელიც სოფლის მეურნეობის კუთხით მნიშვნელოვანი სახეობაა.

რელიქტური ტყის ფორმაციები/ ასოციაციები ფართოდაა გავრცელებული ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილში. 1000-1200 მ ზოლში სჭარბობს შერეული ფოთლოვანი ტყეები (შერეული ფოთლოვანი ტყეების ქვესარტყელი). ამ ტყეებში ძირითადი სახეობებია (ედიფაქტორებია): წიფელი (*Fagus orientalis*), წაბლი (*Castanea sativa*), რცხილა (*Carpinus caucasica*). ამ სახეობებს ერევა: ცაცხვი (*Tilia caucasica*), ლეკა (*Acer platanoides*), ნეკერჩხალი (*Acer laetum*) და სხვა. ტყეების დიდ ნაწილში განვითარებულია რელიქტური კოლხური ქვეტყე (შქერი - *Rhododendron ponticum*, წყავი - *Laurocerasus officinalis*, კავკასიური მოცვი - *Vaccinium arctostaphylos* და სხვა).

მონოდომინანტური და ბიდომინანტური ფოთლოვანი ტყეებიდან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია: წაბლნარი (*Castanea sativa*), რცხილნარი (*Carpinus caucasica*), წიფლნარი (*Fagus orientalis*), წიფლნარ-რცხილნარი, რცხილნარ-წაბლნარი ტყეები. სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის შედარებით მშრალ ფერდობებზე დომინირებს ქართული მუხის (*Quercus iberica*) და რცხილნარ-მუხნარი ტყეები. კირქვიან ფერდობებზე წარმოდგენილია საინტერესო რელიქტური მუხის ტყეები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა რელიქტური სახეობები (ჩიტწვივა (*Epimedium colchicum*), *Arachne colchica*, *Trachystemon orientale* და სხვა). მურყნარი ტყეები (*Alnus barbata*) განვითარებულია მდინარეთა ჭალებში (პროლოვიურ ტერასებზე). შერეული წიწვოვან-ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის კორომები, კერძოდ კი ნაძვნარი (*Picea orientalis*), სოჭნარი (*Abies nordmanniana*), ფიჭვნარი (*Pinus sosnowskyi*), ნაძვნარ-წიფლნარი, ფიჭვნარ-ნაძვნარი, ნაძვნარ-სოჭნარი და სხვა კორომები წარმოდგენილია ქვეზონებად,

ტყის მცენარეულობის შემადგენლობა მკვეთრად იცვლება 1000-1100 მ-დან 1800-1850 მ-მდე სიმაღლეებს შორის. ტყის მცენარეულ საფარში დომინირებს წიფლნარები (*Fagus orientalis*) და მუქწიწვოვანი ტყეები (მაღალმთის ნაძვი - *Picea orientalis*, სოჭი - *Abies nordmanniana*). კავკასიური ფიჭვის (*Pinus kochiana*) ტყეები აქ ნაკლებად განვითარებულია. ტყეების მნიშვნელოვან ნაწილში (წიფლნარებში, სოჭნარებში, ნაძვნარებში, წიფლნარ-სოჭნარებში) განვითარებულია რელიქტური კოლხური ქვეტყე (წყავი (*Laurocerasus officinalis*), შქერი (*Rhododendron ponticum*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), იელი (*Rhododendron luteum*) და სხვა).

აფხაზეთ-სვანეთისა და ცალგმილის ქედებზე, სუბალპურ ზონაში განვითარებულია პატარ-პატარა ჰიპნუმთან, ისლიანი და სფაგნუმთან მყინვარული წარმოშობის ჭაობები. სვანეთის მთიანეთში, განსაკუთრებით ზემო სვანეთში, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ტორფიან-ჭაობიანები; თუმცა ისინი დიდ ფართობზე იშვიათად იკავებს.

სუბალპურ ჭაობები ნენსკრას ხეობაშიც მრავლადაა, თუმცა პროექტის ტერიტორიაზე არ გვხვდება. ტორფიან-ჭაობიანები ნაკრას ხეობაში ნაკლებად გავრცელებულია. აქ ძირითადად წარმოდგენილია ევტროფული ჭაობები, რომლებიც ძირითადად ნიადაგიდან იკვებება.

ამ ხეობაში ჭარბტენიანი ტერიტორიები ძირითადად წარმოდგენილია მდ. ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფზე (უტვირის ქედზე). ისლიანი ჭაობები გავრცელებულია წყალგამყოფი ქედის ქვედა ნაწილში, მდ. ნაკრას ხეობის მარჯვენა მხარეს, დაახლ. 1600-2000 მ სიმაღლეებზე. ამ ჭაობებში ძირითადად დომინირებს *Caricetum dacicae purum*, *Caricetum dacicae hypnosum*.

სუბნივალური სარტყელი წარმოდგენილია მთათა ქედებსა და მწვერვალებზე, ზღვის დონიდან 3200 მ სიმაღლის ზემოთ. ამ სარტყელში მცენარეული საფარი წარმოდგენილია ცენოზებით; გვხვდება ალპური მდელოების ფრაგმენტებიც. სვანეთის კავკასიონზე, დორლადან დაწყებული თეთნულდამდე მცენარეულ საფარში დომინირებს სვანეთისთვის იშვიათი სუბნივალური სახეობები - *Delphinium caucasicum*, *Pseudovesicaria digitata* და სხვა (ქიმერიძე, 1985). ნენსკრა-ნაკრას ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონისათვის დამახასიათებელია დასავლეთ კავკასიონის სახეობა - *Jurinea pumila* და კავკასია-წინააზიის სახეობა - *Coluteocarpus vesicaria*.

1.5.1 ფაუნა

ნაკრა/ნენსკრას წყალგამყოფის ფარგლებში აღრიცხული საქართველოს წითელ ნუსხის სახეობები მოცემული ქვემოთ. ეს ტერიტორია პროექტის ტერიტორიაზე ვრცელია, რის გამოც ზოგიერთი სახეობა პროექტის პოტენციური ზემოქმედების ზრეალში არ ექცევა.

ძუძუმწოვრები: არჩვი (*Rupicapra rupicapra*), დაღესტნური ჯიხვი (*Capra cylindricornis*), დასავლეთკავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*), მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*) და მცირე ცხვირნალა (*Rhinopophus hipposideros*).

ფრინველები: ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), მთის არწივი (*Aquila crysaetus*), კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczi*), წითელმუცელა ბოლოცეცხლა (*Phoenicurus erythrogaster*), დიდი კოჭობა (*Carpodacus rubicilla*, *syn. Erythrina rubicilla*, სვავი (*Aegyptius monachus*), ორბი (*Gyps fulvus*).

2.0 შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და ქვეყნის/ საერთაშორისო ნორმებთან

2.1 საქართველოს კანონმდებლობა

2.1.1 საქართველოს ტყის კოდექსი

სატყეო-სამეურნეო საქმიანობის, მათ შორის ტყის აღდგენა-გაშენების ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომელიც 1999 წ-ს იქნა მიღებული. ტყის კოდექსის მიხედვით, ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ტყის ფონდს მიკუთვნებული ტერიტორიები რეგულირდება საქართველოს ტყის კოდექსით. ტყის კოდექსში აღწერილია ტყის აღდგენისა და გაშენების საქმიანობა, მათ შორის ამ საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები, როგორცაა ქვეტყის გამოხშირვა ან მთლიანად მოცილება ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს ტყის კოდექსი არ ეხება ტყის ფონდში დაურეგისტრირებელ ტერიტორიებს.

2.1.2 კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ

„ტყის ფონდის მართვის შესახებ“ კანონი 2010 წელს იქნა მიღებული. იგი განსაზღვრავს ტყის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას, უფლებამოსილებას და ვალდებულებას. ამ კანონის მე-5 მუხლის 1(ა) პუნქტის მიხედვით, ტყის მოვლა-პატრონობა და აღდგენა ტყის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობაა.

2.1.3 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014 წელს იქნა მიღებული და მისი 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან დაადგინოს მათ საკუთრებაში არსებული ტყის რესურსების მართვის წესები.

2.2 საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები

პროექტის დაფინანსებით დაინტერესებულია სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტები. ბიომრავალფეროვნებასთან და ზემოქმედების შერბილებასთან დაკავშირებით თითოეულ მათგანს საკუთარი სახელმძღვანელო მითითებები ან მოთხოვნები გააჩნია. საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გათვალისწინებული იქნა შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნები: EBRD 2014a², IFC 2012a³, IFC 2012b⁴, ADB 2012⁵ და EBRD 2014b⁶.

² EBRD (2014a). გარემოსა და სოციალური დაცვის პოლიტიკა. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი.

³ IFC (2012a). სამოქმედო სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

⁴ IFC (2012b). სახელმძღვანელო მითითება 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

⁵ ADB (2012) გარემოს დაცვის სტანდარტები, საუკეთესო გამოცდილების კრებული, დოკუმენტის მუშა პროექტი. აზიის განვითარების ბანკი.

2.3 ტყის აღდგენა-გაშენების საერთაშორისო პროექტების მაგალითები

ტყის აღდგენა-გაშენების მრავალი საერთაშორისო პროექტი არსებობს, რომლებიც განხორციელდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ზომიერი სარტყელის ტყეებში; თუმცა, ყველა მათგანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას არ უკავშირდება. რადგანაც ტყის აღდგენა-გაშენება გარკვეულ დროს მოითხოვს და, შესაბამისად, რთულია საქმიანობის წარმატებულობაზე მსჯელობა, ქვემოთ მოყვანილია ძველი მაგალითები. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტები დიდი ხნის წინ განხორციელდა, გამოყენებული ტექნიკა, მეთოდოლოგია და გამოცდილება დღესაც აქტუალურია.

2.3.1 ტყის აღდგენა-გაშენება კორეაში

ტყის აღდგენა-გაშენების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფართომასშტაბიანი პროექტი სამხრეთ კორეაში წლების წინ განხორციელდა. 1953 წელს, კორეის ომის დასასრულისათვის, ქვეყანაში ტყეები თითქმის მთლიანად განადგურებული იყო ჭრების შედეგად, რადგანაც იაპონიის მიერ 35 წლიანი ოკუპაციის პერიოდში ხე-ტყე ინტენსიურად გამოიყენებოდა საწვავად. ამის შემდეგ განხორციელდა ტყის ორგანიზებულად გაშენება და მართვა, რის შედეგადაც ქვეყნის დიდ ნაწილში ტყეები წარმატებით იქნა აღდგენილი. ამას გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში მოხერხდა უწინდელი ეკოსისტემების აღდგენაც.

2.3.2 ტყის აღდგენა-გაშენება სომხეთში

1980-იან წლებში ისეთი მოვლენების გამო, როგორცაა მიწისძვრა, სამხედრო კონფლიქტი და ენერგორესურსების დეფიციტი, სომხეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საწვავად ხე-ტყის გამოყენებას მიჰყო ხელი. შედეგად, სომხეთში ტყეები ნადგურდებოდა. ამ პროცესის შესაჩერებლად განხორციელდა 'სომხეთის ტყის პროექტი', რომლითაც საკმაოდ კარგი შედეგების მიღება მოხერხდა. იგი ინკლუზიური ხასიათისაა და მასში ჩართულია გასატყევებლად შერჩეული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების მოსახლეობა. ხდება ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება, რომ თავიანთ ეზოებში ხის ადგილობრივი სახეობების ნერგები გამოიყვანონ. ნერგებს ყიდულობს პროექტი და რგავს გასატყევებელ ფართობებზე.

1994 წლიდან მოყოლებული 'სომხეთის ტყის პროექტის' ფარგლებში ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე გამწვანებული იქნა 800 უბანზე მეტი, სადაც საერთო ჯამში 3,500,000 ხეზე მეტი იქნა დარგული; ამასთან, ტყის აღდგენა-გაშენების პროექტმა შექმნა ასობით სამუშაო ადგილი. ასეთი პროექტის განხორციელების უკიდურესი საჭიროება არსებობდა, რადგანაც: საკვების მოსამზადებლად და გათბობისათვის შეშის გამოყენების შედეგად ტყეების ფართობი, რომლებიც 1900-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ტერიტორიის 25%-ს ფარავდა, დღეისათვის 8%-მდეა შემცირებული. ეს იწვევს წყალდიდობებს, ეროზიას და მეწყერს, რის შედეგადაც ზიანდება საცხოვრებელი სახლები და სახნავ-სათესი მიწები.

⁶ EBRD (2014b) EBRD სახელმძღვანელო მითითებები, გარემოსა და სოციალური დაცვის სახელმძღვანელო მითითებები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტებისათვის.

2.4 საქართველოში განხორციელებული ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების მიმოხილვა

ტყის მასივების აღდგენის უახლესი ინიციატივა უკავშირდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის იმ ტყეებს, რომლებიც 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა. ხანძარმა სრულად ან ნაწილობრივ გაანადგურა 950 ჰა ტყე. 2013 წელს საქართველოს მთავრობის, ფინეთის მთავრობისა და UNDP-ის ინიციატივით განადგურებული ტყის 20 ჰექტარზე დაიწყო ტყის აღდგენა. გარდა ამისა, ÖBf/BFW-მ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დამატებით დაახლ. 20 ჰექტარზე აღადგინა ტყის საფარი; და კიდევ 20 ჰექტარზე ეროვნულმა სატყეო სააგენტომ გაატარა გატყეების ღონისძიებები.

ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობითა და მხარდაჭერით, საქართველოში გატარდა ტყის მასივების აღდგენის შემდეგი ღონისძიებები:

- 2008 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, საქართველოს ბანკისა და სატყეო სააგენტოს მონაწილეობით, 7.5 ჰექტარზე გატარდა ტყის აღდგენის სამუშაოები, რასაც წინ სანიტარული ჭრები უსწრებდა.
- 2010 წელს, WWF-მა, GIZ-მა და სატყეო სააგენტომ სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში 239 ჰექტარზე გაატარეს ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის ღონისძიებები. სამცხე-ჯავახეთში ტყის განაშენიანების ღონისძიებები ტყის მეჩხერ უბნებზე გატარდა.
- 2010 წელს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ სამცხე-ჯავახეთში 1.7 ჰექტარზე დარგო კავკასიური ფიჭვი და მაჟალო.
- 2011 წელს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 0.5 ჰექტარზე ტყის სხვადასხვა სახეობები გააშენა.

ზემოთ ჩამოთვლილი ტყის აღდგენის ყველა ღონისძიება სატყეო ფონდის მიწებზე განხორციელდა. ყველა პროექტი იმ ტერიტორიებს მოიცავდა, სადაც ტყის საფარი ბოლო ხანებში განადგურდა. აღნიშნული მოცემულ პროექტსაც შეეხება. ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ტყის საფარი დაზიანებულია ხე-ტყის (უკანონო) ჭრის შედეგად, რომელსაც ინტენსიური სახე აქვს დაწყებული მე-20 საუკუნის ბოლოდან დღემდე. თუმცა, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან განსხვავებით, ეს ტერიტორიები ტყის ფონდს არ მიეკუთვნება.

2.5 ტყის წარმატებულად აღდგენა-გაშენებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები

ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების წარმატებას (ან წარუმატებლობას) განაპირობებს შემდეგი საკვანძო საკითხები:

- ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობის, კერძოდ კი ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეულობის ტიპების, სახეობრივი შემადგენლობის და სხვა სათანადო საკითხების კარგად შესწავლა, რადგანაც ტყის აღდგენა-გაშენების სტრატეგია სწორედ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იქნას შემუშავებული.
- გასატყევებელი უბნების ტოპოგრაფიული და ჰიდროლოგიური პირობების შეფასება, რადგანაც რელიეფური პირობები არსებით როლს თამაშობს ხეების სახეობების სწორად შერჩევაში, რაც, თავის მხრივ, გახარების დიდი მაჩვენებლის წინაპირობაა.

- ტყის აღდგენა-გაშენების პროგრამისათვის საჭიროა გენეტიკური მასალის მარაგი (თესლი, კალამი, ნერგი). ეს მასალა შეძლებისდაგვარად ადგილობრივი უნდა იყოს.
- თესლის შესანახად საჭიროა შენობა-ნაგებობები, ჩითილების გამოყვანა სათბურში და მათი დარგვა გასატყევებელ უბნებზე; ან, სომხეთის მსგავსად, ნერგების გამოყვანის მიზნით შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება.
- ტყის აღდგენა-გაშენების პროგრამა განგრძობითი უნდა იყოს. ტერიტორიების გატყევა და შემდგომი მართვა უნდა მოხდეს თანდათან, მათი გამოყოფის კვალდაკვალ.
- საჭიროა მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება, რათა შეფასებული იყოს საქმიანობის წარმატებულობა და განისაზღვროს მაკორექტირებელი ღონისძიებების საჭიროება.

3.0 კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

ტყის აღდგენის მართვის გეგმის განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- I. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების/ მიწათმოსარგებლების, მიწათმოსარგებლეთა ინტერესებისა და/ ან მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამოვლენა;
- II. შერჩეული მიწის ნაკვეთების საკუთრების ფორმის, მიწათსარგებლობის კატეგორიების/ მცენარეული საფარისა და ბიომების, ასევე მათზე მიწათსარგებლობის სხვადასხვა სახეების ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ამ მონაცემების საფუძველზე თემატური რუკების მომზადება.

პროექტისათვის ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები და მიწათმოსარგებლები არიან:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული დაცული ტერიტორიების სააგენტო (გეგმარებითი დაცულ ტერიტორიის შესახებ ახალი მონაცემების მოპოვების მიზნით);
- ეროვნული სატყეო სააგენტო, რომელიც ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია;
- მესტიის მუნიციპალიტეტი;
- ფერმერები, მწყემსები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენებისა და ღორების მესაკუთრეები.

ადგილობრივი მოსახლეობასთან განხორციელებული უნდა იქნას კონსულტაციები, რათა სრული ინფორმაცია იქნას მოპოვებული ტყის რესურსებით არსებული სარგებლობის შესახებ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბოლო პერიოდებში ჭრაგავლილი უბნებზე ტყის აღდგენა წინააღმდეგობაში მოვიდეს მწყემსებისა და მსხვილფეხა პირუტყვის მეპატრონეების მიერ ამ ტერიტორიების გამოყენებასთან (პროექტის ტერიტორიაზე ცხვრისა ან თხის მოვება არ გამოვლენილა). საქმიანობის მიზანი არ არის ისეთი ტერიტორიების გატყევა, რომლებიც ხანგრძლივად გამოიყენებოდა სამოვრებად, ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, არამედ ბოლო ხანებში გაჩეხილი ტყეების აღდგენაა.

4.0 CORINE-ის მიმოხილვა და გასატყევებელი ტერიტორიის შეფასება

4.1 შესავალი

2015 წელს განხორციელებული მცენარეულობის კვლევის მეთოდოლოგია იმგვარად იქნა შემუშავებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო პროექტის ტერიტორიის ფართომასშტაბიანი კარტირება:

1. ჰაბიტატების ფართომასშტაბიანი რუკების მომზადება ბერნის კონვენციის მიერ ზურმუხტოვანი უბნის მონაცემების აღსაწერად გამოყენებული ჰაბიტატების ზოგადი კატეგორიებისათვის.

4.2 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ფლორის, მცენარეული საფარისა და ჰაბიტატების არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევების შედეგად საკვლევ არეალში (რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელია) გამოვლენილი იქნა ჰაბიტატების 12 ზოგადი ტიპი. აქ წარმოდგენილი დომინანტური ტყის ჰაბიტატებია შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები. საკვლევ არეალის საერთო ფართობი 684კმ²-ია. ტერიტორიის სიდიდის გამო, თავდაპირველად კვლევა სატელიტური სურათების გამოყენებით განხორციელდა, ხოლო შემდეგ ინფორმაცია ადგილზე იქნა გადამოწმებული საფეხმავლო გასვლებით და ვერტმფრენით. რიგით მეორე ფართოდ გავრცელებული ჰაბიტატია ფოთლოვანი ტყეები. ტყეები, სადაც წიწვოვნები დომინირებს, შესწავლილი ტერიტორიის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილზე, ძირითადად ციცაბო, მიუვალ ქედებსა და კალთებზეა წარმოდგენილი (რუკა 2).

4.3 ჰაბიტატების დანაკარგის შეფასება

ტყის აღდგენის მოცემული სტრატეგიის მიზანია პროექტის ინფრასტრუქტურისა და წყალსაცავის მოწყობის შედეგად დაკარგული ჰაბიტატების კომპენსაცია. დროებით დაკარგული ჰაბიტატებისთვის ცალკე მომზადდება მცენარეული საფარის აღდგენისა და მართვის გეგმა, რადგანაც აღნიშნული ზემოქმედების შერბილება შესაძლებელია; ასეთი ღონისძიებები განხორციელდება მშენებლობის დასრულების შემდეგ, როდესაც აღსადგენი ფართობები ჯერ კიდევ პროექტის განკარგულებაში იქნება.

ჰაბიტატები ძირითადად წყალსაცავის ტერიტორიაზე განადგურდება, ტერიტორიის დატბორვის, ასევე კაშხლისა და ახლი გზის მოწყობის გამო; თუმცა, ჰაბიტატები ასევე პროექტის სხვა ტერიტორიებზეც დაიკარგება ისეთი საქმიანობის გამო, როგორცაა საგენერატორო შენობის, დაწნევით მილსადენის, ნაკრას დაბალზღურბლიანი კაშხალისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობა. დროებითი და სამუდამოდ დაკარგული ჰაბიტატების ფართობი მოცემულია ცხრილი 4-1-ში. ეს სიდიდეები შეფასებული იქნა ჰაბიტატების ტიპების GIS რუკების გამოყენებით (რუკა 2 და 3).

ცხრილი 4-1
სამშენებლო სამუშაოების შედეგად სამუდამოდ ან დროებით განადგურებული
ჰაბიტატები - პროექტის მთელი ტერიტორია

აღწერა	სამუდამო დანაკარგი, ჰა	დროებითი დანაკარგი, ჰა	სულ, ჰა
მდინარე ან ნაკადული და მდინარისებრი კენჭნარი	55.01	1,5	56.51
სასოფლო-სამეურნეო მიწები, მათ შორის სათიბ-სამოვარი და სახნავ-სათესი სავარგულები	24.43	132.36	156.79
საცხოვრებელი ტერიტორიები, მათ შორის საცხოვრებელი სახლები და ბაღები, გზები და კეთილმოწყობის ობიექტები	7.72	26.66	34.38
ფართოფოთლოვანი ტყე	96.8	98.16	194.96
ტყე წიწვოვანების დომინირებით	12.8	20.6	33.4
შერეული ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე	159.04	164.1	323.14
მეწყრული უბნები	5.34	0.92	6.26
ბუჩქნარი	45.86	10.1	55.96
სულ სამუდამოდ ან დროებით დაკარგული ჰაბიტატები	407	454.4	861.4

ცხრილი 4-1-ის მიხედვით, პროექტის ტერიტორიაზე, საერთო ჯამში, 268.64ჰა ტყე განადგურდება (ფართოფოთლოვანი ტყეები + ტყეები წიწვოვანების დომინირებით + შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები). აქ მოხსენიებული ბუჩქნარი, რომლის საერთო ფართობი 45.86ჰა-ია, წარმოდგენილია მეწყრულ უბნებზე გავრცელებული პიონერი სახეობებით, როგორცაა არყი, თხილი და ტირიფი. ასეთი უბნების სტაბილიზაციის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში (ორმოცდაათი წლის ან მეტის შემდეგ) ბუჩქნარმა შესაძლოა ზრდასრული ტყე შექმნას მეორადი სუბცესიის სახეობებთან ერთად, როგორცაა წიფელი. აღნიშნულის გამო, ჰაბიტატების ჯამური დანაკარგის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბუჩქნარიც, მაშინაც კი, თუ იგი უმწიფარი ჰაბიტატია და 'ტყის ჰაბიტატს' არ ქმნის.

- **წყალსაცავის ტერიტორიაზე სამუდამოდ დაიკარგება ტყისა და ბუჩქნარის 314.50ჰა.**

4.4 დეტალური ბოტანიკური კვლევების მეთოდოლოგია

ზემოთ მოყვანილი გაანგარიშება შესრულებულია 2016 წელს განხორციელებული ჰაბიტატების ფართომასშტაბიანი კარტირების საფუძველზე. გამოყენებული ჰაბიტატ-ჰექტარის მეთოდის მეტი სიზუსტის უზრუნველსაყოფად, 2016/17 წლებში განხორციელდება ჰაბიტატების უფრო დეტალური კვლევა. მცენარეულობის დეტალური კვლევები იმგვარად უნდა შესრულდეს, რომ ჰაბიტატ-ჰექტარის მეთოდის გამოსაყენებლად საკმარისი მონაცემები შეგროვდეს.

2015 წელს განხორციელებული ბოტანიკური კვლევისას გამოყენებული იყო დანართ 1-ში მოცემული ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ჰაბიტატ-ჰექტარის შეფასებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვებას. მომავალში განხორციელებული ფლორის დეტალური კვლევებისათვის იგივე მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული, რათა წლების განმავლობაში

დაგროვებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი იყოს თითოეული მცენარეულობის ეკოლოგიური კლასისთვის (EVC) ჰაბიტატ-ჰექტარის ქულის მინიჭება. შეფასების მიზნებისათვის, კვლევების მონაცემების შედარების შედეგად ამ ადრეულ საფეხურზე შესაძლებელი უნდა იყოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი EVC-ების იდენტიფიცირება მაინც.

4.5 კომპენსაციის პროპორციის დადგენის მეთოდოლოგია

4.5.1 ჰაბიტატ-ჰექტარის მიდგომის მიმოხილვა

დოკუმენტში მოცემულია ტყის აღდგენის სტრატეგია, რადგანაც წყალსაცავის ტერიტორიაზე დეტალური კვლევები ჯერ არ განხორციელებულა. ამ თავის ამოცანაა კომპენსაციის პროპორციის დადგენის მეთოდოლოგიის აღწერა, რომელიც გამოყენებული იქნება მოცემული პროექტის შემთხვევაში ჰაბიტატების არსებული ბალანსის შენარჩუნებისათვის საჭირო გასატყევებელი ფართობის დასადგენად.

ჰაბიტატ-ჰექტარის მეთოდი ავსტრალიაში⁷ შემუშავებული და იგი ადაპტირებული იქნა საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. ჰაბიტატ-ჰექტარის შეფასების მეთოდი ბუნებრივი მცენარეულობის ღირებულების არაფულად ერთეულებში გამოხატვას ითვალისწინებს. გარემოს საკომპენსაციო მახასიათებელი (ანუ 'ვალუტა', რომლითაც გამოიხატება მცენარეულობის ღირებულება), არის 'ჰაბიტატ-ჰექტარი'.

$$\text{ჰაბიტატის ფართობი [ჰა]} \times \text{ჰაბიტატის ქულა} = \text{ჰაბიტატ-ჰექტარი}$$

ჰაბიტატ-ჰექტარის მიდგომის ფარგლებში საჭიროა უბანზე წარმოდგენილი ჰაბიტატებისა და ლანდშაფტის კომპონენტების შედარება მოცემული მცენარეულობის ტიპისთვის წინასწარ დადგენილ საზომთან ('benchmark'). საზომი მცენარეულობის თითოეული ეკოლოგიური კლასისათვის (EVC) უნდა აღწერდეს მოწიფული და დიდი ხნის განმავლობაში ხელუხლებელი ბიომრავალფეროვნებისა და მცენარეულობის გასაშუალებელ მახასიათებლებს. ჩვეულებრივ, საზომი განისაზღვრება ისეთი ბუნებრივი მცენარეულობის მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელსაც ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია, ან ისტორიული ინფორმაციის საფუძველზე.

სათანადო მონაცემების შესაგროვებლად საჭიროა დეტალური კვლევის ფორმების გამოყენება, რომლებიც მზადდება კვლევების დაწყებამდე და გამოიყენება სავლე სამუშაოებისას.

⁷ მცენარეულობის ხარისხის შეფასების სახელმძღვანელო - ჰაბიტატ-ჰექტარების შეფასების მეთოდი; მდგრადობისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი; ვიქტორიის მთავრობა; 2004 (Vegetation Quality Assessment Manual – Guidelines for applying the habitat-hectares scoring method; Department of Sustainability and Environment; Government of Victoria; 2004)

ცხრილი 4-2-ში ნაჩვენებია, თუ რა მონაცემებია საჭირო საქართველოში ჰაბიტატ-ჰექტარის მეთოდის გამოსაყენებლად.

ცხრილი 4-2
ჰაბიტატ-ჰექტარის დასათვლელად საქართველოში გამოყენებული სიდიდეები და საზომები

კომპონენტი	მაქსიმალური სიდიდე %
უბანზე არსებული პირობები	ხის საშუალო დიამეტრი მკერდის დონეზე (დმს)
	15
	საშუალო სიმაღლე
	15
	ვარჯის შეკრულობა
	10
	ხეების რაოდენობა ერთ ჰა-ზე
	10
	მერქნის მარაგი
	10
	ბაზალური ფართობი
	15
	მცენარეულობა/ ამონაყარი
	10
ლანდშაფტი	შემოგარენი
	10
	მანძილი ძირითად ბირთვამდე
	5
	სულ:
	100

როგორც წესი, სხვადასხვა უბნებზე წარმოდგენილი მცენარეულობის მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო მონაცემების შეგროვება შესაძლებელია ვიზუალური დათვალიერებით. ლანდშაფტის შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია აეროფოტოსურათებიდან, ან გეოსაინფორმაციო სისტემებიდან.

4.5.2 საზომები (Benchmarks) და EVCs

რადგანაც ჰაბიტატ-ჰექტარის მეთოდი ავსტრალიური მოდელია, საქართველოსთვის საჭირო იყო მცენარეულობის ეკოლოგიური კლასების (EVC) განსაზღვრა. აღნიშნული განხორციელდა 2007 წელს და შესაბამისი EVC-ები აღწერილია ანგარიშში: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის მომზადებული მიუკერძოებელი რეკომენდაცია ტყის ეკო-საკომპენსაციო პროგრამასთან დაკავშირებით“ (Independent Advice on Forest Eco-compensation programme for the Ministry of Environment and natural Resources of Georgia⁸ (Susan 2007)).

4.5.3 ჰაბიტატ-ფართობის გაანგარიშება

ნენსკრა ჰესის მშენებლობის შედეგად ტყეებისთვის მიყენებული ზიანის გასაანგარიშებლად გამოყენებული იქნება ხუთ-საფეხურიანი მიდგომა:

1. ინვენტარიზაციის დეტალურ ფორმებში აღწერილი დომინანტური სახეობების გათვალისწინებით (დღეისთვის შეგროვებული მონაცემებისა და მომავალში

⁸ სუსან კ., ჰერბსტ პ. (2007) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის მომზადებული მიუკერძოებელი რეკომენდაცია ტყის ეკო-საკომპენსაციო პროგრამასთან დაკავშირებით. ვერსია 1.0, ტომი 1, OBF Consulting (Susan C., and Herbst P. (2007) Independent Advice on Forest Eco-compensation programme for the Ministry of Environment and natural Resources of Georgia. Issue 1.0 Volume 1, OBF Consulting).

- განხორციელებული დამატებითი კვლევების მონაცემების საფუძველზე), სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ტყეები მონიშნება GIS-ის რუკებზე და დაჯგუფდება სათანადო EVC-ებად.
2. უბანზე არსებულ პირობების აღმწერი მახასიათებლებისათვის ქულების მინიჭების მიზნით სათანადო მახასიათებლები (დომინანტი სახეობების საშუალო დმს, მათი საშუალო სიმაღლე, ხეების ვარჯის შეკრულობა, ხეების რაოდენობა ჰა-ზე, მარაგი, ბაზალური ფართობი და ამონაყარი/ რეგენერაცია/ ქვეტყე) დადარდება წინასწარ დადგენილ საზომებს (benchmarks).
 3. უბანის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა შემოგარენი და დაცილება ძირითად ბირთვამდე, აღებული იქნება გეოსაინფორმაციო სისტემის მონაცემებიდან, რომლებიც მომზადდა 2015/16 წწ-ში, წყალგამყოფის კარტირების ფარგლებში.
 4. GIS-ის რუკებიდან შეფასებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ჰაბიტატების ფართობი, რაც გამრავლებდა მოცემული ჰაბიტატისთვის მინიჭებულ ქულაზე. შედეგად, მიღებული იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ტყის კორომის/ ჰაბიტატის ღირებულება ჰაბიტატ-ჰექტარის ერთეულში.
 5. თითოეული EVC-ს ფარგლებში ტყისთვის/ ჰაბიტატებისთვის მიყენებული საერთო ზიანის შესაფასებლად ყველა უბნის ჰაბიტატ-ჰექტარის სიდიდე დაჯგუფდება და შეჯამდება სათანადო EVC-ების მიხედვით.

ამგვარად, თითოეული EVC-ის შემთხვევაში ფართობი (ჰა) x ჰაბიტატის ქულაზე მოგვცემს ჰაბიტატ-ჰექტარს, რომელიც ჯამში ნაკლები იქნება, ვიდრე EVC-ს თავდაპირველი ფართობი.

4.5.4 დრო, როგორც მამრავლი

როგორც წესი, დრო კიდევ ერთი მამრავლია. თუ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი მხარე ვალდებულებას აიღებს, რომ გასატყევებელ ტერიტორიას იმდენ ხანს მოუაროს, ვიდრე მასზე წარმოდგენილი ჰაბიტატების ხარისხი ტყის თავდაპირველად არსებულ ხარისხს მიაღწევს, მაშინ მისაღებია 1:1 თანაფარდობის გამოყენება (ანუ ტყის განადგურებული ფართობის ერთეულის სანაცვლოდ ფართობის ერთი ერთეულის გატყევება, რომელსაც შემდეგ იქამდე მოუვლიან, ვიდრე თავდაპირველი ტყის ხარისხს მიაღწევს).

როგორც Susan-შია (2007) აღნიშნული, საქართველოში უფრო მეცნიერულად დასაბუთებულად მიაჩნიათ, რომ თითოეული EVC-თვის გამოიყენონ დროზე მიბმული კომპენსაციის კოეფიციენტი, ხოლო ჰაბიტატების ხარისხის მაჩვენებლისათვის იღებენ დომინანტური სახეობების მარაგის საცნობარო მნიშვნელობას. საერთო ჯამში, რადგანაც EVC-ს ჰაბიტატის ხარისხი დროსთან ერთად იზრდება, კომპენსაციის თანაფარდობა (ანუ რამდენი ჰექტარი უნდა გატყევედეს თითოეული განადგურებული ჰექტარის სანაცვლოდ) დამოკიდებული დროის იმ მონაკვეთზე, რომლის განმავლობაშიც ეკონომიკური საქმიანობის (ამ შემთხვევაში ნენსკრა ჰესი) განმახორციელებელი უზრუნველყოფს გატყევებული ტერიტორიების მართვას. რაც უფრო დიდხანს უზრუნველყოფს ნენსკრა ჰესის პროექტი ტყის აღდგენის გეგმის ფარგლებში გატყევებული ფართობების მართვას, მით ნაკლები იქნება კომპენსაციის თანაფარდობა. და პირიქით, რაც უფრო ხანმოკლე იქნება მართვის ღონისძიებები, მით მაღალი თანაფარდობით უნდა მოხდეს კომპენსაცია, რათა ქვეყანაში ჰაბიტატების არსებული ბალანსი არ დაირღვეს.

5.0 ტყის აღდგენის გეგმის შემუშავება

5.1 გასატყეველად გამოსადეგი უბნების შერჩევა

2015 და 2016 წლებში განხორციელებული კვლევებისას ნენსკრასა და ნაკრას წყალშემკრებებისთვის მომზადდა ჰაბიტატების ზოგადი ტიპების რუკები. კარტირების შედეგების მიხედვით (რუკა 2), საკვლევ არეალში წარმოდგენილია ჰაბიტატების 12 ზოგადი ტიპი. კარტირების შედეგების გათვალისწინებით 2016 წელს განხორციელებული იქნა შემდგომი კვლევები, რომლის ფარგლებშიც ჩანიშნული იქნა ბუნებრივი რეგენერაციის ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის ხელსაყრელი უბნები. ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფების ქვედა წელში ადგილი აქვს ხე-ტყის უკანონო ჭრას. სწორედ ამ ადგილებში იქნება ყველაზე შესაფერისი რგვებისა და მართვის ღონისძიებების განხორციელება. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ ტერიტორიებზე ტყეები ბოლო პერიოდში დაზიანდა და შედარებით მარტივი იქნება რეგენერაცია. ამას გარდა, ადგილმდებარეობის გამო ეს ჰაბიტატები იმ ჰაბიტატების მსგავსია, რომლებიც წყალსაცავის ტერიტორიაზე განადგურდება პროექტის შედეგად.

რუკა 4-ზე ნაჩვენებია სავარაუდო ტერიტორიები, სადაც ბუნებრივი რეგენერაციის ხელშემწყობის მიზნით შესაძლებელი იქნება ტყის აღდგენისა და მართვის ღონისძიებების განხორციელება⁹. 2016 წლის კვლევებისას ყველა ამ უბანზე დაფიქსირდა ახალი ჭრების კვალი. კერძოდ კი, ტყიდან ძირითადად ფიჭვი და სხვა წიწვოვანი სახეობები იჭრება. აქაურობას მსხვილფეხა პირუტყვის ძოვების კვალიც აჩნია; თუმცა, დიდი ალბათობით, როდესაც პირუტყვს ხეობის ქვედა ზონიდან ალპური სამოვრებისკენ ერეკებოდნენ, პირუტყვმა მაშინ გამოვა გზის პირები. მიუხედავად ამისა, ტყის მართვის ღონისძიებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ამ ტყეებში ნახირს ერეკებიან.

რუკა 4-ზე წარმოდგენილი სავარაუდო მართვის უბნების საერთო ფართობი დაახლოებით ოთხჯერ აღემატება პროექტის ტერიტორიაზე სამუდამოდ განადგურებული ჰაბიტატების ფართობს (ცხრილი 4-1). აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ რგვისა და მართვის ღონისძიებებით მიღწეული იქნას მინიმუმ 1:1 თანაფარდობა; თუმცა, ფაქტიურად ეს თანაფარდობა უფრო დიდი იქნება, განსაკუთრებით კი ჰაბიტატ-ჰექტარის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში.

5.2 სავარაუდო გასატყეველი და სამართავი უბნების აღწერა

გასატყეველად შერჩეული იქნა ისეთი უბნები, სადაც ბოლო პერიოდში და ისტორიულადაც ხე-ტყის ჭრას აქვს ადგილი. როგორც ჩანს, ბოლო ხანებში ჭრის მაჩვენებელმა იმატა და ზოგიერთ უბანზე ტყეები ინტენსიურად ნადგურდება; თუმცა, ეს ერთეულ უბნებზე ხდება, სადაც კომერციულად მაღალღირებული სახეობებია წარმოდგენილი. ქვემოთ აღწერილი ყველა უბანი ნაჩვენებია რუკა 4-ზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს უბანი მხოლოდ წინასწარ შერჩეული ტერიტორიაა. ადგილობრივი მოსახლეობასთან კონსულტაციების შემდეგ შესაძლოა ტყის აღსადგენად სხვა

⁹ ეს ტერიტორიები მხოლოდ სავარაუდოდაა შერჩეული და მათი მართვის საკითხი დამოკიდებული იქნება ადგილობრივ მიწათმოსარგებლებთან მომავალში გამართულ მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებზე. ფაქტიურად მართული უბნები შესაძლოა ამ ტერიტორიებზე არ მოხვდეს, თუმცა ისინი ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში იქნება.

ტერიტორიები შეირჩეს, რომლებიც არაა რუკა 4-ზე წარმოდგენილი; თუმცა, ეს ტერიტორიები ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში შეირჩევა.

5.2.1 ტერიტორია 1: ნენსკრა-ნაკრას უღელტეხილი

ნენსკრასა და ნაკრას ხეობებს შორის არსებულ უღელტეხილზე ტყეები 2400 მ სიმაღლემდეა გავრცელებული; თუმცა, შერეული წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები მხოლოდ 2000 მ სიმაღლემდე აღის. უღელტეხილს ქმნის ორი მომცრო ხეობა, რომლებიც მდ. ნენსკრადანაა მაღლა აზიდული. ეს ფერდობები მიმდებარე ფერდობებზე ნაკლებად დაქანებულია და მანქანითაც უფრო მარტივად შეიძლება გადაადგილება. აქ ადგილი აქვს ხე-ტყის ჭრას, რის შედეგადაც ადგილ-ადგილ ტყეები შესამჩნევად გაიშვიათებულია. ძირითადად ფიჭვი და სხვა წიწვოვანი სახეობები იჭრება; თუმცა, როგორც სურათი 1-იდან ჩანს, კომერციულად ნაკლებად ღირებული წიწვოვანები დატოვებულია. წინა ხედეზე მოჩანს მცირე ბუნებრივი რეგენერაცია, რაც ამ ადგილებში ხშირია.

სურათი 2-ზე მოცემულია ამავე ტერიტორიის სხვა ხედი, სადაც ჩანს, რომ ადგილ-ადგილ ხის შერეული სახეობებია წარმოდგენილი. ხეების გარკვეულ რაოდენობას, განსაკუთრებით კი მოჭრილ ხეებს დაავადებების კვალი ამჩნევია. სიდამპლის (ხოჭოების, სოკოების) გამო ამ ხეებს დაკარგული აქვს კომერციული ღირებულება და გზის გვერდითაა მიტოვებული.

საჭირო იქნება ტერიტორია 1-ის დეტალური შეფასება, რათა გამოვლენილი იქნას, თუ რომელ უბნებზე შეიძლება ბუნებრივი რეგენერაციის ხელშეწყობა მართვის ღონისძიებებით და რომელ უბნებზე იქნება საჭირო სანერგეში გამოყვანილი ადგილობრივი სახეობების დარგვა. თითოეულ უბანზე დასარგავი სახეობების შერჩევასა და გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი ჰაბიტატების ტიპები, რომლებიც განისაზღვრება შემდგომი კვლევებისას. კვლევებთან ერთად საჭირო იქნება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (მენახირეები, ტყის რესურსების მომხმარებლები და სხვა) დიალოგის გამართვა, რათა ტყის მართვის საჭიროება უკეთ შეფასდეს.



სურათი 1 ტერიტორია 1, სადაც ტყის საფარი განადგურებულია



სურათი 2 წარმოდგენილია შერეული სახეობები და დაავადებული ხეები

5.2.2 ტერიტორია 2, სგურიშიდან დასავლეთით

ტერიტორია 1-ის მსგავსად, ნენსკრას ხეობაში წარმოდგენილი ეს ადგილებიც შედარებით ადვილი მისასვლელია, რადგანაც ფერდობები ნაკლებად დამრეცია. გზა ნენსკრას ხეობიდან ადის 2000 მ-ზე არსებულ სამოვრებამდე, რომლებიც წარმოდგენილია ალპური მდელოებით. აქ მცირე ხის ქოხები დგას.

ფერდობებზე ტყეების დიდი ნაწილი ჭრაგავლილია. ერთ ადგილას ნანახი იქნა ხე, რომელზეც ტყის მჭრელები წლების მანძილზე ნიშნავენ თოვლის სიმაღლეს. ყველაზე ადრეული ნაჭდევი 1983 წელსაა გაკეთებული. ქვემოთ მოცემულ სურათებზე ნაჩვენებია ამ ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრების შედეგები, კერძოდ კი ახლად გაჭრილი გზები და ფერდობებზე გაჩეხილი დიდი ფართობები.



სურათი 3 ფიჭვისა და სხვა წიწვოვანი სახეობების მოსაჭრელად მოწყობილი გზები



სურათი 4 ჭრების შედეგად მოშიშვლებული დიდი უბანი ტყის ცენტრში

როგორც ტერიტორია 1-ს შემთხვევაში, საჭირო იქნება ტერიტორია 2-ის შემდგომი შეფასება, რათა გამოვლენილი იქნას, თუ რომელ უბნებზე შეიძლება ბუნებრივი რეგენერაციის ხელშეწყობა მართვის ღონისძიებებით და რომელ უბნებზე იქნება საჭირო

სანერგეში გამოყვანილი ადგილობრივი სახეობების ნერგების დარგვა. თითოეულ უბანზე დასარგავი სახეობების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი ჰაბიტატების ტიპები, რომლებიც განისაზღვრება შემდგომი კვლევებისას. კვლევებთან ერთად საჭირო იქნება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (მენახირეები, ტყის რესურსების მომხმარებლები და სხვა) დიალოგის გამართვა, რათა ტყის მართვის საჭიროება უკეთ შეფასდეს.

5.2.3 ტერიტორია 3, ოკრილას ხეობა და კაშხლის ქვედა ბიეფი

გასატყევებლად ან ბუნებრივი რეგენერაციის მართვისთვის შერჩეული იქნა მესამე სავარაუდო ტერიტორია. ეს ტერიტორია წარმოდგენილია კაშხლის ქვედა ბიეფში. იგი მოიცავს მდ. ნენსკრას გვერდითი შენაკადების, მათ შორის მდ. ოკრილას ქვედა მონაკვეთებს (სურათი 5). ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვადასხვა დონითაა გაჩეხილი, რის გამოც რგვები ან ბუნებრივი რეგენერაციის ხელშეწყობა არსებულ ტყეებზე დადებითად აისახება.



სურათი 5 მდ. ოკრილასა და მდ. ნენსკრას შესართავის მიმდებარე ტერიტორია

5.3 მართვის ვარიანტები და ასპექტები

ტყის აღდგენა-გაშენების და მართვის ღონისძიებების განხილვისას შემდეგი საკითხები უნდა იქნას გათვალისწინებული:

მიწათსარგებლობა - მიწის არსებული კატეგორია, როგორცაა სამოვარი, გამოუყენებელი მიწები, სახნავ-სათესი მიწები, სათიბი და სხვა, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება გატყეების/ მართვის ღონისძიებებს, ან რამდენად სურს მათი განხორციელება. თუ, პირუტყვისაგან დაცვის მიზნით, საჭირო გახდა გასატყევებლად შერჩეული ტერიტორიის შემოღობვა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას, რომელიც სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული და შეძლებისდაგვარად თავიდან აცილებული.

დაცვის ფუნქციები - ტყეს შესაძლოა სხვადასხვა დაცვითი ფუნქცია გააჩნდეს, რაც მოსახლეობის, სხვადასხვა ობიექტებისა და ტერიტორიების ბუნებრივი სტიქიებისაგან დაცვაში გამოიხატება. ტყეებს შეუძლია ზვავებისაგან, მეწყერებისაგან, ქვის ცვენისაგან და ღია ეროზიისაგან დაიცვას დასახლებები, მოსახლეობა, გზები და სხვა ინფრასტრუქტურა, როგორცაა გაზსადენები, წყალსადენები, ელექტროგადამცემი ხაზები, ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე ტყის აღდგენა-გაშენების ან მართვის ღონისძიებების გატარება შესაძლოა დადებითად აისახოს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ეროზიული უბნების შემთხვევაში შესაძლოა ასევე სასარგებლო აღმოჩნდეს ძოვების შემცირების ღონისძიების გატარება, რაც მცენარეული საფარის თვითაღდგენას და ნიადაგის დასტაბილურებას შეუწყობს ხელს.

სიმაღლე ზღვის დონიდან - ზღვის დონიდან სიმაღლე ხეების ზრდა-განვითარების პირობებზე მოქმედებს. იგი გავლენას ახდენს ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურაზე, ნალექების რაოდენობასა და სახეზე, თოვლის საფარზე, მზის რადიაციაზე, ქარის სიჩქარესა და ხასიათზე, ნიადაგის წარმოქმნაზე, რელიეფზე და CO₂-ის პარციალურ წნევაზე. როგორც წესი, სიმაღლის ზრდასთან ერთად მცენარეთა ზრდა-განვითარების პირობები რთულდება და მიკრო-რელიეფი მეტ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ, ტყის აღდგენა-გაშენებისა და მართვისთვის ზღვის დონიდან მაღალ სიმაღლეებზე განლაგებულ ტერიტორიებზე რეგენერაციას/ ზრდას უფრო მეტი დრო დასჭირდება. დროის ფაქტორი შეიძლება არსებითი იყოს ჰაბიტატ-ჰექტრების შეფასებისას.

დაქანება – როგორც წესი, ციცაბო ფერდობებზე ნიადაგის თხელი ფენაა წარმოდგენილი. რაც უფრო ციცაბოა ფერდობი, მით უფრო ნელა მიდის მცენარეული საფარის აღდგენა. აღნიშნული ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს რგვებისა და მართვის ღონისძიებების უბნების შერჩევისას.

წყალშემცველობის კლასი - მუდმივად დაჭაობებული ნიადაგები, როგორც წესი, ტყის აღდგენა-გაშენებისთვის უვარგისად ითვლება. ძალიან თხელი ნიადაგით დაფარული, ძალიან ქვიანი ნიადაგი და ქვანაშალი ასევე არახელსაყრელია გატყეების ღონისძიებების გასატარებლად. სხვადასხვა სახეობებისათვის წყალშემცველობის სხვადასხვა კლასია ხელსაყრელი.

რგვა თუ ბუნებრივი რეგენერაცია - ბუნებრივი რეგენერაცია მარტივად მოხდება იმ ადგილებში, რომლებიც ბოლო ხანებში იქნა გაჩეხილი. ასეთ უბნებზე ბუნებრივადაა წარმოდგენილი თესლის ბანკი, ან სახეობების ზრდასრული, თესლის მომცემი ეგზემპლიარები, რაც ბუნებრივი რეგენერაციისთვის საჭირო თესლს უზრუნველყოფს. როგორც სურათი 1-დან ჩანს, ზოგიერთ უბანზე ადგილი აქვს ბუნებრივ რეგენერაციას და, სავარაუდოდ, ასეთ უბნებზე საკმარისი იქნება მხოლოდ ძოვების მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება.

იმ უბნებზე, სადაც თესლის ბანკი შემორჩენილი არაა, ან ჭრებმა მნიშვნელოვნად შეამცირა სამიზნე სახეობები (მაგ., *Abies normandia*), რგვების განხორციელება შესაძლოა ერთადერთი არჩევანი იყოს. ნერგები შეიძლება ადგილობრივ სანერგეში არ იქნას გამოყვანილი, თუმცა ამ მიზნით გამოყენებული თესლი ან კალმები ადგილობრივი უნდა იყოს.

6.0 სამომავლო ამოცანები

6.1 ხარჯთაღრიცხვის მომზადება

ხარჯები დაგეგმილი უნდა იქნას ტყის აღდგენისა და მართვის ღონისძიებების, ასევე ტყის აღდგენის გეგმით მოცული საერთო ფართობის გათვალისწინებით. ხარჯები დამოკიდებულია საქმიანობის შემდეგ სამ ძირითად მახასიათებელზე:

- ტერიტორიის ფართობი, სადაც საჭირო იქნება რგვები
- ტყის ფართობი, სადაც ადგილი ექნება ბუნებრივ რეგენერაციას, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს შემოღობვა
- ტყის მართვის გეგმით მოცული დროის პერიოდი, რომელიც გავლენას ახდენს ჰაბიტატ-ჰექტარის შეფასების შედეგებზე.

ცხრილი 6-1-ში „ერთეული ღირებულების ინდიკატორული ცხრილი“ წარმოდგენილია ტყის აღდგენის გეგმის ბიუჯეტის ზოგიერთი მუხლის ერთეული ღირებულება. თანხები აღებულია გაერთიანებული სამეფოს მსგავსი პროექტების მაგალითებიდან და FS Consult-ში (2015¹⁰) მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით.

ცხრილი 6-1 ერთეული ღირებულების ინდიკატორული ცხრილი

საქმიანობა	ერთეული	ერთეულის ღირებულება
სამართავი უბნების დამატებითი კვლევა	კაც/დღე \$	350
თესლის შეგროვება და ნერგების წარმოება	ნერგი \$	3.50
ტერიტორიის მომზადება	\$/ჰა	700
შემოსაღობი მასალა	\$/მ	12
ღობის ტექნიკური მომსახურება	\$/მ	1.2
ხეების რგვა	\$/ჰა	800
სარეველების მოცილება (საჭიროების შემთხვევაში)	\$/ჰა	420
ტყის მენეჯერი	\$/წელი	18,000

6.2 როლები და პასუხისმგებლობები

ტყის აღდგენის დეტალური გეგმის მომზადებამდე საჭიროა როლებისა და პასუხისმგებლობების გაწერა. კერძოდ, ამ მიზნით საჭირო იქნება შემდეგი პირების შერჩევა:

¹⁰ FS Consult (2015) წინასწარი ანგარიში: საქართველო: კარბონ-ნეიტრალური და მდგრადი ჰიდროელექტროენერჯის საპილოტო პროგრამა FS Consult შპს "ენვი კონსალტინგი" (FS Consult (2015) Interim report: Georgia: Pilot programme to deliver a carbon neutral and sustainable hydropower project. FS Consult, prepared by Envi Consulting LLC).

- პროექტის მენეჯერი
- დაფინანსების წყარო
- ფონდების მენეჯერი
- ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი კონსულტაციებისათვის

ამ პირების შერჩევის შემდეგ შესაძლებელია პასუხისმგებლობებისა და სამუშაოების გრაფიკის გაწერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტყის აღდგენის გეგმის დროულად განხორციელება და შედეგების გაზომვა საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისთვის შემუშავებული ინდიკატორების გამოყენებით.

6.3 მონიტორინგი

ტყის აღდგენის საქმიანობის წარმატებულობის შესაფასებლად საჭიროა მონიტორინგის სტრატეგიის შემუშავება. მონიტორინგის მიზანი იქნება არა მხოლოდ წარმატებულობის შეფასება, არამედ მაკორექტირებელი ღონისძიებების საჭიროების დადგენა ისეთი შემთხვევებისთვის, სადაც რგვები ან მართვის ზომები არაეფექტური აღმოჩნდა. მონიტორინგის გეგმა უნდა იყოს მარტივი, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი. ამას გარდა, გამოყენებული მეთოდოლოგია განმეორებადი უნდა იყოს, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შედარება.

- მონიტორინგის პარამეტრები მარტივი და განმეორებადი უნდა იყოს. მონიტორინგისათვის საჭიროა მონაცემთა სტანდარტული ფორმის მომზადება და გამოყენება, რათა წლების მანძილზე შესაძლებელი იყოს სათანადო, თანმიმდევრული ინფორმაციის შეგროვება, მაშინაც კი, თუ შემფასებლები შეიცვლებიან.
- შეგროვებული მონაცემების საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს საქმიანობის წარმატებულობისა და წარუმატებლობის დონის შეფასება. ამას გარდა, მონაცემები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნიადაგის ტიპის შესახებ, რათა შესაძლებელი იყოს ამ მაჩვენებლის დაკავშირება კონკრეტული სახეობის წარმატებით ან წარუმატებლად გაშენებასთან.
- მონიტორინგის სტრატეგია ყველა დარგული ხის შემოწმებას კი არ უნდა ითვალისწინებდეს, არამედ თითოეულ უბანზე რეპრეზენტატიული ნიმუშები უნდა შეირჩეს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მონიტორინგის განხორციელებას და, ამავდროულად, მონიტორინგი ტვირთად არ იქცევა.
- მონიტორინგის სტრატეგია მუშა დოკუმენტი უნდა იყოს, რომელიც ყოველწლიურად უნდა გადაიხედოს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.
- უნდა განისაზღვროს მონიტორინგის სიხშირე. რგვებით ან მართვის ღონისძიებებით მოცული უბნების მონიტორინგი საქმიანობიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში რეკომენდირებულია ყოველწლიურად, ხოლო შემდეგ 3-5 წელიწადში ერთხელ.

მონიტორინგის პერიოდი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ხნით აიღებს სს „ნენსკრა ჰიდრო“ აღდგენილი ტყეების მართვის ვალდებულებას. ჰაბიტატ-ჰექტარის შეფასებაზე მონიტორინგის პერიოდიც ახდენს გავლენას. მონიტორინგის სტრატეგიის შედეგები უნდა აისახოს წერილობით ანგარიშებში, რომლებიც მომზადებული უნდა იქნას ყოველი სამონიტორინგო წლის ბოლოს.


7.0 ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შპს SLR Consulting-ის მიერ, შესაბამისი კვალიფიკაციით, გულისყურით და პასუხისმგებლობით, დამკვეთთან შეთანხმებული პერსონალის ჩართულობითა და რესურსებით. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება შეგროვებულ მონაცემებს, რომლებიც ზუსტად და დასაბუთებულად ჩაითვალა.

ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ K-Water-ისთვის; მესამე მხარეს არ გააჩნია რაიმე სახელშეკრულებო გარანტიების ან ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება. SLR-ს წერილობითი ნებართვის გარეშე სხვა მხარეებს არ გააჩნიათ წინამდებარე ანგარიშის გამოყენების უფლება.

SLR არ ცნობს რაიმე ვალდებულებას დამკვეთის ან სხვა რომელიმე მხარის მიმართ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება დამტკიცებული ტექნიკური დავალების ფარგლებს.

დანართი A - რუკები



NENSKRA HYDROPOWER PROJECT
Supplementary
Environmental & Social Studies
Reforestation Management Plan

Map n° 1
Project Location

Scale 1:80,000 @ A3 Date February 2017

File n°901.6.2_1_Project Location_V10Feb2017
Source:
L_6768-B-GE-GE-DW-003_003
L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001

Service Layer Credits: Sources: Esri, HERE, DeLorme, Intermap, increment P Corp., GEBCO, USGS, FAO, NPS, NRCAN, GeoBase, IGN, Kadaster NL, Ordnance Survey, Esri Japan, METI, Esri China (Hong Kong), swisstopo, MapmyIndia, © OpenStreetMap contributors, and the GIS User Community

260000 265000 270000 275000 280000 285000 290000 295000 300000 305000

Legend

	Nenskra and Nakra Watersheds		Farmland including Grassland and Crops
	Scrub		Landslide
	Broad-leaved Woodland		Alpine Zone or Bare Rock
	Conifer Dominated Woodland		Sub-Alpine Zone
	Mixed Woodland		River or Stream Associated Gravel
	Bracken		Residential Areas including House and Gardens


N

WGS 84 UTM 38 N

0 1 2 4 6 Km



4790000
4785000
4780000
4775000
4770000
4765000
4760000



SLR global environmental solutions

JSC Nenskra Hydro

NENSKRA HYDROPOWER PROJECT
Supplementary
Environmental & Social Studies
Reforestation Management Plan

Map n° 2
Broad Scale Habitat Map

Scale 1:125,000 @ A3 Date February 2017

File n°901.6.2_2_Broad_Habitat_Plan_V10Feb2017
Source:
L_6768-B-GE-GE-DW-003_003
L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001

260000 265000 270000 275000 280000 285000 290000 295000 300000 305000

273000

276000

Legend

-  Road
-  Watercourse
- Habitat Type**
-  Broadleaved Woodland
-  Conifer Dominated Woodland
-  Mixed Broadleaf & Conifer Woodland
-  Scrub
-  Bracken (Pteridium) Covered Slopes
-  Farmland including Grassland & Crops
-  Landslide Areas
-  Sub-Alpine Zone
-  River or Stream & Associated River Gravels



Nenskra Reservoir and Dam

Transfer Tunnel

Headrace Tunnel



NENSKRA HYDROPOWER PROJECT
 Supplementary
 Environmental & Social Studies
 Reforestation Management Plan

Map n° 3
Reservoir
Broad Habitat Map

Scale 1:20,000 @ A3 Date February 2017

File n°901.6.2_3_Reservoir_Broad_Habitats_V10Feb2017
 Source:
 L_6768-B-GE-GE-DW-003_003
 L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001


Service Layer Credits: Source: Esri, DigitalGlobe, GeoEye, Earthstar Geographics, CNES/Airbus DS, USDA, USGS, AEX, Getmapping, Aerogrid, IGN, IGP, swisstopo, and the GIS User Community

4780000

4777000

273000

276000



Legend

- Target Areas for Reforestation and / or Management

SLR global environmental solutions

JSC Nenskra Hydro

NENSKRA HYDROPOWER PROJECT
 Supplementary
 Environmental & Social Studies
 Reforestation Management Plan

Map n° 4
Indicative Areas for Reforestation and / or Management

Scale 1:80,000 @ A3 Date February 2017

File n°901.6.2_4_Indicative_Areas_V10Feb2017
 Source:
 L_6768-B-GE-GE-DW-003_003
 L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
 L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001

Service Layer Credits: Sources: Esri, HERE, DeLorme, Intermap, increment P Corp., GEBCO, USGS, FAO, NPS, NRCAN, GeoBase, IGN, Kadaster NL, Ordnance Survey, Esri Japan, METI, Esri China (Hong Kong), swisstopo, MapmyIndia, © OpenStreetMap contributors, and the GIS User Community

English	Georgian
NENSKRA HYDROPOWER PROJECT Supplementary Environmental & Social Studies Volume 4 – Biodiversity Impact Assessment	ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დამატებითი შესწავლა ტომი 4 – ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება
Date : February 2017	თარიღი: 2017 წ. თებერვალი

English	Georgian	English	Georgian
<u>Locations :</u>	ადგილმდებარეობა:	<u>Project components :</u>	პროექტის კომპონენტები:
Devra	დევრა	Headrace Tunnel	წყალსატარი გვირაბი
Tobari	თობარი	Nenskra dam and reservoir	ნენსკრის კაშხალი და წყალსაცავი
Lukhi	ლუხი	Powerhouse and Switchyard	ჰესის შენობა და ქვესადგური
Kedani	კედანი	Transfer tunnel	წყლის გადამგდები გვირაბი
Lekalmakhi	ლექალმახი	Nakra intake	ნაკრის წყალმიმღები
Kvemo Margji	ქვემო მარგი		
Letsperi	ლესპერი		
Devra	დევრა		
Zeda Marghi	ზედა მარგი		
Kari	კარი		
Sgurishi	ზგურიში		
Tita	ტიტა		
Jorkvali	ჯორკვალი		
Kveda Ipari	ქვედა ივარი		
Dizi	დიზი		
Shtikhiri	შტიხირი		
Nodashi	ნოდაში		
Latsomba	ლაცომბა		
Nakra	ნაკრა		
Kvitsani	კვიცანი		
Anili	ანილი		
Lenkvashi	ლენკვაში		
Enguri reservoir	ენგურის წყალსაცავი		
Zugdidi	ზუგდიდი		
Meslia	მესტია		
Russia	რუსეთი		
Turkey	თურქეთი		
Armenia	სომხეთი		
Azerbaijan	აზერბაიჯანი		
<u>Rivers :</u>	მდინარეები:		
Darchi-Ormeleti	დარჩი-ორმელეთი	Enguri	ენგური
Nenskra	ნენსკრა	Khumpri	ხუმპრერი
Nakra	ნაკრა		
Devra	დევრა		
Tita	ტიტა		
Okrili	ოკრილი		

English	Georgian	English	Georgian
Ipari	იფარი		
Kheira	ხეირა		
Zeda Marghi	ზედა მარგი		
Kari	კარი		
Sgurishi	ზგურიში		
Tita	ტიტა		
Lari Lari	ლარი ლარი		
Legend	ექსპლიკაცია		
Road	გზა		
Watercourse	მდინარე, ლელე		
Habitat Type	ჰაბიტატის ტიპი		
Broadleaved Woodland	ფოთლოვანი ტყე		
Conifer Dominated Woodland	ტყე წიწვოვანის დომინირებით		
Mixed Broadleaf & Conifer Woodland	შერეული ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყე		
Scrub	ბუჩქნარი		
Bracken (Pteridium) Covered Slopes	გვიმრით (Pteridium) დაფარული ფერდობები		
Farmland including Grassland & Crops	სასოფლო-სამეურნეო მიწები სამოვრების და ნათესების ჩათვლით		
Landslide Areas	მეწყურული უბნები		
Sub-Alpine Zone	სუბ-ალპური ზონა		
River or Stream & Associated River Gravels	მდინარე ან ლელე და მასთან დაკავშირებული მდინარის ხრეში		
Residential Areas including Houses & Gardens	საცხოვრებელი ადგილები სახლების და ბაღების ჩათვლით		
Target areas for reforestation and/or management	სამიზნე სფეროების აღდგენის ან / და მართვის		

დანართი B - მონაცემთა ფორმის ნიმუში

ტყის მცენარეთა სახეობების ინვენტარიზაციის ფურცლის ნიმუში

მცენარეული თანასაზოგადოების ტიპი	
საკონსერვაციო ღირებულება	
არეალი	
ნაკვეთის №	
ნაკვეთის ფართობი (მ ²)	
GPS კოორდინატები	
სიმაღლე ზ.დ. (მ)	
ასპექტი	
დახრილობა	
თანასაზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები	
მაქს. დმს (სმ)	
საშუალო დმს (სმ)	
ხის მაქს. სიმაღლე (მ)	
საშუალო სიმაღლე (მ)	
ხეების რაოდენობა სანიმუშო ნაკვეთზე	
ხეების იარუსის დაფარულობა (%)	
ბუჩქების დაფარულობა (%)	
ბალახოვანი საფარის დაფარულობა (%)	
ხავსების დაფარულობა (%)	
უმაღლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა	
ხავსების სახეობათა რაოდენობა	
სახეობები	სიმრავლე-დაფარულობა დრუდეს* ან დომინის* სკალით
ხეების იარუსი	
ბუჩქები	
ბალახოვანი საფარი	
ხავსის საფარი	

ამ სკალის სიმბოლოები აღნიშნავს სახეობის სიხშირესა და დაფარულობას. კერძოდ, ეს სკალა იყენებს შემდეგ სიმბოლოებს: Soc (socialis) - დომინანტი სახეობა, სიხშირე-დაფარულობა აღემატება 90%-ს; Cop³ (coptosal) - მაღალი რიცხოვნობის სახეობა, სიხშირე-დაფარულობა 70-90%; Cop² - სახეობა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ინდივიდებით, სიხშირე-დაფარულობა 50-70%; Cop¹ - სიხშირე-დაფარულობა 50-70%; Sp³ (sporsal) - სიხშირე-დაფარულობა დაახლ. 30%; Sp² (sporsal) - სიხშირე-დაფარულობა დაახლ. 20%; Sp¹ (sporsal) - სიხშირე-დაფარულობა დაახლ. 10%; Sol (solitarie)-მცირერიცხოვანი ინდივიდები, სიხშირე-დაფარულობა 10%-მდე; Un (unicum) - ერთი ინდივიდი.

დომინის სკალა წარმოადგენს სისტემას, რომლითაც ხდება მცენარეულობის დაფარულობის შეფასება 1-დან 10-მდე ქულებით. იგი მარტივად გასაგებია:

Domin value	Cover-abundance
10	91-100%
9	76-90%
8	51-75%
7	34-50%
6	26-33%
5	11-25%
4	4-10%
3	<4% frequent
2	<4% occasional
1	<4% rare

ABERDEEN

214 Union Street,
Aberdeen AB10 1TL, UK
T : +44 (0)1224 517405

AYLESBURY

7 Wornal Park, Menmarsh Road,
Worminghall, Aylesbury,
Buckinghamshire HP18 9PH, UK
T : +44 (0)1844 337380

BELFAST

Suite 1 Potters Quay, 5 Ravenhill Road,
Belfast BT6 8DN, UK, Northern Ireland
T : +44 (0)28 9073 2493

BRADFORD-ON-AVON

Treenwood House, Rowden Lane,
Bradford-on-Avon, Wiltshire BA15 2AU,
UK
T : +44 (0)1225 309400

BRISTOL

Langford Lodge, 109 Pembroke Road,
Clifton, Bristol BS8 3EU, UK
T : +44 (0)117 9064280

CAMBRIDGE

8 Stow Court, Stow-cum-Quy,
Cambridge CB25 9AS, UK
T : + 44 (0)1223 813805

CARDIFF

Fulmar House, Beignon Close, Ocean
Way, Cardiff CF24 5PB, UK
T : +44 (0)29 20491010

CHELMSFORD

Unit 77, Waterhouse Business Centre,
2 Cromar Way, Chelmsford, Essex
CM1 2QE, UK
T : +44 (0)1245 392170

DUBLIN

7 Dundrum Business Park, Windy
Arbour, Dundrum, Dublin 14 Ireland
T : + 353 (0)1 2964667

EDINBURGH

4/5 Lochside View, Edinburgh Park,
Edinburgh EH12 9DH, UK
T : +44 (0)131 3356830

EXETER

69 Polsloe Road, Exeter EX1 2NF, UK
T : + 44 (0)1392 490152

GLASGOW

4 Woodside Place, Charing Cross,
Glasgow G3 7QF, UK
T : +44 (0)141 3535037

GRENOBLE

BuroClub, 157/155 Cours Berriat,
38028 Grenoble Cedex 1, France
T : +33 (0)4 76 70 93 41

GUILDFORD

65 Woodbridge Road, Guildford
Surrey GU1 4RD, UK
T : +44 (0)1483 889 800

LEEDS

Suite 1, Jason House, Kerry Hill,
Horsforth, Leeds LS18 4JR, UK
T : +44 (0)113 2580650

لندن

83 Victoria Street,
London, SW1H 0HW, UK
T : +44 (0)203 691 5810

MAIDSTONE

Mill Barn, 28 Hollingworth Court,
Turkey Mill, Maidstone, Kent
ME14 5PP, UK
T : +44 (0)1622 609242

MANCHESTER

8th Floor, Quay West, MediaCityUK,
Trafford Wharf Road,
Manchester M17 1HH, UK
T : +44 (0)161 872 7564

NEWCASTLE UPON TYNE

Sailors Bethel, Horatio Street,
Newcastle-upon-Tyne NE1 2PE, UK
T : +44 (0)191 2611966

NOTTINGHAM

Aspect House, Aspect Business Park,
Bennerley Road, Nottingham NG6 8WR,
UK
T : +44 (0)115 9647280

SHEFFIELD

Unit 2 Newton Business Centre,
Thornccliffe Park Estate, Newton
Chambers Road, Chapeltown,
Sheffield S35 2PW, UK
T : +44 (0)114 2455153

SHREWSBURY

2nd Floor, Hermes House, Oxon
Business Park, Shrewsbury SY3 5HJ,
UK
T : +44 (0)1743 239250

STAFFORD

8 Parker Court, Staffordshire Technology
Park, Beaconside, Stafford ST18 0WP,
UK
T : +44 (0)1785 241755

STIRLING

No. 68 Stirling Business Centre,
Wellgreen, Stirling FK8 2DZ, UK
T : +44 (0)1786 239900

WORCESTER

Suite 5, Brindley Court, Gresley Road,
Shire Business Park, Worcester WR4
9FD, UK
T : +44 (0)1905 751310

SLR



global environmental solutions



Industry



Infrastructure



Mining & Minerals



Oil & Gas



Planning & Development



Renewable & Low Carbon



Waste Management